პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 6ა, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ. } რედაქტორის 14—76
} მდივნის 10—68
} ღამის მორიგის 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8-81.
ხელისმომწერთ ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 0 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- — საფრანგეთის პოლიციამ დააპატიმრა ამხ. მარტი.
- — შეერთებული შტატების ინტრიგები პან-ამერიკულ კონფერენციაზე.
- — ინგლისელი მუშები „სამრეწველო ზავის“ წინააღმდეგ.
- — ამერიკელი კაპიტალისტები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ალბანეთის ნავთი.
- — ბულგარეთში მყოფი რუს ემიგრანტების ნაწილი საბჭ. კავშირში დაბრუნებას აპირებენ.
- — ფინანსიური რეფორმა სპარსეთში.
- — ჰამბურგელ მუშების დელეგაცია მოსკოვში.

პარასკევი, 27 იანვარი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 22 (2065)

აჭარელ ფუხარას და ახალგაზრდობის ნამდვილი ხმა

ეს ხმა გაისმა ამ ხელად საქართველოს ცაკის სესიაზე ქ. ბათომში, და გაისმა საკმარისად გამოხატულად და მკვეთრად. რაში გამოიხატება, ან როგორია ეს ხმა? რომ აჭარელი ახალგაზრდობა განურჩევლად სქესისა ბრწყინვალე მომავლისაკენ მისწრაფებს მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით და აღტყინებით,—ეს ჩვენ აქამდისაც კარგად ვიცოდით. ჩვენ ვიცოდით აგრეთვე ისიც, რომ აჭარელი ფუხარა—გლეხი თანაუგრძნობდა საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ ვიცოდით აგრეთვე ისიც, რომ ეს ფუხარა—გლეხი სხვადასხვა ბნელი ძალების ზეგავლენით, ე. ი. იმ ძალების, რომლებიც მას წინედ სტანჯავდენ, სულს ხდიდენ, ოჯახს უწიოკებდენ და სარჩო-საბადებელს უსინდისოდ ართმევდენ,—აი სწორედ ასეთი ხალხის ზეგავლენით ზოგჯერ თითქოს ირყეოდა, ყოყმანობდა და შეიძლება კიდევაც იმათ მხარეზე გადადიოდა. ახლა კი, ყოველივე ის, რაც საქართველოს ცაკის მესამე სესიაზე ჩვენ ვიხილეთ და მოვისმინეთ, ნათლად გვეუბნება, რომ აჭარელი ფუხარა გლეხის წარმოდგენაში, მის სულიერ განწყობილებაში ღრმა ცვლილებაა მომხდარი.

ამ ხნის განმავლობაში აჭარელ ფუხარას—თავის—თვალწინ ქონდა მრავალი დამამტკიცებელი ფაქტი და საბუთი, რომ ფხიზლად დაეფასებინა, აწონ-დაეწონა ის, რაც წინედ იყო, და შეედარებინა ეს წარსული ახალი წესებთან, ახალ პირობებთან, ე. ი. იმ წესებთან და იმ პირობებთან, რაც საბჭოთა ხელისუფლების მიერ იქნა შემოღებული. ჩვენ კარგად ვიცით, რომ გლეხი რეალურად, ე. ი. თავისი ინტერესების მიხედვით უყურებს და ზომავს ყველაფერს, რაც მას ეხება. და სხვანაირად შეუძლებელიცაა. ფუხარა—გლეხი აშკარად, საქმით, სინამდვილეში რწმუნდება, რომ საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც მასთან მივიდა, შეიძლება მისი (ფუხარას) სურვილის წინააღმდეგაც და ხშირად მისთვის უჩვეულო პიროვნებათა სახით (დაურიდებელ ბოლშევიკ—კომუნისტების ან კომსომოლისტების სახით), აი სწორედ ეს საბჭოთა ხელისუფლება აჭარისტანის ღარიბ გლეხკაცობის სასარგებლო საქმეს აკეთებს.

ეს ახალი ხელისუფლება რაზომ უცნაური, ან გაუგებარი არ იყო ფუხარასათვის პირველ ხანებში, მაგრამ აწ—რედ ეს ხელისუფლება იჩენდა მზრუნველობას მისთვის, ანთავისუფლებდა მას „ბეგებისაგან“ და „კნიაზებისაგან“, გაყავდა გზები, აკეთებდა ხიდებს, სკოლებს, საავადმყოფოებს და სხვადასხვა. განა ყოველივე ამას სათანადოდ ვერ შეამჩნევდა და ვერ დააფასებდა ფუხარა? რა თქმა უნდა შეამჩნევდა და დააფასებდა კიდეც. ისიც უნდა ვთქვათ რომ ხანდისხან იყო ისეთი შემთხვევები, როცა რომელიმე თავშეუკავებელი—ბოლშევიკი ან კომსომოლისტი უხეშად და დაურიდებლად შეეხებოდა ფუხარას ძველ ადათებს ან სარწმუნოებასაც, მეჩეთს და სხვა ასეთ საგნებს და ამის გამო ფუხარას „უფუჭდებოდა ხასიათი“, იგი ხდებოდა უკმაყოფილო თვით ახალ წესწყობილებით. ეს არ იყო კარგი, ასეთი მიდგომა არ ვარგოდა. მაგრამ, დახე, ეს უხეში და დაურიდებელი ბოლშევიკი ან კომსომოლისტი, რომელიც ასე მოურიდებლად ეპყრობა ფუხარას ძველ ზნე-ჩვეულობა და ადათებს, ფუხარასათვის მეტად სასარგებლო საქმეებს აკეთებს, მისი ინტერესებისათვის ზრუნავს, გაჭირვების დროს შეძლების დაგვარად ეხმარება. უთუოდ საბჭოთა ხელისუფლება კარგი რამ უნდა იყოს თვით კომუნისტები და კომსომოლისტებიც ალბად სასარგებლო ხალხი უნდა იყვნენ.

ფუხარა მსჯელობდა ასე, და სხვანაირად მსჯელობა მას არ შეეძლო. და აი დღეს ეს ფუხარა ხალხი გადაჭრით ემხრობა საბჭოთა ხელისუფლებას, იგი შეიძლება ითქვას „ლოცულობს“ ლენინზე, რომელმაც „შავი ხალხი“ ე. ი. ფუხარა გლეხი იხსნა „ბეგებისა“ ე. ი. „კნიაზებისაგან“ (როგორც ეს თავისებური ფუხრული მჭერმეტყველობით აღნიშნა ერთმა გლეხმა). რომლის მეოხებით ეს გაძვალ-ტყავებული ფუხარა დღეს ხორცს და სისხლს ისხამს და ადამიანად ხდება. და აი ფუხარა უკვე გადაჭრით უცხადებს ნდობას და სიყვარულს საბჭოთა წესწყობილებას, იგი გმობს „ბეგების“ და „კნიაზების“ წესწყობილებას, იგი ზიზღით იხსენიებს „ნიკოლოზის“ და მენშევიკების დროს, როცა ფუხარა საქიჯგნ საგანს წარმოადგენდა ყველა სჯულის მჩაგვრელების ხელში.

ყველაზე უფრო საყურადღებო აქ კიდევ ის გარემოებაა, რომ ფუხარა დღეს უკვე ხედავს, რომ ის სიკეთე, ის სარგებლობა, რომელიც მოაქვს მისთვის საბჭოთა ხელისუფლებას ოდნავად არ არის შედეგი რომელიმე ხუსეინის და აჰმედის პირადი მოქმედებისა, არამედ ეს არის საქმე **საბჭოთა ხელისუფლების**, რომ ამას ხელმძღვანელობს მუშათა კლასის მოწინავე ნაწილი **კომუნისტური პარტია.** ამაში დღეს ფუხარა რწმუნდება ყოველ ფეხის ნაბიჯზე. ზევით ნათქვამიდან დეე, ნურავინ გამოიყვანს იმ დასკვნას, რომ ყველაფერი უკვე გაკეთებულია და ან ყველაფერი თითქო უნაკლოდ კეთდება. ის ვინც ასე იფიქრებს, დიდად შემცდარი იქნება. პირიქით, ჩვენ ამ გზით მხოლოდ დავიწყეთ მუშაობა, რომ ჩვენ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრ შეცდომას და ნაკლს აქვს ადგილი. ეს ჩვენ უნდა ვთქვათ აშკარად, იმიტომ, რომ ეს შეცდომები მომავალში თავიდან ავიცილოთ, მაგრამ საქმე დაწყებულია, გზა ნაჩვენებია, და ეს დიდი მიღწევაა. დიდი გამარჯვებაა საბჭოთა ხელისუფლებისა აჭარისტანში. რაც არ უნდა მოხდეს, ამიერიდან აჭარისტანის ფუხარა გლეხობის გადაბირება სხვა გზაზე შეუძლებელი იქნება. და ეს მით უფრო რომ აჭარისტანში მზადდება ახალი ძალები, იზრდება ნამდვილი ახალი თაობა, რომელიც მართლაც დიდ იმედებს იძლევა. საყურადღებოა ის, რომ ეს თაობა ორივე სქესისაა როგორც ვაჟების, ისე ქალების. ეს თაობა უკვე სულ მთლად საბჭოთა ხელისუფლების ღვიძლი შვილია, ის იწვრთნება და იკვებება ნამდვილი ინტერნაციონალურ და ნამდვილი სოციალისტური იდეებით აქედან გამოვლენ აჭარისტანის ახალი მშენებლები, სოციალიზმის ბურჯები და მესვეურნი.

ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ აჭარისტანის ახალგაზრდობა მტკიცედ და შეურყევლად ივლის იმ გზით, რომელიც ნაჩვენებია ლენინის მიერ და რომელზედაც იგი უკვე შემდგარია. ჩვენ ვუსურვებთ ამ ახალგაზრდობას სრულ გამარჯვებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს აჭარისტანის მშრომელი ხალხის გამარჯვებას.

ფ. მახარაძე.

ბესარაბიის ტრაგედია

ეგრედწოდებული „ბესარაბიის საკითხი“ წარმოადგენს ევროპის იმპერიალიზმის ომის შემდგომი ისტორიის ჭეშმარიტად ერთ-ერთ ყველაზე უფრო ტრაგიკულ ფურცელს. ევროპის იმპერიალიზმი—ეს არის საზიზღარი ექსპლოატაციისა და ძალადობის სისტემა, რომელიც ეფარება ერთა ლიგის და ბურჟუაზიის მიერ მოსყიდულ მეორე ინტერნაციონალის თვალთმაქცურ პაციფიზმს.

რუმინეთი და მისი დამხმარე ანტანტა ბესარაბიის დაპყრობისათვის მიმართავდენ ძალადობის ყველაზე უფრო საზიზღარ ხერხებს იმ მიზნით, რათა ბესარაბიაში შეექმნათ პლაცდარმი პირველ ძლევამოსილ პროლეტარულ რევოლიუციის წინააღმდეგ. საერთაშორისო პროვოკაცია (რუმინელი ჯაშუშები ინკოგნიტო და კატარეუ ბესარაბიის საზოგადოებრივ მოღვაწეთა როლში 1917 წელში), მეფის გენერალ შჩერბაჩევის ღალატი (მან რუმინეთის ჯარებს მიჰყიდა ბესარაბია) გამოყენება, პეტლიურას მიმდევრების და ესერების მოღალატურ პოლიტიკის გამოყენება, საბჭოების გარეკა, ჯალათური ძალადობა ბესარაბიის არა მარტო პროლეტარულ, არამედ ბურჟუაზიულ და გლეხურ ორგანიზაციების მიმართაც (გლეხთა ყრილობის პრეზიდიუმის ზედიზედ ორ შემადგენლობის დახვრეტა, ჯარისკაცების ხიშტები ბესარაბიის „წინასწარ პარლამენტის“ სვატულ ცერის სხდომაზე), ბესარაბიის რევოლიუციონურ მუშებისა და გლეხების დნესტრში დახრჩობ და ურიცხვი სიკვდილით დასჯა—აი, რა ხდებოდა 1918 წლის დასაწყისში ბესარაბიაში ოკუპაციის დამყარების ხანებში.

რუმინეთის მიერ ბესარაბიის ათი წლის ოკუპაცია—ეს არის მთლიანი სისხლიანი ხანა. მარტო პირველ ოთხ წელში ადგილი ჰქონდა ბესარაბიელთა 153 აჯანყებას რუმინელების წინააღმდეგ, როგორც ეს სჩანს რუმინეთის ოფიციალურ ცნობებიდან.

ზოგიერთ აჯანყებების ჩაქრობის დროს გადამწვარ სოფლების რიცხვი ათეულობით განიზომებოდა, მოკლულთა კი—ათეულ ათასობით, დაზარალებულნი და საზღვარ-გარეთ გაქცეულნი—ასეულ ათასობით (ასეთ შემაძრწუნებელი ციფრებით გამოიხატება ის, რაც გადახდა ბესარაბიელებს მხოლოდ ხოტინის აჯანყებისათვის 1919 წელში).

ოკუპაციის ათი წლის განმავლობაში რუმინელებმა დახვრიტეს და დახოცეს 30.000 ბესარაბიელი (10 მსხვერპლი დღეში), ბესარაბიიდან საზღვარ-გარეთ გაიქცა 300.000 (დღეში—100).

რამდენად შემაძრწუნებელი უნდა იყოს ეკონომიურ ექსპლოატაციის ის სისტემა, რომელსაც სჭირდებოდა ეს წარმოუდგენელი, მოსახლეობის გამანადგურებელი, მსხვერპლი! და მართლაც მშრომელი ბესარაბია გმინავდა და გმინავს სამმაგი პრესის ქვეშ, მას სჩაგრავენ: ანტანტის სახელმწიფოები, რუმინელი ჯალათები და „საკუთარი“ მემამულეები და კაპიტალისტები. დაახლოებით რომ ვთქვათ, ოკუპაციის განმავლობაში ორჯერ მაინც შემცირდა მრეწველობის ნაყოფიერება და ხორბლეულ კულტურების მოსავალი. წარმოუდგენლად მაღალ გადასახადებისა და ფასების, ბაჟების, მცირემიწიანობის, ქრონიკულ უმუშევრობის და მეტისმეტად მცირე ხელფასის წყალობით მუშები და გაღატაკებული გლეხობა მისული არიან მათხოვრობისა და გადაგვარების მიჯნამდე.

და ყოველივე ეს ხდება ერთა ლიგის—ევროპის ჩაგრულ ხალხების ამ „დამცველის“ მაღალ მფარველობის ქვეშ. ყოველივე ეს ხდება საბჭოთა უკრაინის და მოლდავიის ავტონომიურ ს. ს. რესპუბლიკის გვერდით, სადაც მოსახლეობამ მკვიდრად დააღწია თავი ომის წლების უბედურებასა და სიღატაკეს და თავისუფლად იწყო ზრდა ეკონომიურად, პოლიტიკურად, კულტურულად და ნაციონალურად.

ბესარაბიასა და საბჭოთა კავშირს ჰყოფს მხოლოდ მდინარე დნესტრი, მაგრამ სინამდვილეში დნესტრის ორ ნაპირზე ძევს ორი სხვადასხვა მსოფლიო.

რუმინეთის მიერ ბესარაბიის დაპყრობა იმდენად აშკარა ყაჩაღურ ხასიათს ატარებდა, რომ თავის დროზე მეორე ინტერნაციონალიც კი მასების ზეგავლენის გამო იძულებული გახდა პროტესტი განეცხადებია რუმინეთის მოქმედების წინააღმდეგ. (თუმცა უკვე 1920 წელში მან დაადასტურა იმ იმპერიალისტურ სახელმწიფოების მოქმედება, რომლებმაც ხელი მოაწერეს „ხელშეკრულებას“ ბესარაბიის ჩამოშორების შესახებ საბჭოთა კავშირისაგან. ამ ხელშეკრულებაში უმთავრეს დაინტერესებულ მხარეების—ბესარაბიის მოსახლეობისა და საბჭოთა კავშირის—მონაწილეობის გარეშე). თავის დროზე ვილსონის მთავრობის (ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატები) წარმომადგენელიც კი აძლევდა რუმინეთს წინადადებას, მოეწყო პლებისციტი, რათა გამოერკვია—თუ რამდენად „სურს“ ნამდვილად ბესარაბიის მოსახლეობას რუმინეთთან შეერთება. მაგრამ მოძალადენი უსინდისოდ გაექცენ პლებისციტს, ვინაიდან იცოდენ, თუ როგორი შედეგები ექნებოდა მათთვის ამას.

საბჭოთა კავშირს არა ერთხელ განუცხადებია, რომ ის ერთხელ და სამუდამოდ იღებს ხელს იმ პრეტენზიებზე ბესარაბიის მიმართ, რომლებიც ემყარება ყოფილი მეფის მთავრობის ბესარაბიაზე ბატონობის ფაქტს, მაგრამ საბჭოთა კავშირი ამდენადვე კატეგორიულად აცხადებს უარს სცნოს რაიმე ფორმით რუმინეთის ბატონობა ბესარაბიაზე, რომელიც დამყარებულია ხიშტით, სახრჩობელათი და ბესარაბიის ხალხის ყველა უფლებების უტიფრად გათელვით. საბჭოთა კავშირი იძლეოდა და იძლევა წინადადებას, რომ მოეწყოს თავისუფალი საყოველთაო პლებისციტი, რომლითაც ბესარაბიის მოსახლეობას საშუალება ექნება მის გულზე მიბჯენილ ხიშტის გარეშე გამოსთქვას თავისი სუვერენული ნებისყოფა თავის სახელმწიფოს კონსტიტუციის შესახებ.

საბჭოთა კავშირის ეს უცვლელი პოზიცია მშვენივრად იციან ერთა ლიგის ყველა პაციფისტებმა, მაგრამ ისინი არ თანხმდებიან პლებისციტზე, ვინაიდან ძლიერ კარგად იციან, თუ როგორი მკვიდრი სიმპატიები საბჭოთა კავშირის მიმართ არის ჩანერგილი ბესარაბიის მშრომელ მასებში. მათ განსაკუთრებით ეხლა ეშინიათ ამ სიმპატიების გამომჟღავნების, ვინაიდან ინგლისი, რომელიც მთავარ როლს თამაშობს ერთა ლიგაში, უკანასკნელ დროს ძლიერ ზრუნავს, რათა გაამაგროს „მოსაზღვრე ბარიერი“ საბჭოთა კავშირის გარშემო, სამხედრო ავანტიურების მომზადების მიზნით.

ტყუილა კი არ არის, რომ რუმინეთის პრესამ უკანასკნელ დროს ერთნაირათ შეიცვალა კილო: თუ დღემდე რუმინული გაზეთები განუწყვეტლივ არწმუნებდენ ქვეყანას, თითქოს მოლდაველები სცხოვრობენ მხოლოდ ოკუპაციაქმნილ ბესარაბიაში, თითქოს მოლდავიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა—ეს არის ხელოვნურად შექმნილი რესპუბლიკა „უმოლდაველებოდ“, სამაგიეროდ ამ ბოლო დროს იგივე პრესა უკვე გაჰკივის მრავალ ასეულ ათას მოლდაველების შესახებ, რომლებიც სცხოვრობენ დნესტრის მარცხენა ნაპირზე და „სწყურიათ“ შეუერთდენ დნესტრის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებ თავის ძმებს, რა თქმა უნდა, რუმინეთის სამეფო გვარეულობის დეგენერატების მაღალი ხელისუფლების ქვეშ. ამ „ახალ კურსში“ არ შეიძლება არ დავინახოთ აგრესიული ტენდენციები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომლებსაც უნერგავს რუმინეთის „საზოგადოებრივ აზრს“ ინგლისის იმპერიალიზმი.

საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები მიჩვეული არ არიან იმას, რომ შეუშინდენ ამგვარ მუქარას. რუმინეთის მიერ ბესარაბიის ყაჩაღურად დაპყრობის შემდეგ ათი წლის თავის შესრულების სამგლოვიარო დღეს ისინი გამოხატავენ თავის სოლიდარობას ბესარაბიის მშრომელთადმი და მოუწოდებენ მათ მიბაძონ თავის ქვეყანაში საბჭოთა კავშირის მშრომელთ, რომელთაც იპოვეს ერთად-ერთი სწორი გზა თავის განთავისუფლებისათვის მეურნეობისა და კულტურის აღორძინებისა და განვითარებისათვის, ყოველგვარ ნაციონალურ და სხვა სახის ჩაგვრის მოსპობისათვის.

ჩვენ ქუდს ვიხდით იმ ათეულ ათასობით მსხვერპლთა ხსოვნის წინაშე, რომლებიც დაიღუპენ რუმინელ მემამულეთა ხელით ბესარაბიის ქალაქებსა და სოფლებში, და გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ახლოა ის ჟამი, როდესაც ევროპის პროლეტარული რევოლიუცია ერთხელ და სამუდამოდ აღგავის დედამიწის პირიდან ევროპის იმპერიალიზმის მთელ საზიზღარ და გახრწნილ სისტემას და მოსპობს იმის შესაძლებლობას, რომ კიდევ არსებობდეს ან ხელახლა წამოიჭრას ისეთი უაღრესად ტრაგიკული „საკითხები“, როგორც არის ბესარაბიის საკითხი.

„პრავდა“, 26 იანვარი.

შეერთებული შტატების მთავრობა დეტერდინგის წინააღმდეგ
იაპონიის პრესა კმაყოფილია საბჭ. კავშირთან შეთანხმებით
ინგლისელ მუშების ბრძოლა გენსაბჭოს გამცემლობასთან

მსოფლიო ნავთის ტრესტების ბრძოლა
ამერიკის ბურჟუაზია მუქარიდან საქმეზე გადადის

ვაშინგტონი, 25 იანვარი. ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრმა **ვილბურმა** შემდეგი განკარგულება გასცა: გამოძიებულ იქნას იმ ნავთის გაყიდვის შემთხვევები, რომელიც ამოღებულია „როიალ დეჩ შელის“ (დეტერდინგის ტრესტია), მიერ შეერთებული შტატების სამხ. სამინისტროსათვის იჯარით გადაცემულ ნავთის სამრეწველოებიდან კალიფორნიაში. გაზეთების ცნობით, ნავთი უკანონოდ გაჰყიდა ამერიკის ნავთის კომპანიამ, რომელსაც იჯარით აქვს აღებული ნავთიანი ადგილების ნაწილი კალიფორნიაში. **ვილბურის განკარგულება ადასტურებს იმ ხმებს, რომ ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების მთავრობა აპირებს კამპანიის დაწყებას „როიალ დეჩ შელის“ ხელმძღვანელის დეტერდინგის წინააღმდეგ, რათა ხელი შეუშალოს მის ცდას, დაეპატრონოს ამერიკის ნავთიან ადგილებს.**

კონკურენციის თავიდან აცილებლად.

ლონდონი, 25 იანვარი. კალკუტიდან მიღებული ცნობით, დეტერდინგის წარმომადგენლები მოითხოვენ რომ ინგლის-ინდოეთის მთავრობამ დააწესოს შემოსაზიდი ბაჟი საბჭოთა ნავთზე, რადგან ეს მიაჩნიათ კონკურენციის ერთად-ერთ საშუალებათ „სტანდარტ ოილის“ წინააღმდეგ, რომელიც საბჭოთა ნავთს ჰყიდის ინდოეთში.

ამხ. მარტის დაპატიმრება

პარიზი, 25 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „პოლიციის ორმა აგენტმა, რომლებიც ღამით ბულონის რაიონში იმყოფებოდენ, ერთ-ერთი ქარხნის შესავალში შეამჩნიეს ორი კაცი. აგენტებმა მათ წინადადება მისცეს დაესახელებიათ თავისი ვინაობა. მაგრამ მათ ამაზე უარი განაცხადეს. გაჩხრეკის დროს ერთ მათგანს აღმოაჩნდა გატენილი რევოლვერი. როდესაც დაკავებულები მიჰყავდათ კომისარიატში, იმან, რომელსაც აღმოაჩნდა რევოლვერი, წარუდგინა აგენტებს სადეპუტატო ბარათი მარტის სახელზე და პროტესტი განაცხადა დაპატიმრების წინააღმდეგ. დღეს დილიდან მარტი მოთავსებულია საპყრობილეში. მარტის თანამგზავრი, რომლის პიროვნება ვამორკვეველია, დაკავებულია“ (ადს).



ამხ. ანდრე მარტი

იაპონიის პრესა საბჭ. კავშ. შეთანხმების შესახებ
კმაყოფილებას გამოსთქვამენ

ტოკიო, 25 იანვარი. გაზეთი „ხოჩი“ ესალმება იაპონია-საბჭოთა კონვენციაზე ხელმოწერას და მიაჩნია მისი დადება ორ სახელმწიფოს შორის მეგობრობის განმტკიცებათ; გაზეთი აკრიტიკებს ტანაკას კაბინეტს, რომელმაც ვერ შესძლო ამ საკითხის მოგვარება გოტოს დაუხმარებლად.

საბჭ. კავშირთან საქმიანი თანამშრომლობისათვის
ამერიკის ვაჭარ-მრეწველები უოლის გამოსვლის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 25 იანვარი. ამერიკის სამრეწველო წრეების ორგანო, „ჟორნალ ოფ კომერსი“ იწონებს რუსეთ-ამერიკის სავაჭრო პალატის პასუხს, რომელიც მან გასცა „ნაციონალურ სამოქალაქო ფედერაციის“ თავმჯდომარეს და შრომის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე—უოლლს; უოლი მოითხოვდა, რომ პალატას ზომები მიეღო „ჩრდ. ამერ. შეერთებულ შტატებში საბჭოთა მთავრობის კომუნისტური პროპაგანდის შესაწყვეტად“.

გაზეთი სწერს: პალატა სამართლიანად აღნიშნავს, რომ პოლიტიკური გამოსვლები არ შედის მის ვალდებულებათა წრეში, ეს ვალდებულებები მხოლოდ იმით ამოიწურება, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ქვეყნისა და ამერიკის ვაჭრობას. **ამერიკელები ცდილობენ განავითარონ ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან და არ შეუძლიათ ჩაურიონ პოლიტიკა საქმიან ურთიერთობაში. რეაქციონური „ნიუ-იორკ ივნინგ პოსტიც“ კი ირონიით იხსენიებს უოლის შიშს.**

თეთრგვარდიელთა ბანაკი ირღვევა

ვენა, 24 იანვარი. სოფიიდან მიღებულ ცნობის თანახმად, რუსმა ემიგრანტებმა ბულგარეთში ცოტა ხნის წინად დაარსეს „რუსების სამშობლოში დაბრუნების ორგანიზაცია“. ეს ორგანიზაცია თავის მიზნად ისახავს ყველა იმ დაბრკოლებების დაძლევას, რომლებსაც ბულგარეთის მთავრობა და რუსი გენერლები ქმნიან ყველა იმათთვის, ვისაც სურს, საბჭოთა კავშირში დაბრუნება. ორგანიზაციამ მოწოდებით მიმართა ბულგარეთის პარლამენტს, ადამიანის უფლებების დამცველ ლიგის ბულგარულ სექციას და ბულგარეთის წითელ ჯვარს. მოწოდებაში ნათქვამია, რომ რუს-ემიგრანტების ორი მესამედი ბულგარეთში გამსჭვალულია ძლიერი სურვილით კვლავ იხილონ თავისი სამშობლო, მაგრამ ამისთვის მათ სასტიკად სდევნიან. **„ჩვენ გვსურს,**— ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში, — **პატიოსანი შრომით ვჭამოთ პური რუსეთში. რუსი ემიგრანტების სახელით ჩვენ მოვითხოვთ მოგვეცეს სამშობლოში თავისუფლად დაბრუნების უფლება. ჩვენ მოვითხოვთ ტერორის შეწყვეტას იმათ წინააღმდეგ, ვინც იბრძვის ამ უფლებისათვის“.** (ადს).

„გენერალური საბჭო მრეწველების ჯიბეში“
კამპანია „მრეწველობაში მშვიდობიანობის“ წინააღმდეგ

ლონდონი, 25 იანვარი. „დეილი-ჰერალდ“-ის რედაქცია იუწყება, რომ ის იღებს უამრავ წერილებს „მრეწველობაში მშვიდობიანობის“ წინააღმდეგ.

ბევრ წერილებში წამოყენებულია მოთხოვნილება, რომ „მრეწველობაში მშვიდობიანობის“ დამყარების შესახებ მოლაპარაკების წინასწარ პირობათ ჩაითვალოს 8 საათის სამუშაო დღის შემოღება მაღაროებში და მაღაროების მუშების ხელფასის აღდგენა იმ რაოდენობით, როგორიც არსებობდა 1926 წ. გაფიცვამდე (ადს).

მოლაპარაკება მრეწველებთან

ლონდონი, 25 იანვარი. კომუნისტურ ორგანო „უორკერ ლაიფ“-ში გამოქვეყნებულია საუბარი ერთ-ერთ მრეწველთან, რომელიც მონაწილეობას იღებდა „მრეწველობაში მშვიდობიანობის“ დამყარების საკითხის შესახებ გამართულ კონფერენციაზე.

ამ მრეწველმა არ მოისურვა თავისი ვინაობის გამჟღავნება.

ის ცნობები, რომელიც მან გადასცა „უორკერ-ლაიფი“-ს კორესპონდენტს, ნათელს ჰფენენ კონფერენციაზე გამართულ მოლაპარაკებას და სავსებით ამჟღავნებენ კუკის პოზიციას. კუკმა აიღო სიტყვა მონდის შესავალი სიტყვის და ბენ-ტერნერის საპასუხო რეპლიკის შემდეგ და პირდაპირ განაცხადა, რომ თუ გენერალურ საბჭო „უკვე ზის მონდის ჯიბეში“ მას სრულებით არა აქვს განზრახვა გაჰყვეს თავისი ამხანაგების ბედი.

კუკმა კონფერენციას უწოდა „ფარსი და თვალთმაქცობა“; მან ამხილა კონფერენციის მონაწილე თვითეული მრეწველი და აღნიშნა მუშათა წინააღმდეგ მიღებული რეპრესიების კონკრეტული შემთხვევები, აგრეთვე პროფკავშირებთან ბრძოლის შემთხვევები მათ წარმოებაში.

კუკმა მონაწილეობა არ მიიღო საუზმეზე, რომელზედაც მრეწველებმა გენერალური საბჭოს წევრები მიიწვიეს თათბირის შემდეგ.

არც ერთი მრეწველი არ გამოხმაურებია კუკის სიტყვას და მისთვის პასუხი არ გაუცია. სამაგიეროთ მკაცრად გააკრიტიკეს კუკი გენერალური საბჭოს წევრებმა (ეს გარემოება ადასტურებს კუკის განცხადებას, რომელიც მან კონფერენციის შემდეგ გააკეთა: „იმ დროს, როდესაც მრეწველები ჩუმად იხსდენ, ჩემმა ამხანაგებმა ულმობელი იერიში მოიტანეს ჩემზეო“). გაათრებით ილაშქრებდა კუკის წინააღმდეგ ბენ ტორნი, რომელმაც განაცხადა: ახალგაზრდობის დროს მეც ვიყავ „ველური სოციალისტი“, მაგრამ დიდი ხანია შევიგნე, რომ „მრეწველობის გადარჩენა შეიძლება მხოლოდ წარმოების პატრონებთან თანამშრომლობის გზით“.

ძლიერი სიტყვა წარმოსთქვა კუკის წინააღმდეგ ბენ-ტილეტმა, რომელმაც შეაქო მონდის „ბრძნული“ სიტყვა და მკაცრი იერიში მიიტანა იმ „შარლატანებზე“, რომლებიც კონფერენციის ჩაშლას ცდილობენ“.

კუკის წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე სიტრინი. ამის შემდეგ ბევრი შეეკითხა მრეწველებს, თუ რამ აიძულა ისინი რომ კონფერენცია მოეწვიათ? მრეწველებმა განაცხადეს: „ედინბურგში გამართულ პროფკავშირთა ყრილობის თავმჯდომარის ჩიკსის სიტყვამო“.

კონფერენციაზე დამსწრე ჩიკსი, რომელიც ერთ დროს მემარცხენე ფრთას ეკუთვნოდა, წამოდგა და განაცხადა: მე ბედნიერი ვარ იმ აზრის მოსმენის გამო, რომ ჩემი სიტყვა დღევანდელი „დიდი კრების“ საბაბად გადაიქცა (ადს).

პუანკარეს „დემოკრატია“
ქალაქის თვითმართველობის გაჩხრეკა

პარიზი, 25 იანვარი. პუანკარეს და საროს წინადადებით პრეზიდენტმა **დუმერგმა** ხელი მოაწერა დეკრეტს ხაგენოს მუნიციპალურ საბჭოს დათხოვნის შესახებ (ქვემო-რეინის პროვინცია).

„იუმანიტე“ ამ რეპრესიულ ზომას იმით ხსნის, რომ ხაგენოს მუნიციპალიტეტმა გამოსთქვა შეხედულება, რომელშიც არ იწონებდა მთავრობის პოლიტიკას ავტონომისტების მიმართ და უარი განაცხადა შეერთებოდა პუანკარეს მიწვევას ელზასში, რაც მიიღეს ელზასის ყველა ქალაქების მოურავებმა (ადს).

„ამშვიდებენ“ ინგლისს

ვაშინგტონი, 25 იანვარი. შეერთებულ შტატების მთავრობა, როგორც სჩანს სცდილობს დაამშვიდოს ინგლისის საზოგადოებრივი აზრი, რომელიც შეშფოთებულია ბრუკლინის (ნიუ-იორკის ნავთსადგური) საზღვაო სამმართველოს უფროსი პლენკეტის გამოსვლით. (პლენკეტის განცხადების აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ შეერთებულ შტატებს მოელის ომი ინგლისთან), პრესა აღნიშნავს, რომ პლენკეტის განცხადება და ჩრდილოეთ ამერიკის საზღვაო ძლიერების გადიდების მომხრეთა ანალოგიური განცხადებები წარმოადგენენ „ადმირალისტულ გადაჭარბებას, რომლის მიზანია კონგრესზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენით ახალ ასიგნობათა გადადება საზღვაო პროგრამისათვის“. (ადს).

(დეპეშების გაგრძ. იხ. მე-2 გვ.)

საქ. ცაკის სესია აჭარისტანში
25 იანვრის დილის სხდომა
კამათი აჭარისტანის მთავრობის ანგარიშის გარშემო

25 იანვრის დილის სხდომაზე გრძელდება კამათი აჭარისტანის მთავრობის მოხსენებათა გარშემო. კამათში პირველად გამოდის ამხ. ფერაძე (აჭარელი გლეხი).

ამხ. ფერაძის სიტყვა

არ შემიძლია არ აღვნიშნო, — ამბობს ამხ. ფერაძე, — ეს ბედნიერი დღე, დღე აჭარისტანისა და საქართველოს მშრომელთა ერთობისა, რომელნიც გასაბჭოებამდე ერთმანეთს დაშორებულნი იყვნენ თვითმპყრობელობისა და მენშევიკების პროვოკაციული პოლიტიკის წყალობით. სესიის ორი დღის მუშაობის განმავლობაში აქ გამოსული აჭარელი გლეხები თავის სიტყვებში მადლობას უძღვნიდენ საბჭოთა ხელისუფლებას. ეს იმის მაჩვენებელია, რომ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება ახლო მიუდგა გლეხს, გაიგო მისი საჭიროება და გაუადვილა მდგომარეობა. მენშევიკური ხელისუფლების ოთხი წლის არსებობის განმავლობაში აქ, აჭარისტანში მუდამ თოფის წამლის სუნი ტრიალებდა, აჭარლებსა და ქართველებს შორის მტრობა სუფევდა და ეს მტრობა ხშირად სისხლის ღვრამდე მიდიოდა. ახლა ჩვენ სულ სხვა სურათს ვხედავთ. საგანგებო რწმუნებულთა და გენერალ-გუბერნატორთა მაგიერ ჩვენში მოდის საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ბაასობს ჩვენთან, ეცნობა ჩვენს საჭიროებას და გვიჩვენებს ჩვენი კეთილდღეობის სწორ გზას. ამით აიხსნება სიყვარული საბჭოთა ხელისუფლებისადმი და გლეხთა მიერ მის მიმართ წარმოთქმული ქება-დიდება. აჭარისტანის მთავრობის მოხსენებანი გვიჩვენებენ, თუ რა დიდი შედეგებისათვის მიგვიღწევია. აჭარელ გლეხთა სახელით კვლავ გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას არა მარტო აჭარისტანის, არამედ მთელი საქართველოს მუშათა და გლეხთა საკეთილდღეოდ.

ამხ. ქურციკაშვილის სიტყვა
(თელავის მაზრა)

აქ წაკითხულ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყველა ფრონტზე აჭარისტანს გაცილებით უფრო მეტი მიღწევები ჰქონია, ვიდრე საქართველოს სხვა რესპუბლიკებს. მაგრამ მიღწევებთან ერთად არსებობს დეფექტებიც, მაგალითად, სოფლად მუშაობის საქმეში. ამ მუშაობის ერთ-ერთი დეფექტი ის არის, რომ გლეხთა ფართო მასები ჩაბმული არ არიან საბჭოთა აღმშენებლობაში, გლეხობა აქ, ამ სესიაზე გამოდის და მადლობას გამოსთქვამს, მაგრამ, ამავე დროს, საკმაო თაოსნობას არ იჩენს. საჭიროა, რომ მან საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად ენერგიულად მოჰკიდოს ხელი თავისი მატერიალური მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას. მომხსენებელნი ლაპარაკობდენ მუშა-ხელის სიჭარბის შესახებ. საჭიროა შეკავშირება კოლექტივებად, მეტადრე თურქეთთან მოსაზღვრე რაიონებში, სადაც მათ შეუძლიათ თურქულ მოსახლეობას ინტერესი გაუღვიძონ კოლექტიური შრომისადმი.

აჭარისტანის მთავრობა ამბობს: რაც მეტს მოგვცემენ, მით უფრო მეტს გავაკეთებთო. ეს მართალია, მაგრამ ამასთანავე ერთად: ეს იმას ამტკიცებს, რომ აჭარისტანის მთავრობა საკმაო თაოსნობას ვერ იჩენს. საჭიროა გადასვლა მტკიცე, უდეფიციტო ბიუჯეტზე. თელავის მაზრა ამ მხრივ პრაქტიკულ მუშაობას შეუდგა. აღმასკომი საძოვრებს აფართოებს და მათი შემოსავალი საკმაო რესურსებს გვაძლევს უდეფიციტო ბალანსის შესადგენად.

ამხ. სურმანიძის სიტყვა

სახალხო განათლების ფრონტზე უნდა აღვნიშნო ერთი თვალსაჩინო ნაკლი. ახალგაზრდობა, რომელიც სწავლას ამთავრებს აჭარისტანის გარეთ, ცდილობს იქვე დარჩეს და არ დაბრუნდეს აჭარისტანში.

ასეთი მოვლენა შეუწყნარებელია, ვინაიდან სხვა ვინ წასწევს წინ სახალხო განათლებას, ვინ შეიტანს კულტურას ჩამორჩენილი გლეხობის ქოხებში, თუ არა თვითონ აჭარლები. საჭიროა, რომ განათლება მიღებული ახალგაზრდობა ისევ აჭარაში ბრუნდებოდეს. აქ ბევრს ლაპარაკობდენ თურქული ენის სწავლების შესახებ. მართალია, ჩვენში ამ ენას ყოფილი მოლლები ასწავლიან, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ მოსწავლე ახალგაზრდობაზე მათი გავლენის მნიშვნელობა მეტის-მეტად გადაჭარბებულია. რადგან თურქული ენის საკმაოდ მომზადებული მასწავლებლები არა გვყავს, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, ხელ-ახლა მოგვემზადებინა მოლლა-მასწავლებლები და მით რაოდენიმდე მაინც შევესუსტებინა ეს მტკივნეული მოვლენა.

პაოლო იაშვილის სიტყვა

აქ გამოსული ორატორები კულტურულ მუშაობაზე ლაპარაკის დროს მხოლოდ სასკოლო მშენებლობას ეხებოდნენ და სრულებით არ ეხებოდნენ ამ მუშაობის სხვა მხარეებს. აქ ლაპარაკი იყო აგრეთვე რელიგიისა და იმ გავლენის შესახებ, რომელსაც მოლლები მოსახლეობაზე ახდენენ. რელიგიასთან ბრძოლის ერთ-ერთი იარაღია კლუბები და სწორედ ეს კლუბები არაა საკმაო აჭარაში. მეჩეთებისთვის დასაპირდაპირებლად, რომელიც თითქმის ყველა სოფელში გვხვდება, არ არსებობს სათანადო კულტურული კერები, რომ მათ შეეძლოთ გლეხობის გულისყური მოაშორონ რელიგიურ ადათ-წესებს და განუმარტონ სარწმუნოებათა რაობა. საჭიროა შევავსოთ ეს ნაკლი საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედებით მუშაობაში და მეჩეთს დაუპირდაპიროთ კლუბები, კინო და სხვა, რათა გლეხის ყურადღება მთლიანად, მივიზიდოთ და გლეხი მეჩეთში სიარულს გადავაჩვიოთ.

დასასრულ აღვნიშნავ, რომ შვიდი წლის წინად ქალაქ ბათომში შედგა სესია, რომელიც ჯამს უკეთებდა არა თავის მიღწევებს, არამედ თავის დამარცხებას. ეს იყო მენშევიკური სესია. დღევანდელი სესია ჯამს უკეთებს ნაწილობრივ მიღწევებს აჭარისტანის საბჭოთა ხელისუფლების მუშაობაში. ჩვენ, უპარტიო ინტელიგენციას გვწამს, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სწორი გზა აიღო, როგორც საქართველოს მიმართ, ისე, კერძოთ, აჭარისტანის მიმართაც და რომ, ეს გზა ამ რესპუბლიკების მშრომელ მოსახლეობას მიიყვანს იმ სესიამდე, რომელზედაც მთავრობა გააკეთებს სანგარიშო მოხსენებას თავის სრულ და საბოლოო მიღწევების შესახებ.

ამხ. ლორთქიფანიძის სიტყვა
(აჭარისტანის განათლების სახ. კომისარი)

ჩვენს კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყანაში ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები სახალხო განათლების საქმეში და ამავე დროს არის საგრძნობი დეფექტებიც, რომელთაც მე მინდა შევეხო. სასკოლო ქსელის განვითარება წარმოუდგენელია ისე, თუ არ არის მომზადებული მასწავლებლების სათანადო რაოდენობა და სათანადო შენობები. ამჟამად არსებულ 122 სკოლიდან მხოლოდ 106 სკოლას აქვს შენობები, რომელთა შორის 40 პროცენტს კაპიტალური შეკეთება ესაჭიროება. ამ შენობების უმრავლესობა ჩვენ იჯარით გვაქვს აღებული, რაზედაც უზარმაზარი თანხები იხარჯება. მამია ორახელაშვილმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ არსად ისე ცუდად არ არის დაყენებული სასკოლო საქმე, როგორც ჩვენში. ამას თავისი მიზეზები აქვს სწავლის დაწყებიდანვე მოწაფეებს საქმე აქვთ სამ ენასთან: ქართულთან, თურქულთან და არაბულთან. პირველ ორ ენას მოწაფეები სწავლობენ სკოლაში, ხოლო უკანასკნელ ყურანის კითხვის დროს მოლას ხელმძღვანელობით. ბუნებრივია, რომ ასეთი სწავლება აფერხებს მოსწავლის წინსვლას, ვინაიდან ერთის მხრივ ის სწავლობს წერას (არაბული) მარჯვნიდან მარცხნივ, ხოლო მეორეს მხრივ მარცხნიდან მარჯვნივ. ჩვენ ეს საკითხი უკვე დავსვით აჭარისტანის მასწავლებელთა კონფერენციაზე, მაგრამ არავითარი კონკრეტიული ღონისძიება არ ყოფილა შემუშავებული. სათანადო აგიტაციო კამპანიის დაწყება გლეხებს შორის, რომ მათ არავითარ შემთხვევაში არ გაგზავნონ თავიანთი ბავშვები მედრესეში, სანამ ისინი არ დაამთავრებენ ორ ჯგუფს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ თურქულ ენაზე ასწავლიან მოლლები, მაგრამ ეს ჯერ-ჯერობით ხდება აუცილებლობის გამო. მოლლებმა გაიხადეს სასულიერო ტანისამოსი მაგრამ მასწავლებლებათ ისინი მაინც არ ვარგან, ვინაიდან ადგილობრივ გლეხებს სურს, რომ მათმა ბავშვებმა იცოდენ თურქული ენა, საჭიროა ჩვენ პედაგოგიურ ტექნიკუმებში თურქული ენის სათანადო მასწავლებლები და ამით მოვსპოთ აღნიშნული ნაკლი. გლეხური ახალგაზრდობა ოთხწლედის დამთავრების შემდეგ ბრუნდება უკან სახლში ისე, რომ მას არ შეუძლია გამოიყენოს მიღებული განათლება. საჭიროა გავხსნათ გლეხური ახალგაზრდობის მთელი რიგი სკოლები სასოფლო-სამეურნეო გადახრით.

ამხ. მათიკაშვილის სიტყვა

აჭარისტანის საბჭოებს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ იმ მხრივ, რომ მათ შემადგენლობაში თითქმის, მხოლოდ ღარიბები შედიან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საბჭოები არ იჩენენ ინიციატივას, არ არიან ჩაბმულნი პრაქტიკულ საბჭოთა მუშაობაში, უნდა აღინიშნოს აგრეთვე სამაზრო აღმასკომების არა სავსებით დამაკმაყოფილებელი მუშაობა, სამაზრო აღმასკომები მხოლოდ ადმინისტრატიულ საქმეებს განაგებენ, ხშირად მილიციის როლს თამაშობენ და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ კულტურულ და სხვა სამუშაოებს. ამას უნდა დაუმატოთ, რომ აჭარისტანის სამაზრო აღმასკომები ბიუჯეტის მხრივ სრულებით არ არიან დამოუკიდებელნი, მათ არა აქვთ საკუთარი ბიუჯეტი, რაც ხშირად იწვევს გადაუდებელ საკითხების გადაჭრის შეფერხებას და საქმის გაჭიანურებას. ასეთივე ნაკლულოვანებები აქვთ გლეხკომებს. მომავალში საბჭოებმა და გლეხკომებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური ენერგია და ინიციატივა, უამისოდ აღმშენებლობის საქმე, აჭარისტანის მშრომელთა კეთილდღეობის გადიდების საქმე მეტად ნელი ნაბიჯით წავა წინ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

კამათში უკანასკნელად გამოვიდა ამხ. ფილიპე მახარაძე.

ამხანაგებო, ჩვენ მოვისმინეთ აჭარისტანის მთავრობის ორი მოხსენება და ოცამდე ორატორის სიტყვა ამ მოხსენებების გარშემო. დღეს ჩვენ ვამოწმებთ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას აჭარისტანში, ვარკვევთ მშრომელთა მოთხოვნილებებს, ვარკვევთ მიღწევებს და დეფექტებს. ყველაფრიდან სჩანს, რომ აჭარისტანში სწარმოებს გეგმიანი მუშაობა. სამთამადნო მრეწველობა აჭარისტანში მეტად სუსტია, რომ აქ შეიძლებოდეს ლაპარაკი მსხვილი ინდუსტრიის შესახებ, მაგრამ სამაგიეროთ აქ არის სხვა ბუნებრივი სიმდიდრენი. აჭარისტანის სასოფლო მეურნეობას უდიდესი პერსპექტივები აქვს. აქ წარმატებით ხარობს ჩაი, ლიმონი, მანდარინი და სხვა შემოსავლიანი ტექნიკური კულტურები, რომელთაც შეუძლიათ ქვეყნის გამდიდრება. სწორედ სასოფლო მეურნეობის ამ დარგების განვითარებას უნდა მიექცეს მაქსიმალური ყურადღება. მიწის ნაკლებობასთან საბრძოლველად საჭიროა ჭაობების ამოშრობა და წვრილი დაქსაქსული მეურნეობების გაერთიანება კოლექტივებში. ამასთანავე ერთად საჭიროა, რათა ფართოდ იქნეს დაყენებული კოლექტიურ მეურნეობათათვის კრედიტის მიწოდება და კოლექტიურ სამანქანო და სხვა ამხანაგობათა ორგანიზაცია. აქ გამოდიოდენ აჭარელი გლეხები და ითხოვდენ გზების გაყვანას, ხიდების და სკოლების აგებას და სხვ., ამხანაგებო, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საქართველოს მთავრობა, ჩამოვიდა რა აჭარისტანში, დააკმაყოფილებს ადგილობრივ გლეხობის ყველა საჭიროებებს და მოთხოვნილებებსო. ის რასაკვირველია, მიიღებს ზომებს გადაუდებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის, მაგრამ ამასთანავე ერთად თვით მშრომელებმა უნდა გამოიჩინონ დიდი ინიციატივა და ენერგია თავისი მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. ამ მხრივ ბათომმა პირველხარისხოვანი როლი უნდა ითამაშოს. არა ნორმალურია ის გარემოება, რომ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ამიერ-კავკასიაში ქალაქები, რომლებიც მდებარეობენ კულტურულად უაღრესად ჩამორჩენილ სოფლების ახლოს, ვერ ახერხებენ კავშირის გაბმას ამ სოფლებთან და ვერ უწყობენ ხელს მათ კულტურულ დაწინაურებას. ვამთავრებ რა ჩემს სიტყვას მე დარწმუნებული ვარ, რომ [illegible] სესია გამოარკვევს მიღწევებს და ნაკლოვანებებს საბჭოთა ხელისუფლების მუშაობაში აჭარისტანში და გამონახავს სწორ გზას შემდგომ შეუფერხებელ განვითარებისათვის.

25 იანვრის საღამოს სხდომა
ამხ. გამყრელიძის საბოლოო სიტყვა

სესიის 25 იანვრის საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. გამყრელიძე.

დროის უქონლობის გამო, — ამბობს ის,— მე თავის მოხსენებაში არ შემეძლო დაწვრილებით დამეხასიათებია ჩვენი ზრდის და მდგომარეობა, რომელიც არსებობს ამჟამად. ნება მომეცით პირველ რიგში უპასუხო აჭარისტანის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ ამხანაგების კითხვებზე. ისინი უმთავრესად აყენებდენ აღმშენებლობის საკითხებს, რომლებიც მათ ყველაზე უფრო აინტერესებთ. ბუნებრივია, რომ ის ზრდა, რომელიც ჩვენ გვაქვს ჩვენში ფრონტის ყველა კუთხეებში, გლეხობას შორის იწვევს მოთხოვნილებების ზრდას. აქედან გამომდინარეობს მოთხოვნილებები დამატებითი გზატკეცილების გაყვანის შესახებ, ხიდების აგების, საავადმყოფოს აშენების შესახებ და სხვ. მაგრამ, ამხანაგებო, აქ არის ერთი „მაგრამ“. პირველ ყოვლისა ანგარიში უნდა გაეწიოს იმ შესაძლებლობებს და რესურსებს, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება. აქ ერთ-ერთმა ამხანაგმა მოიყვანა ქართული ანდაზა იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ შევეჩვიეთ მოთხოვნილებების წაყენებას, ხოლო თვითონ არ ვაკეთებთ იმას, რის გაკეთებაც შეგვიძლია. ამას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება. მაგალითად, ჩვენ გვეუბნებიან, რომ გზატკეცილები ზვავების გან გაწმენდილ უნდა იქნეს სახელმწიფოს ხარჯზე. მე ეს სრულიად შემცდარათ მიმაჩნია. გლეხებმა, რომლებიც ფაქტიურად სარგებლობენ გზით, თვითონ უნდა გაასწმინდონ ის. ეს პრინციპი ჩვენში სუსტად ტარდება. ადგილებზე მომუშავე ამხანაგების ამოცანაა მაქსიმალურად გამოიყენონ ყველა საშუალებები და შესაძლებლობანი, რომლებიც აქვს გლეხობას.

დავასახელებ მეორე მაგალითს: აჭარისწყალის აღმასკომის თავმჯდომარემ ოთხი თვის განმავლობაში არ შეიწუხა თავი იმით, რომ მოეხდინა მასების მობილიზაცია სკოლის ასაგებათ, რაზედაც ფული უკვე გადადებული იყო. ეს მაშინ, როცა გლეხობის მონაწილეობით უკვე აგებულია სკოლები სხვა მაზრებში, მაგალითად ხულოს მაზრაში. თუ ერთ მაზრას აქვს ასეთი შესაძლებლობანი, რატომ არ უნდა ჰქონდეს ის მეორეს. საჭიროა, რათა მთელი ძალღონე მივმართოთ იქეთკენ, რომ მაქსიმალურად განვავითაროთ აქტივობა და გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობანი, რომლებიც ჩვენ ხელთ არის. მე ჩამოვთვალე თუ რა გაკეთდა აღმშენებლობის ხაზით წარსულში. ეხლა მოგახსენებთ რა კეთდება ამჟამად. ჩვენ ვაშენებთ ოთხ ახალ ხიდს, რვა ახალ სკოლას და შეუდექით წინად დაწყებულ ხიდების დამთავრებას, ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ ჩვენ სამაზრო კოოპერაციას გამოელია საქონელი. ეს მართალია, მაგრამ ეს საერთო მოვლენაა, დეე ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ეს მხოლოდ აჭარისტანის სოფელში ხდება. ეს აიხსნება მით, რომ ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპი თუმცა გაძლიერდა, მაგრამ მასების მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზარდა და საწარმოო შესაძლებლობანი სავსებით ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებებს. კამათში ამხანაგებმა წამოაყენეს საკითხი მდინარე ჭოროხის და კინტრიშის რეჟიმის შესახებ. საკითხი ამ მდინარეების რეჟიმის შესახებ დასმულია სათანადო ორგანოებში და სწარმოებს მისი შესწავლა, სდგება პროექტები, მაგრამ საჭირო ღონისძიებების განხორციელების შესახებ, რაც მნიშვნელოვან თანხებს მოითხოვს, ეხლა არაფერის თქმა არ შემიძლია. უნდა აღვნიშნო, რომ ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჭოროხის რაიონისათვის. მდინარე ჭოროხის ნაპირის გამაგრება აუცილებელია ახლო მდებარე სოფლებისათვის, რადგან წყალ-დიდობის დროს მდინარე დიდ ზიანს აყენებს ამ სოფლებს, განსაკუთრებით კახაბერის დაბლობში, იგივე უნდა ითქვას მდინარე კინტრიშის შესახებ. ეს მდინარე ემუქრება თვით ქობულეთს და განსაკუთრებით რკ. გზის ხიდს.

წყალდიდობისა და მის მიერ მოსახლეობისათვის მიყენებულ ზარალის შესახებ ვიტყვი, რომ ჩვენ დახმარება მივიღეთ საქართველოს და ამიერ-კავკასიის ორგანოებისაგან, რომელთაც მთელი სიგრძე-სიგანით დასვეს საკითხი საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს წინაშე. ამიერ-კავკასიის ორგანოებისაგან გზების აღსადგენად ჩვენ მივიღეთ დაახლოვებით 200 ათასი მანეთი.

ეხლა ორიოდე სიტყვა ჩვენი ახალგაზრდობისათვის თურქული ენის სწავლების შესახებ. აქ ამხანაგები სვამდენ კითხვას — საჭიროა თუ არა ეს ენა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ენის შესწავლა საჭიროა, მაგრამ ჩვენი ახალი თაობა უნდა გამოვსტაცოთ ხელიდან მოლლებს და ხოჯებს. საჭიროა დასმულ იქნეს საკითხი გამოცდილ მასწავლებელთა კადრის მომზადების შესახებ. ეს მასწავლებლები შესცვლიან იმათ, ვინც გონებას უბნელებს ჩვენ ახალგაზრდობას. ჩვენი სკოლები და კულტურულ განმანათლებელი მუშაობა უნდა დაუპირდაპიროთ იმ გავლენას, რომლითაც სარგებლობენ მოლლები და ხოჯები. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა ორგანოებმა მაზრებში და სოფლებში.

ეხლა სისხლის აღების შესახებ. ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ ასეთ მოვლენას ადგილი აქვს და ის მასიურ ხასიათს ღებულობს, ხოლო ამიტომ საჭიროა მიღებულ იქნეს სასტიკი ზომები ამ მოვლენის მოსასპობად. უნდა ითქვას, რომ აჭარისტანში მართლაც ადგილი ჰქონდა მკვლელობებს სისხლის აღების ნიადაგზე. მთავრობა იძულებული შეიქნა ამ მოვლენის წინააღმდეგ მიეღო უსასტიკესი ზომები თვით სასჯელის უმაღლეს ზომამდე, — უამისოდ ჩვენ ვერ მოვსპობთ წარსულ ამ ნაშთს. ჩემს მოხსენებაში მე შევეცადე აღმენიშნა ჩვენი მუშაობის არადამაკმაყოფილებელი მხარეები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ კულტურულ და ეკონომიურ სფეროებში შესრულებულია დიდი მუშაობა და ამ მუშაობის შედეგები გვაქვს. რასაკვირველია, ეს არ არის საკმარისი. ჩვენ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, კიდევ ბევრი ენერგია უნდა დაიხარჯოს ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების საქმეზე და ამას ჩვენ გავაკეთებთ მასების დახმარებით, მათზე დაყრდნობით. საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებთან თანამშრომლობაში ჩვენ შეთანხმებულად გავსწევთ წინ სოციალიზმის განხორციელებისაკენ. (მქუხარე ტაში).

ამხ. გოგიბერიძის საბოლოო სიტყვა

ამხ. გამყრელიძის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. გოგიბერიძე.

თითქმის ყველა გამოსული ორატორები—გლეხები, — ამბობს ის, — მოითხოვდენ გზების გაყვანას, ხიდების აგებას და სხვ. თავის მოხსენებაში მე უკვე აღვნიშნე, რომ აღმშენებლობის მხრივ ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რის გაკეთება კი შესაძლებელი იყო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ გაძარცული და გაღატაკებული ქვეყანა და ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ აქამდის, უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ის გაცილებით აღემატება საქართველოს ფარგლებში შემავალ სხვა რესპუბლიკების მიღწევებს. ამასთანავე ერთად მე არ შემიძლია არ აღვნიშნო გლეხების ინერტიულობა. საჭიროა, რათა გლეხებმა დიდი ინიციატივა გამოიჩინონ საკუთარ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. მარტო მთავრობა ყველაფერს ვერ დასძლევს.

მე შემეკითხენ ტერიტორიალურ ნაწილების შესახებ. უნდა აღვნიშნო, რომ აჭარლები უხალისოდ მიდიოდენ ტერიტორიალურ ნაწილებში, რადგან არ ესმოდათ მათი მნიშვნელობა. სათანადო განმარტების შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა.

მამია ორახელაშვილის სიტყვები ზოგიერთ აქ დამსწრე აჭარლებმა გაიგეს ისე, თითქოს ის თურქული ენის წინააღმდეგია. ეს არ არის ასე. თურქული ენა აჭარლებისათვის საჭიროა ისე, როგორც ქართული და რუსული ენა, მაგრამ აქ მასწავლებლად მოლლა არ გამოდგება. ამხანაგებო, სიტყვას აღარ გავაგრძელებ და ვიტყვი მხოლოდ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის მუშურ-გლეხური ხელისუფლება და ის ყოველთვის და ყველგან იქნება მუშების და გლეხების ინტერესების სადარაჯოზე.

რეზოლიუციის მიღება

აჭარისტანის მთავრობის მუშაობა სესიამ სცნო დამაკმაყოფილებლად, მისი საერთო ხაზი სწორად.

მთავრობის სანგარიშო მოხსენების გარშემო შემოტანილ წინადადებების დასამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია 20 კაცის შემადგენლობით.

დებულება ქალაქის საბჭოების შესახებ
ამხ. შ. მათიკაშვილის მოხსენება

25 იანვრის საღამოს სხდომაზე მთავრობის მოხსენების გარშემო რეზოლიუციის მიღების შემდეგ ქალაქის საბჭოების დებულების პროექტის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ცაკის მდივანმა ამხ. მათიკაშვილმა.

ამხანაგებო — ამბობს ის თავის მოხსენებაში, — მე დაწვრილებით არ შევჩერდები ქალაქის საბჭოების დებულების პროექტის ცალკე მუხლებზე. თვითეულ თქვენგანს აქვს ეს პროექტი, თქვენ პირადათ ეცნობით მას, მე კი აღვნიშნავ მხოლოდ მთავარ მომენტებს.

დებულების პირველ თავის თანახმად ქალაქის საბჭოები ეწყობა იმ ქალაქებში, სადაც არსებობს ცოტად თუ ბევრად განვითარებული მრეწველობა და, მაშასადამე, არსებობს მუშათა კლასიც. ამ შემთხვევაში ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმ მოსაზრებით, რომ ქალაქის საბჭოების წევრთა დიდ ნაწილს უნდა შეადგენდეს მუშები. ამ პრინციპის მიხედვით ქალაქის საბჭოები ეწყობა ქალაქ თბილისში, ბათომში, სოხუმში, ქუთაისში, გორში, ფოთში, ჭიათურაში, ხაშურში, ბორჯომში და სამტრედიაში,

დანარჩენ ქალაქებში კი როგორც მაგ. თელავში, სიღნაღში, ახალქალაქში, ოზურგეთში, შაუმიანში, ხონში და სხვ. ეწყობა სათემო საბჭოები ქალაქის საბჭოები ირჩევა შემდეგი ანგარიშით: თბილისში ერთი დეპუტატი 200 ამომრჩეველზე, ქუთაისში 150 ამომრჩეველზე, ბათომში 100 ამომრჩეველზე; ქალაქ. სოხუმში, ფოთში, გორში, ჭიათურაში, ხაშურში, ბორჯომში და სამტრედიაში ერთი დეპუტატი 50 ამომრჩეველზე. ქალაქის საბჭოები პასუხისმგებელნი არიან მათზე მაღლა მდგომ საბჭოების ყრილობების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების წინაშე, და აგრეთვე საქართველოს ცაკის წინაშე. იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის საბჭო არ ეთანხმება რაიმე საკითხში მასზე მაღლა მდგომ აღმასრულებელ კომიტეტს, საბჭოს უფლება აქვს გადაიტანოს საკითხი საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს (რიგის მიხედვით) ორგანოში. ამავე დროს არ უნდა იქნეს შეჩერებული აღმასრულებელ კომიტეტის გადაწყვეტილებანი. დებულების მეორე თავში ლაპარაკია ქალაქის საბჭოების გამგებლობაში მყოფ საკითხების შესახებ. ჩვენ შევეცადეთ დეტალურად ჩამოგვეთვალა ყველა საკითხები, რომლებიც ეხება ქალაქის საბჭოების მუშაობას და მიგვეცა საბჭოებისათვის მეტი უფლებები, როგორც ადმინისტრატიულ, ისე სამეურნეო დარგში.

დებულების პროექტის მესამე თავი ეხება ქალაქის საბჭოების პლენუმების მუშაობას. ამ თავის თანახმად სხდომებში მონაწილეობის მისაღებათ საბჭო იწვევს საბჭოს ყველა წევრებს და კანდიდატებს ქალაქის განყოფილებების გამგეებს და სათანადო აღმასრულებელ კომიტეტის ინსპექტორებს და აგრეთვე, ფაქტიურ შესაძლებლობის მიხედვით, — ფაბქარხკომიტეტების და ადგილკომების, პროფესიონალურ კავშირების, წითელი არმიის, ქალთა სადელეგატო კრებების და ამომრჩეველთა სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და წევრებს აძლევს რა მათ სათათბირო ხმის უფლებას.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად საბჭოების პლენუმებზე არ ისმება კითხვები, რომლებიც შედის მათ კომპეტენციაში და ამიტომ დებულებას სპეციალური მუხლი ითვალისწინებს, თუ რა საკითხები უნდა ირჩეოდეს საბჭოების პლენუმებზე.

დებულების მეოთხე თავი ეხება საბჭოების სტრუქტურას. ჩვენს სინამდვილეში არის ორი ტიპის ქალაქები. პირველი — სამაზრო ქალაქები, მეორე — ქალაქები, რომელთაც არა აქვთ მაზრა. ასეთებია: ფოთი, სამტრედია, ხაშური, ბორჯომი და ჭიათურა. აქამდის არასამაზრო ქალაქებში საბჭოები ეწყობოდა შემდეგნაირად. ქალაქის საბჭო ირჩევდა აღმასრულებელ კომიტეტს, უკანასკნელი კი ირჩევდა პრეზიდიუმს. მაგრამ პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ აღმასრულებელი კომიტეტები სრულებით ზედმეტი არიან. ჩვენის აზრით საბჭოს პლენუმი საჭიროა გადავაქციოთ ისეთ ორგანოთ, რომელიც გაარჩევს ყველა მნიშვნელოვან საკითხებს. პრეზიდიუმი ასრულებს მიმდინარე სამუშაოს. რაღა უნდა გააკეთოს აღმასრულებელ კომიტეტმა? ცხადია რა ამ გარემოებას დებულება ითვალისწინებს მხოლოდ პრეზიდიუმის არსებობას. ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი ქალაქის საბჭოს პლენუმის ერთი სხდომიდან მეორემდე წარმოადგენს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს ქალაქის ტერიტორიაზე.

დებულების პროექტის, მეხუთე თავი ეხება ქალაქის საბჭოების სექციებს და კომისიებს. დებულების მეთორმეტე მუხლი ამბობს: საბჭოების ყველა წევრების და მშრომელთა ფართე მასების ქალაქის საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმის მიზნით და აგრეთვე საკითხების წინასწარ დასამუშავებლად და ქალაქის საბჭოს და მისი პრეზიდიუმის ცალკე დავალებების შესასრულებლად ქალაქის საბჭოები იყოფიან სექციებათ მეურნეობისა და მმართველობის ცალკე დარგებთან შეფარდებით წევრების ნებაყოფლობით ჩაწერის საფუძველზე, მაგრამ საბჭოს თვითეულ წევრის აუცილებელ მონაწილეობით ერთ სექციაში მაინც. სექცია ხელს უწყობს ქალაქის საბჭოს მუშაობას მთლიანად და აგრეთვე კონტროლს უწევს საბჭოს აღმასრულებელ ორგანოების მუშაობას. სექციების რიცხვს და თვითეულ ცალკე სექციის ფუნქციებს განსაზღვრავს ქალაქის საბჭო. საბჭოების წევრების გარდა სექციების შემადგენლობაში გადამწყვეტი ხმის მქონე წევრებად შედიან პროფესიონალურ კავშირების, ფაბქარხკომების და ადგილკომების, წითელი არმიის და სხვ. წარმომადგენლები.

დებულების თანახმად სხვა სექციებს შორის დაარსებულ უნდა იქნეს კიდევ ორი ახალი სექცია, სახელდობრ სამოსამართლო ადმინისტრატიული და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციები. სამოსამართლო ადმინისტრატიული სექცია განიხილავს ყველა იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული არიან სამოსამართლო და საგამომძიებლო ორგანოებთან, და აგრეთვე პროკურატურის ორგანოებთან. აღნიშნულ საკითხების განხილვა ამ სექციაში აუცილებელია, რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლებას აღებული აქვს კურსი სამოსამართლო ორგანოების გაჯანსაღებისაკენ. მეორე ახალი სექცია მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექცია. ეს სექცია უნდა გადაიქცეს მასიურ ორგანოთ, რომელშიაც ჩაბმული იქნებიან მუშათა კლასის წარმომადგენლები ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციისათვის და სხვ.

ამხ. შ. მათიკაშვილი
სრ. საქართველოს ცაკის მდივანი

დებულების მეექვსე თავი ეხება ქალაქის საბჭოს წევრების და კანდიდატების უფლება-მოვალეობას და ბოლოს მეშვიდე თავში ლაპარაკია ქალაქის საბჭოს დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშის ჩაბარების შესახებ. დებულების მეოთხმოცე მუხლი ქალაქის საბჭოს წევრებს ავალებს რეგულიარულად, ერთხელ მაინც ექვსი თვის განმავლობაში, ჩააბარონ თავიანთ ამომრჩევლებს ანგარიში საბჭოს და თავისი მუშაობის შესახებ. ანგარიშის ჩაბარება უნდა ხდებოდეს ამისათვის სპეციალურად მოწვეულ კრებებზე. თუ კრება წარმოდგენილ ანგარიშს არადამაკმაყოფილებლად სცნობს, მას შეუძლია გამოიტანოს დადგენილება დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ და ეს გადაწყვეტილება არის საბოლოო და არ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას. დამოუკიდებლად ასეთ საანგარიშო კრებების მოწვევისაგან საბჭოს წევრები სარგებლობენ თავისი ამომრჩევლების თვითეული კრებით იმისათვის, რომ მიაწოდონ მათ ინფორმაცია საბჭოს მუშაობის შესახებ, საბჭოების, მისი სექციების და კომისიების წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს საკითხების განსახილველად, ამომრჩეველთა მითითებების მისაღებათ და სხვ.

ვამთავრებ რა ქალაქის საბჭოების დებულების პროექტის მოკლე მიმოხილვას, მე უნდა აღვნიშნო, რომ მისი დამუშავების დროს ჩვენ ვცდილობდით ქალაქის საბჭოები გადაგვექცია ისეთ ორგანოთ, რომელიც იქნება მუშათა კლასის პრაქტიკული სკოლა, სადაც პროლეტარიატი ისწავლის თავისი სახელმწიფოს მმართვას.

მოხსენების დამთავრების შემდეგ ამხ. მათიკაშვილს მისცეს მთელი რიგი კითხვები, რომელზედაც მან ამომწურავი პასუხი გასცა.

კამათი ამხ. მათიკაშვილის მოხსენების გარშემო

შემდეგ ამხ. მათიკაშვილის მოხსენების გარშემო გაიხსნა კამათი, რომელშიაც პირველად გამოვიდა ამხ. გ. ყურულაშვილი.

ამხ. გ. ყურულაშვილის სიტყვა

საკითხი ქალაქის საბჭოების შესახებ — ამბობს ყურულაშვილი — ჩვენ საკმაოდ დაგვიანებით დავსვით განსახილველად. უკანასკნელ დრომდე არსებულ ქალაქის საბჭოების მუშაობა არ იყო დამაკმაყოფილებელი. შესაძლებელია, რომ ეს აიხსნება სათანადო დებულების უქონლობით და აგრეთვე ქალაქის საბჭოების საკმაოდ შეზღუდული უფლებებით. აქამდის ქალაქის საბჭოების მუშაობა გამოიხატებოდა მხოლოდ პრეზიდიუმის ყოველდღიურ მუშაობაში, თვით საბჭოს საქმიანობა კი არაფერში არ ჩანდა. საბჭო იკრიბებოდა მხოლოდ საზეიმო დღეებში ან რაიმე საერთაშორისო საკითხის განსახილველად. ჩვენ მიერ მოსმენილი დებულების პროექტი ნათლად განსაზღვრავს ქალაქის საბჭოების მუშაობას, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ამ დებულებით მაინც არ ამოიწურება ქალაქის საბჭოების მუშაობის მთელი მრავალფეროვნობა. სესია დეტალურად განიხილავს ამ პროექტს და შეიტანს მასში ამა თუ იმ ცვლილებებს და დამატებებს და ამით მტკიცე საძირკველი ჩაეყრება ქალაქის საბჭოების მუშაობას. თუ წინად ქალაქის თვითმმართველობაში ისხდნენ ბურჟუაზიის წარმომადგენელნი, რომლებიც სწყვეტდნენ ქალაქის ბედ-იღბალს, ეხლა ამ უფლებებით აღჭურვილია მუშათა კლასი, რომელმაც ქალაქის საბჭოების მუშაობა უნდა მიმართოს მშრომელთა კეთილდღეობის გადიდებისაკენ.

26 იანვრის დილის სხდომა

საქართველოს ცაკის სესიის 26 იანვრის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. მათიკაშვილის მოხსენების გარშემო. პირველად გამოვიდა ამხ. თოდრია.

ამხ. თოდრიას სიტყვა

დებულება ქალაქ. საბჭ. შესახებ,—ამბობს ის—უკვე დიდი ხანია მუშავდება და არაერთხელ გადაიდო მისი დასამტკიცებლად წარმოდგენა. ჩემის აზრით, ის მისაღებია ყველა თავისი მუხლებით, გარდა ერთისა, სახელდობრ: ამ დებულების თანახმად ზოგიერთ ქალაქებს ერთმევა მათი მნიშვნელობა, ქალაქის სახელწოდება და იქ ქალაქის საბჭოების ნაცვლად ეწყობა სათემო საბჭოები. მაშინ, როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მრეწველობისა და აღმშენებლობის აღორძინებისა და განვითარების შესახებ ქალაქებში, რომელშიაც უახლოეს მომავალში ადგილი ექნება მუშათა ელემენტების უდიდეს ზრდას, ამ დროს ჩვენ ვართმევთ ქალაქებს მათ მნიშვნელობას და ვაქცევთ მათ სათემო ცენტრებათ. ასეთი ღონისძიებები მიზანშეუწონლად მიმაჩნია თუნდაც იმიტომ, რომ ისეთი ქალაქები, როგორც ოზურგეთი, ზუგდიდი და სხვები, სწრაფი ტემპით ვითარდებიან და ამასთანავე აქ იზრდება მოსახლეობის მუშური ნაწილი. თუ ჩვენ ეხლავე არ შევიტანეთ სათანადო შესწორებები დასამტკიცებლად წარმოდგენილ პროექტში, ეს საჭირო იქნება უახლოეს მომავალში.

ამხ. ჯინჭარაძის სიტყვა

დასამტკიცებლად წარმოდგენილი პროექტი ბევრად განსხვავდება უწინ არსებულ დებულებიდან. დებულებაში ნათლად არის ნათქვამი. თუ რა საკითხები შედის ქალაქის საბჭოს პლენუმის კომპეტენციაში. ეს საკითხი წინეთ ბევრ გაუგებრობას იწვევდა, ვინაიდან იმ მუხლს. რომელიც ეხებოდა ამ საკითხს, თვითეული ამხანაგი თავისებურად განმარტავდა, რაც ხელს უშლიდა ქალაქის საბჭოს პლენუმს გამხდარიყო ქალაქის მეურნეობის ხელმძღვანელ ორგანოდ. ჩემის აზრით ამხ. თოდრიას წინადადება არ არის მისაღები, იმიტომ, რომ ჩვენი მრეწველობა მეტისმეტად სუსტად არის განვითარებული და ქალაქებში მუშური მოსახლეობის რიცხვი უმნიშვნელოა იმისათვის, რომ შეეძლოს ხელმძღვანელი როლი აიღოს ქალაქის საბჭოში. მოსახლეობა უმთავრესად მისდევს სოფლის მეურნეობას და ამიტომ ქალაქის საბჭოს სახელწოდება მხოლოდ ნომინალური იქნება, ფაქტიურად კი მან უნდა არჩიოს ისეთი საკითხები, რომლებიც მჭიდროთ არის დაკავშირებული გლეხობის ინტერესებთან. ვერაფერი ვერ შეგვიშლის ხელს, რომ ამა თუ იმ სამაზრო ქალაქში, როგორც კი დააკმაყოფილებს იგი სათანადო მოთხოვნილებებს, მოვაწყოთ ქალაქის საბჭო.

ამხ. ტალახაძის სიტყვა

აქ ადგილებიდან გაისმოდა ხმები ახალ სექციების—სამოსამართლო - ადმინისტრატიულ და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების—მოწყობის გამო. ამხანაგები აცხადებენ, რომ მათ ეს სექციები არ ესაჭიროებათ. როგორც ჩანს, ისინი ანგარიშს ვერ უწევენ ახლად მოსაწყობ სექციების უდიდეს მნიშვნელობას. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ჩვენი სამოსამართლო ორგანოების მუშაობა სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას. დებულება ქალაქის საბჭოების შესახებ ითვალისწინებს კონტროლს სამოსამართლო ორგანოებზე, რაც უეჭველად კარგ შედეგებს მოგვცემს. სამოსამართლო-ადმინისტრატიული სექცია მოისმენს სამოსამართლო ორგანოების ანგარიშებს, შეიტანს მათ მუშაობაში შესწორებებს, აღმოფხვრის საქმის გაჭიანურებას და ბიუროკრატიზმს, რაც მეფობს ამ ორგანოებში. ამას გარდა ეს სექციები აღზრდიან მოსამართლეთა კადრს. ჩვენ არ გვაქვს იმის საშუალება, რომ 40—50 წლის მუშა გავგზავნოთ უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. ამიტომ სხვანაირი სკოლა უნდა შევქმნათ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებისათვის საჭირო მოსამართლეთა მოსამზადებლად, და ეს სექციები სწორედ ასეთ სკოლებს წარმოადგენენ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციები იქნებიან სხვა საბჭოთა ორგანოების მუშაობის საუკეთესო საკონტროლო ორგანოები. სწორედ ეს სექციები შესძლებენ ჩააბან საბჭოთა აღმშენებლობაში მუშათა კლასის ფართო მასა და ამით ცხოვრებაში გაატარებენ ჩვენი კანონმდებლობის პრინციპი მასიურ მუშურ-გლეხურ კონტროლის შესახებ.

ამხ. მათიკაშვილის საბოლოო სიტყვა

კამათის დამთავრების შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მათიკაშვილმა. ჩემ მიერ წარმოდგენილმა პროექტმა,—სთქვა მან—საწინააღმდეგო მოსაზრებები იმიტომ გამოიწვია. რომ ქალაქის საბჭოები ყველა იმ დასახლებულ პუნქტებში არ ეწყობა. რომლებსაც ქალაქები ეწოდება. მე უკვე მოგახსენეთ, რომ ქალაქის საბჭოები უნდა მოეწყოს იქ. სადაც მცირეოდენი მრეწველობა მაინც არსებობს, სადაც არის მუშური მოსახლეობა. საქართველოში დღემდე ჩვენ გვქონდა ორი ტიპის საბჭოები—ქალაქის და სოფლის, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ სათემო საბჭოს. საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. მაგალითად, რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში, ვხვდებით საბჭოების მესამე ტიპს—საუბნოს, რომელიც იქმნება მუშათა უბნებში ქალაქის საბჭოს ტიპის მიხედვით. ჩვენში ასეთი საბჭოები არ გვხვდება. პროექტის წინააღმდეგ გამოსული ორატორები უმთავრესად ამბობდნენ იმას, რომ ამა თუ იმ ქალაქში ამჟამად შეიძლება არ არის მრეწველობა და მუშები, მაგრამ ჩვენს ამოცანას წარმოადგენს ამ ქალაქების ინდუსტრიალიზაცია. ამის დასამტკიცებლად ასახელებენ ზოგიერთ ქალაქებს. სადაც უწინ სრულებით არ იყვნენ მუშები და უკანასკნელ დროს კი არის 500—600 მუშა ეს არგუმენტი თავის თავად ძლიერ კარგია. ის ამტკიცებს ჩვენი მრეწველობის ზრდას მაგრამ დღემდე ამით იქ ქალაქის საბჭოების შექმნა, ნაადრევია, ვინაიდან მრეწველობა იქ ჯერ კიდევ საკმაოდ არ განვითარებულა. წარმოდგენილ დებულებაში არაფერია ნათქვამი იმის საწინააღმდეგოთ, რომ ერთი ან ორი წლის შემდეგ, ან შეიძლება უფრო ადრეც. ამა თუ იმ ქალაქში შეიქმნას ქალაქის საბჭო. ეს მთლიანად იქნება დამოკიდებული ჩვენი მრეწველობის განვითარების ტემპზე ამ ქალაქებში, იმის გამო, რაც სთქვა ამხ. თოდრიამ ქალაქებად წოდებულ დასახლებულ პუნქტებისათვის „ქალაქის ღირსების“ წართმევის შესახებ, უნდა განვაცხადო, რომ დებულება სრულებითაც არ ართმევს მათ ამ სახელწოდებას. გადასახადების სისტემა. რომელიც არსებობს ამ ქალაქებში რჩება. ამ ქალაქებში საბჭოს ეწოდება ქალაქის საბჭო, მაგრამ არსებითად ეს არ არის ქალაქის საბჭო, ვინაიდან საარჩევნო საზომი იქ სასოფლოა და არა საქალაქო. ქალაქებში არსებულ სათემო საბჭოების შესახებ ზოგიერთ ამხანაგებს შემოქონდათ წინადადება, რომ გაფართოებულიყო ამ საბჭოების უფლებები. სხვა სათემო საბჭოებთან შედარებით, რომლებიც ეწყობა სოფლებში. ეს უკვე მომავლის საკითხია. ამ შემთხვევაში ჩვენ შემოგვაქვს დასამტკიცებლად პროექტი დებულებისა ქალაქის საბჭოების შესახებ დასახულ. ახლად მოსაწყობ სექციების წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებების შესახებ უნდა ვთქვა, რომ თუ ჩვენს ამოცანას წარმოადგენს მუშა-აქტივისტების ჩაბმა ჩვენი სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციისა და გადაკეთების საქმეში, ეს სექციები წარმოადგენენ ამისათვის ერთ-ერთ საუკეთესო და მიზანშეწონილ საშუალებას.

—:—

შემდეგ მოხსენებით სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ გამოვიდა საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარი ამხ. ვარძიელი.

სესიის დღიური

ბათომი, 26 იანვარი. 26 იანვარს დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. მათიკაშვილის მოხსენების გარშემო. კამათში გამოვიდნენ ამხ. თოდრია, ქურციკაშვილი, ტალახაძე, ცუცქირიძე და ჯინჭარაძე, რის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. მათიკაშვილი. ამხ. მათიკაშვილის მოხსენების გამო სესიამ გამოიტანა გადაწყვეტილება კომისიის არჩევის შესახებ ქალაქის საბჭოების დებულების დასამუშავებლად. შემდეგ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ვარძიელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. ძიძიგური, ლომაშვილი, თალაკვაძე, ფერაძე, სალამიანი, უიდავა, ფილიპე მახარაძე, ცივაძე და ყურულაშვილი. ამით დამთავრდა დილის სხდომა.

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ვარძიელის მოხსენების გარშემო. კამათში გამოვიდნენ ამხ. ვანო ჯაფარიძე, გაგნიძე, ლეჟავა, მამულია, მირიტაძე, ტალახაძე, მოვლინ სურმანიძე და შავიშვილი. შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ვარძიელმა. სესიამ ერთხმად დაადგინა კოდექსის მოხსენებული პროექტი მიიღოს საფუძვლად. პროექტის ცვლილებათა და დამატებათა დასამუშავებლად არჩეულია კომისია. ამით დამთავრდა 26 იანვრის საღამოს სხდომა. (ადს).

—:—

შეცდომის გასწორება

ამხ. მარიამ ორახელაშვილის სიტყვაში რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა. შემდეგი შეცდომა გაიპარა: სწერია—„საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად ესაჭიროება აჭარისტანს თურქული ენა, გადასწყვეტს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატი“. უნდა იყოს კი—„...გადასწყვეტს აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატი“.

ღამის ცნობები

ახალი თავდასხმა

შანხაი, 26 იანვარი. 25 იანვრის გაზეთების ცნობით „ცენტროსოიუზის“ განყოფილება ხანკოუში დაბეჭდეს გარნიზონის უფროსის განკარგულებით. 22 იანვარს დააპატიმრეს განყოფილების სამი მოსამსახურე რუსი, მათ შორის გამგე, და განყოფილების სამი ჩინელი თანამშრომელი. შანხაის გაზეთები იუწყებიან, რომ ხანკოუში კონფისკაცია უყვეს მთელ საბჭოთა ქონებას, მათ შორის საფეიქრო სინდიკატის, ცენტროსოიუზის, შორეულ აღმოსავლეთის ბანკის და საკონსულოს საქონელს, თანხებს და სხვა ქონებას. საკონსულოს შენობაში მოთავსდა გენერალ ლის შტაბი. ხანკოუს ჩაით მოვაჭრენი მოითხოვენ, რომ ჩინეთის ხელისუფლების ორგანოებმა ნება დართონ ცენტროსოიუზის ხანკოუს განყოფილებას განაახლოს სავაჭრო ოპერაციები (ადს).

ჩანშას დაკავება

შანხაი, 26 იანვარი. ჩანშა (ჰუნანის პროვინციის დედაქალაქი) დაიკავეს ბაი-ცზუნ-სის ჯარებმა. (ადს).

ინგლისის მუშათა დელეგაციის ანგარიში

ლონდონი, 25 იანვარი. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ ინგლისის მუშათა დელეგაციის ანგარიში, რომელიც პირველად 10.000 ეგზემპლიარად „გავრცელდა სახებით“. ეხლა გამოვიდა მეორე გამოცემა იმავე რაოდენობით (ადს).

საპროტესტო მიტინგი ბესარაბიის ოკუპაციის გამო

მოსკოვი, 26 იანვარი. 26 იანვარს გამართა საპროტესტო მიტინგი ბესარაბიის ოკუპაციის 10 წლ. თავის გამო. ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ლუნაჩარსკი. „მწუხარე გულით, მაგრამ მოკუმშულ მუშტებით,—სთქვა მან—ჩვენ სალამს ვუძღვნით ბესარაბიელ ძმებს და დარწმუნებული ვართ, რომ მათ დიდ ხანს აღარ დასჭირდებათ იმ რევოლიუციონურ გარდატეხათა ლოდინი, რომლებიც საშუალებას მისცემენ ბესარაბიას შევიდეს თავისუფალ საბჭოთა რესპუბლიკების ოჯახში“. გლეხინტერნის წარმომადგენელმა დომბალმა ხაზი გაუსვა ბესარაბიის საკითხის კავშირს გლეხთა საკითხთან. ბალკანეთის კომუნისტურ პარტიების წარმომადგენელმა კაბაკჩიევმა აღნიშნა, რომ ბესარაბიის ხალხის ბრძოლა ნაციონალურ დამოუკიდებლობისათვის ბალკანეთის ხალხების საერთო ბრძოლის ნაწილია. რუმინეთის კომპარტიის წარმომადგენელმა ამხ. კრიჩანამ აღნიშნა, რომ რუმინეთმა მიიღო გემრიელი ლუკმა—ბესარაბია, როგორც ჯილდო ბოლშევიკებთან ბრძოლისათვის. გეილერის (რემელსი) და შმერალის (კომინტერნი) გამოსვლის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ბესარაბიის ოკუპაციის წინააღმდეგ და მისალმების დეპეშა გაუგზავნა მოლდავის ავტონომიურ ს. ს. რესპუბლიკის ცაკის მეოთხე სესიას.

პან-ამერიკულ კონფერენციაზე

ნიუ - იორკი, 25 იანვარი. ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატების დელეგაცია პანამერიკულ კონფერენციაზე ჰავანაში წინააღმდეგობას უწევს ამერიკის საერთო ხელშეკრულების პროექტს კომერციულ ავიაციის მოწყობის შესახებ. ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატების ტაქტიკა მიმართულია, უმთავრესად, გერმანიის საავიაციო კომპანიის წინააღმდეგ, რომელიც მოწყობილია კოლუმბიაში და, რომელიც ამუშავებს ცენტრალურ და სამხრეთ-ამერიკაში საჰაერო მიმოსვლის განვითარების გეგმას.

პანამის პრესა ბრალსა სდებს ჩრდილოეთ - ამერიკას იმაში, რომ ის აფერხებს ავიაციის განვითარებას პანამაში.

ყოველივე ეს საინტერესოა შევუფარდოთ ავიატორ ლინდბერგის გადაფრენის მოულოდნელად შეწყვეტას. ლინდბერგმა ინახულა მექსიკა და ნიკარაგუა და შემდეგ ჩაფრინდა პანამაში, იქიდან კი, როგორც იტყობინებოდნენ, უნდა გადაფრენილიყო ვენეცუელასა და კუბაში. მაგრამ ლინდბერგის გაფრენა პანამიდან მოულოდნელად გადაიდო და შემდგომი მისი მარშრუტი საიდუმლოდ დარჩა. როგორც უკანასკნელ დღეებში გამოირკვა ამის ნამდვილ მიზეზს ის წარმოადგენს, რომ კოლუმბიამ, რომელიც ემიჯნება პანამასა და ვენეცუელას შუა, ოფიციალური მიწვევა არ გაუგზავნა ლინდბერგს, მაგრამ ამავე დროს ოფიციალურად ღებულობდა საფრანგეთის მფრინავებს. შეერთებულ შტატების მთავრობამ დიპლომატიური გზით მოახდინა ზეგავლენა კოლუმბიის მთავრობაზე, რათა მან ოფიციალური მიწვევა გაეგზავნა ლინდბერგისთვის.

დაბოლოს, 25 იანვარს, გამოქვეყნდა ცნობა, რომ ლინდბერგი ინახულებს კოლუმბიის დიდ ქალაქ ბოგოტას. ლინდბერგის ფრენის ამ ძალაუნებურად შეწყვეტის გარემოებებს შეერთებულ შტატების პრესა დუმილით უვლის. (ადს).

საკავშ. პროფსაბჭოს ათი წლის თავი

საქართველოს პროფსაბჭოს მისალმება

თქვენი სახელოვანი ათი წლის არსებობის იუბილეს დღეს საქართველოს პროფკავშირთა საბჭო მასში გაერთიანებულ წევრთა სახელით გიძღვნით თავის მხურვალე პროლეტარულ სალამს. დაუკავშირეს რა თავისი ბედი კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას, საბჭოთა კავშირის პროფკავშირები თქვენი გამოცდილი და მოხერხებული ხელმძღვანელობით გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიდიოდნენ. მათ სავსებით გაამართლეს თავიანთი დანიშნულება, გახდნენ საბჭოთა ხელისუფლების ხერხემლად და კომუნიზმის სკოლად. საბჭოთა კავშირის პროფკავშირებმა გაიარეს ბრძოლა მენშევიზმთან, ოპორტიუნიზმთან და სამოქალაქო ომი და გამოვიდნენ სოციალიზმის აღმშენებლობის ფართო გზაზე. სამ ნახევარი წლის განმავლობაში საქართველოს მუშათა კლასი და მისი პროფესიონალური კავშირები მენშევიკების წყალობით ხელოვნურად მოწყვეტილი იყვნენ ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მებრძოლ რუსეთის პროლეტარიატისაგან, მაგრამ მათი აზრი და გრძნობები მუდამ უკანასკნელთან იყო. საქართველოს პროფკავშირებმა, რომელნიც ყველაზე უფრო გვიან შევიდნენ მთლიან რევოლიუციონურ პროლეტარულ ოჯახში, პროლეტარიატის მთელი შემოქმედებით ძალებით მოახმარეს მუშათა კლასის დიქტატურის განმტკიცებას, ეროვნულ მშვიდობიანობის დამყარებას და სოციალიზმის ძლევა-მოსილ აღმშენებლობას. ყველაფერი ეს განხორციელებულია და წარმატებით ხორციელდება საკავშირო პროფსაბჭოს ხელმძღვანელობით და პროლეტარიატის აქტიურ და უშუალო მონაწილეობით.

გაუმარჯოს საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას.

გაუმარჯოს სოციალიზმის ძლევამოსილ აღმშენებლობას.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი.

ათი წელი

დღეს სრულდება საბჭოთა კავშირის პროფესიონალური მოძრაობის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს — საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობის ათი წელი.

ამ ათი წლის განმავლობაში საკავშირო პროფსაბჭო გახდა არა მარტო, უძლიერეს პროფესიონალურ გაერთიანებად მთელს მსოფლიოში, არამედ, ყველაზე უფრო გავლენიან გაერთიანებადაც. საკავშირო პროფსაბჭოს ხმას ყურს უგდებენ დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთის მუშათა ფართო მასები.

საკავშირო პროფსაბჭო ამჟამად არა თუ აერთიანებს საბჭოთა კავშირის მუშათა ათმილიონიან არმიას და აწარმოებს მუშაობას მათ ეკონომიურ, ყოფა - ცხოვრებითი და კულტურულ დონის გასაუმჯობესებლად, არამედ უშუალო მონაწილეობასაც იღებს საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განმტკიცებაში.

არ არის არც ერთი დარგი სახალხო მეურნეობისა, რომლის აღდგენასა და განმტკიცებაში მონაწილეობა არ მიეღოს საკავშირო პროფსაბჭოს და მისი ხელმძღვანელობით კი ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს და საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასებს.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია საკავშირო პროფსაბჭოს მუშაობა საერთაშორისო მასშტაბით — მისი ბრძოლა ყველა ქვეყნის მუშათა სოლიდარობისათვის და პროფმოძრაობის მთლიანი ფრონტის დამყარებისათვის.

ამ დარგში საკავშირო პროფსაბჭო ხვდებოდა და ხვდება განსაკუთრებით გაფთრებულ წინააღმდეგობას სოციალ - გამცემლების მხრივ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკავშირო პროფსაბჭომ და მასთან ერთად საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასებმა უჩვენეს მსოფლიოს ისეთი მაგალითი, ძმურ პროლეტარულ სოლიდარობისა. რომელიც ჯერ კიდევ უნახავი იყო მსოფლიოში.

შეიძლებოდა ამ სოლიდარობის მაგალითების დაუსრულებელ რიცხვის დასახელება, დაწყებული გმირულ დახმარებიდან, რომელიც საბჭოთა კავშირის მშრომელებმა აღმოუჩინეს ინგლ. ხელ მემაღაროეთ, და დამთავრებული იმ დახმარებით, რომელსაც უწევენ საბჭოთა კავშირის
საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე
მშრომელნი სხვადასხვა ქვეყნებია გაფიცულ მუშებს.

ამხ. ტომსკი
საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა იციან, რომ ძმურ სოლიდარობის ეს მაგალითები კარგად აქვს მხედველობაში მიღებული მთელ მსოფლიოს მუშებს.

განვლო საბჭოთა კავშირის პროფესიონალურ მოძრაობის უმაღლეს ორგანოს არსებობისა და მუშაობის პირველმა ათმა წელმა.

ეხლა საკავშირო პროფსაბჭო და ყველა ჩვენი პროფორგანიზაციები შედიან თავის არსებობის მეორე ათწლეულში სრული შეგნებით, რომ შემდეგში მათი მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი იქნება.

ს. იაკუბოვი.

ა.-კ. პროფსაბჭოს დეპეშა

გუშინ, ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ საკავშირო პროფსაბჭოს ათი წლის თავის გამო მისალოცი დეპეშა გაუგზავნა საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმს ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის სახელით.

სან-გოტარდის ინცინდენტის გამო

შეკითხვა რუმინეთის პარლამენტში

ვენა, 25 იანვარი. რუმინეთის ნაციონალური გლეხთა პარტიის დეპუტატმა **პოპპიჩმა** რუმინეთის პარლამენტში შეიტანა შეკითხვა, თუ რატომ დაგვიანდა მცირე ანტანტამ ნოტის გაგზავნა სან-გოტარდის ინცინდენტის შესახებ.

მთავრობის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მცირე ანტანტის სახელმწიფოები საკმაო ენერგიით იცავენ თავიანთ ინტერესებს და საჭირო არ არის აქ ზედმეტი მოუთმენლობა, რამდენადაც ერთა ლიგის საბჭო მხოლოდ მარტში შეიკრიბება.

ფარული შეთანხმება

პარიზი, 25 იანვარი. ჟენევიდან იტყობინებიან, რომ სან - გოტარდის ინციდენტის გარშემო მცირე ანტანტის სახელმწიფოების ნოტის გადაცემა ერთა ლიგისთვის, ჯერ-ჯერობით შეჩერებულია რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ტიტულესკუს მუსოლინისთან მოლაპარაკების გამო. მუსოლინი სცდილობს რუმინეთის და იტალიის პოზიციის შეთანხმებას ამ საკითხში და სამაგიეროთ რუმინეთს პირდება მისი ინტერესების დაცვას [illegible] უნგრეთელ მემამულეების მიწების კონფისკაციის საკითხში.

კონტრ-რევოლუციონერ ქსენძის პროცესი

მოსკოვი, 26 იანვარი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა მიიღო ცნობები სკალსკის პროცესის ზოგიერთი მომენტის შესახებ (საქმე ირჩევა საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოში).

25 იანვარს სასამართლო შეუდგა სამოსამართლო გამოძიებას. პროცესის მთელი მეორე დღის სასამართლო ეცნობოდა საზღვრებზე არალეგალური გადასვლა - გადმოსვლის ორგანიზაციას ქსენძი პეტკევიჩის დამალვას საბჭოთა ორგანიზაციებისაგან და სხვ.

საზღვარზე არალეგალურად გადასვლის ნებართვა, რომელიც ქსენძ რომანოვსკის მიეცა, სკალსკიმ იმით ახსნა, რომ ამ ქსენძმა საზოგადოების თვალში სახელი გაიტეხა „ქალთან ცხოვრებით“. თავმჯდომარე შეეკითხა სკალსკის: რატომ დართო მან რომანოვსკის საზღვარზე გადასვლის ნება, როცა იცოდა, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული? სკალსკიმ ამაზე განაცხადა, რომ მას უთხრეს, საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა რომანოვსკის საქმე მოსპესო. პროკურორის თხოვნით გამოქვეყნებულ იქნა კოროსტენის პროკურორის ცნობა იმის შესახებ, რომ რომანოვსკის საქმე მოსპობილი კი არ არის, არამედ შეჩერებულია ბრალდებულის დამალვის გამო.

„მე არ ვიცოდი, ამბობს შემდეგ სკალსკი, რომ ფილინსკი აწყობდა არალეგალურ გადასვლა - გადმოსვლას საზღვარზე. მე რომ ეს მცოდნოდა, ფილინსკის ქსენძის თანამდებობიდან მოვხსნიდი“.

მაგრამ ერთდროული დაკითხვით და ფილინსკის ჩვენებათა გამოქვეყნებით სასამართლომ გამოარკვია, რომ სკალსკი ძალიან კარგად იცნობდა ამ ქსენძის უკანონო მოქმედებას და იძულებული იყო ისიც კი აღეარებინა, რომ ფილინსკის საზღვარზე გადაჰყავდა მხოლოდ ის ქსენძები, რომელთაც სკალსკის ნებართვა ჰქონდათ.

თავის ჩვენებებში, სხვა ადგილას, სკალსკი ამბობს, რომ ლუცკის ეპისკოპოსს დუბოვსკის, რომელსაც ერთ დროს არალეგალურად გადაჰყავდა ქსენძები უკრაინაში, მხედველობაში ჰქონდა მათი სასულიერო სამსახური და არა კონტრ - რევოლიუციონური მოქმედება და ჯაშუშობა; საერთოდ იგი შორს იდგა პოლიტიკისაგან.

პროკურორი სკალსკის შეეკითხა: ახსოვს თუ არა მას ეპისკოპოსის დუბოვსკის მოწოდება უკრაინის დაკავების გამო? ბრალდებულმა შეკრთომით უპასუხა: „მახსოვსო“.

თუმცა სკალსკი რამდენჯერმე ეცადა უარეყო თავისი ზოგიერთი წინანდელი ჩვენება, ის მაინც იძულებული გახდა აღეარებინა, რომ პეტკევიჩს ქსენძის თანამდებობა მისცა. მიუხედავათ იმისა, რომ ის არალეგალურად სცხოვრობდა და ორი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს ემალებოდა. სკალსკი იძულებული იყო აგრეთვე გამოეტყდარიყო, რომ ის სხვადასხვა პირებს კეთილსაიმედობის მოწმობებს აძლევდა (ადს).

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი



ამხ. რუძუტაკი და კრჟიჟანოვსკი სესხის შესახებ

მოსკოვი, 26 იანვარი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, რომელიც ეხებოდა გლეხთა მეურნეობის განმტკიცების სესხს, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. რუძუტაკმა განაცხადა: „სესხის მიზანი გლეხობისათვის გასაგებია. ის მნიშვნელოვანი სარგებლობა, რომელსაც მიიღებენ სესხზე ხელის მომწერნი პროცენტებისა და მოგებათა დიდი რაოდენობის სახით, საშუალებას გვაძლევს დარწმუნებული ვიყოთ, რომ სესხის რეალიზაცია წარმატებით ჩატარდება, მით უმეტეს, რომ სესხის გავრცელება მოხდება სოფლის კოოპერატიული, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობით და საბჭოთა ქვედა აპარატის ხელმძღვანელობით“.

მოსკოვი, 26 იანვარი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კრჟიჟანოვსკიმ განაცხადა: „ცალკე მეურნეობებში დაფანტული მცირე [illegible] თანხები სრულიად უნაყოფოდ ბანდება და არავითარ სარგებლობას არ მოაქვს არც მფლობელისათვის, არც სახელმწიფო მშენებლობის საქმისათვის. ეს სარგებლობა უნდა მოიტანოს ახლად გამოშვებულმა სესხმა. ამ კონკრეტული მაგალითით გლეხობა დარწმუნდება, თუ რამდენად სასარგებლოა მისთვის სახელმწიფო სესხის შექმნა, როგორც ისეთი საშუალებისა, რომელმაც უნდა გადაარჩინოს მისი მონაგარი, გაადიდოს მისი მეურნეობის შემოსავალი და ასწიოს ჩვენი ქვეყნის მთელი სასოფლო მეურნეობა“ (ადს).

სესხი და კოლექტიური მეურნეობანი

მრეწველობის განვითარებასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობას და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებას. მშრომელ გლეხებს ეძლევათ სესხები სახ. სამ. საკრედიტო კოოპერატივების საშუალებით მეურნეობის აღსადგენად; ღარიბი გლეხობა განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, სოფლის მეურნეობისათვის საჭირო იარაღ-მანქანები ეძლევა მხოლოდ მშრომელ გლეხობას და სხვა მრავალი. საკავშირო მთავრობამ, ამას გარდა, 1924—25 სამეურნეო წელში სასოფლო მეურნეობაზე დახარჯა 800 მილიონი მანეთი 1925—26 წ. 450 მილიონი მანეთი, 1925—26 წ. 550 მილიონი მანეთი, 1927-28 წელში განზრახულია 700 მილიონი მანეთის დახარჯვა. ასე ყოველწლიურ იზრდება ჩვენი მთავრობის დახმარება სოფლის მეურნეობაზე.

მაგრამ ეს მაინც საკმაო არ არის ჩვენი შერებით ჩამორჩენილი მეურნეობისათვის, რომელიც მოითხოვს გაცილებით მეტ საშუალებებს თავის ტეხნიკურ დონის ასამაღლებლად აქ საჭიროა თვით გლეხების დახმარებაც. თვით მშრომელმა გლეხებმა უნდა გამოიღონ თავისი წვლილი სესხის სახით და მისცენ მთავრობას მეურნეობის აღსადგენად. სულ რამოდენიმე თვის წინად ჩვენი მთავრობის მიერ გამოცემული საინდუსტრიალიზაციო სესხი 200 მილიონის რაოდენობით ერთსულოვნად შესყიდული იქნა მუშების მიერ: 200 მილიონის მაგიერ ერთი თვის წინად გაყიდული იყო 245 მილიონის ღირებულების. ეს სესხი ბრწყინვალეთ განაწილდა ქალაქის მშრომელთა შორის, რომელნიც სავსებით შეგნებით მოეკიდნენ საბჭოთა ხელისუფლების სათანადო მოწოდებას. ეხლა ჯერია გლეხებზე მიმდგარი. მთავრობის მიერ გამოცემულია 100 მილიონიანი გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი. კოლექტიური მეურნეობებში შეკავშირებულ მშრომელმა გლეხებმა ამ მხრივ მაგალითი უნდა უჩვენონ ცალკე მეურნე გლეხებს. კოლექტიური მეურნეობები უნდა შეიქმნენ ამ სესხის გავრცელების ერთ ერთ მნიშვნელოვან ორგანიზაციად სოფლად.

ამ სესხით ჩვენი მთავრობა ფიქრობს აწიოს სასოფლო მეურნეობა, რომ მისგან რაც შეიძლება ნაკლები შრომით მეტი სარგებლიანობა მიიღოს გლეხმა. დღეს თუ გერმანელი გლეხი ორჯერ და სამჯერ მეტს იღებს თავისი მეურნეობიდან, ვიდრე ჩვენი გლეხი, ეს მხოლოდ ჩვენი ჩამორჩენილობით აიხსნება სესხი მოხმარდება მხოლოდ მეურნეობის აღდგენა-განვითარებას. ჩვენი ქვეყნის მშრომელი გლეხი ღრმადაა დარწმუნებული, რომ მუშურ-გლეხური საბჭოთა მთავრობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით როგორც ყოველთვის, ეხლაც გაამართლებს გლეხობის იმედს სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარების საქმეში.

სესხი რომ განაწილდეს მშრომელ გლეხობაში და მას შეეძლებოდეს მისი შესყიდვა, ამისათვის თითო ობლიგაცია ღირს 10 მანეთი, რომელიც იყოფა 4 ნაწილათ, ასე რომ გლეხს შეუძლია შეიძინოს ობლიგაციის ნაწილი 2 მან. და 50 კაპ. ღირებულებისაც. ობლიგაციის მფლობელი ყოველ თითო მანეთზე მიიღებს 6 კაპ. წლიურათ, მოგება გათამაშდება ყოველ წლიურად 2 ჯერ. თვითეულ ობლიგაციაზე მოგება არის 50-დან 1000 მანეთამდე. მომგებიანი სულ 332.640 ნომერი ღირებული 21 მილიონ მანეთად. სესხის განაწილების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მის რაც შეიძლება ჩქარ გავრცელებას. ჩვენი კოლექტიური მეურნეობების ხელმძღვანელ ამხანაგებმა სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით უნდა გასწიონ სათანადო აგიტაცია და შეაგნებინონ მშრომელ გლეხებს სესხის მნიშვნელობა. სესხის მნიშვნელობის ახსნის დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ერთი მეათედი განაღდებული სესხისა რჩება ადგილობრივ თემში, შეიტანება მის ბიუჯეტში და მოხმარდება ადგილობრივ სამეურნეო - კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ეს სესხი თავისუფლად შეიძლება გასაღდეს ისეთი წარმატებით, როგორც საინდუსტრიალიზაციო სესხი, თუ მისი დანიშნულებას შეიგნებს ჩვენი გლეხობა.

სოფლად უსარგებლოთ დაგროვებული თანხა უნდა ამოძრავდეს და მოხმარდეს საერთო საქმეს. ჩვენი სოფლის მეურნეობა გადაუდებლად მოითხოვს გაუმჯობესებას. მამა-პაპური სახნისი და კავი საბოლოოდ უნდა მოისპოს და მისი ადგილი ტრაქტორმა და სხვა გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებმა დაიკავონ. ხელი-ხელ ჩაკიდებული ქალაქის პროლეტარიატთან, კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებული მშრომელი გლეხობა მუშურ-გლეხური ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შეიძლებს სოფლის ძირიან-ფესვიანათ გარდაქმნას. სასოფლო მეურნეობის განმტკიცების სესხის წარმატებით გავრცელება კი ერთი საშუალებათაგანია ამის მისაღწევად.

ვლ. ცაგარელი.

სამომხმარებლო კოოპერაციის როლი სესხის რეალიზაციაში

როგორც აღნიშნული გვქონდა, ა.-კ. სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირის („ზაკსოიუზის“-ს) გამგეობამ ყველა რესპუბლიკანურ კოოპერატიულ კავშირებს მიმართა მოწოდებით მიიღონ აქტიური მონაწილეობა გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაციაში.

გუშინ ჩვენი თანამშრომელი შეეკითხა ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილების გამგეს ამხ. მ. ჩილინგარიძეს, თუ რაში გამოიხატება საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის როლი სესხის რეალიზაციის საქმეში.

ამხ. ჩილინგარიძემ განაცხადა:

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დანარჩენ კოოპერატიულ სისტემებთან შედარებით სამომხმარებლო სისტემას ყველაზე უფრო განვითარებული ქსელი მოეპოვება ადგილებზე. ეს გარემოება ჩვენს სისტემას ავალებს აქტიური მონაწილეობა მიიღოს იმ სესხის რეალიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავს უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეს—საგლეხო მეურნეობის განმტკიცება-გაჯანსაღებას.

ამ მიზნით ჩვენ დაუგზავნეთ მოწოდებები მოკავშირე ორგანიზაციების გამგეობებს. სარევიზიო კომისიებს და კოოპერატიულ წრების ლექტორებს ჩვენი სისტემის მუშაობას ამ სფეროში უმეტესად ექნება აგიტაციო-პროპაგანდის ხასიათი. გარდა სესხის იდეების და დანიშნულების მოსახლეობისათვის გაცნობისა, ჩვენს სისტემას არაფერი არ აქვს დავალებული.

როგორც ცნობილია, ყოველი სესხის რეალიზაცია ჩვენში ნებაყოფლობით საფუძველზე ტარდება. ზოგი ადგილობრივი მუშაკი ზოგჯერ ვერ გებულობს ამ პრინციპს და ადგილი აქვს ხოლმე გადახრებს.

რომ ამას არ ექნეს ადგილი ამ შემთხვევაში, კოოპერატივების სარევიზიო კომისიებს ცალკე აქვთ დაგზავნილი განმარტებები სესხის შესახებ და დავალებული აქვთ თვალყური ადევნონ და რევიზია გაუკეთონ გამგეობის და კოოპწრების მუშაობას სესხის რეალიზაციის კამპანიის ჩატარებაში.

რას [illegible] მოგებათა შესახებ

სოფლის მეურნეობის განსამტკიცებლად გამოშვებულ სესხის მოგებათა გასათამაშებლად მთავრობას გადადებული აქვს 21 მილიონი მანეთი.

ეს თანხა გათამაშებული იქნება ექვს ნაწილად.

თვითეული ტირაჟის დროს გათამაშებული იქნება:

ორმოცი 1.000 მანეთიანი მოგება.

ორასი 500 მანეთიანი მოგება.

თორმეტი ათასი 100 მანეთიანი და 43.000 ორმოცდაათ მანეთიანი მოგება.

სულ თვითეული ტირაჟის დროს გათამაშებული იქნება 55.440 მოგება, რომლებიც საერთო ჯამი 3.500.000 მანეთს უდრის.

ექვსივე ტირაჟის დროს გათამაშებული იქნება სულ 332.640 მოგება, რომლებითაც გაცემული იქნება 21 მილიონი მანეთი.

თუ ობლიგაციებს გავყოფთ მოგებათა რაცხვზე, გამოვა, რომ თვითეული მოგება საშუალოდ მოდის ოცდაათ ობლიგაციაზე.

მოგება, მომგებ გლეხის სურვილის მიხედვით, გაცემული იქნება ან ნაღდ ფულათ, ან სას.-სამეურნეო იარაღ-მანქანების სახით.

თუ გლეხს სურს მოგების მიღება ფულად, საკმაოა მან თავისი ობლიგაცია წარუდგინოს რომელიმე ბანკში, შემნახველ სალაროში, საკრედიტო ამხანაგობაში ან საფოსტო განყოფილებაში, სადაც მას შეუძლია თავის მოგების მიღება.

თუ გლეხს, ნაღდ ფულის ნაცვლად, მოგებული ობლიგაციით სურს სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანების მიღება, მან უნდა მიმართოს სას.-სამეურნეო იარაღ-მანქანების ადგილობრივ სახელმწიფო ან კოოპერატიულ საწყობს, სადაც ის მიიღებს საჭირო იარაღ-მანქანას.

თუ მოგება და ობლიგაციის ღირებულება თავისი პროცენტებით არ არის საკმაო სასამ. იარაღ-მანქანის შესაძენათ, მოგება (ობლიგაციის ღირებულებით და პროცენტებით) საწყობში მიღებული იქნება, როგორც ბე და გლეხს ენიშნება ვადები დანარჩენი თანხის ნაწილ-ნაწილად გადასახდელად.

არავითარი გადასახადებით არ იბეგრება არც სესხის ობლიგაცია და არც მოგება.

1929 წ. ივლისიდან სესხის ობლიგაციებს მიიღებენ სას.-სამეურნეო გადასახადის ანგარიშში და სახ. დაზღვევის გადასახადში.

ობლიგაცია — იგივე ფულია. თუ გლეხს დასჭირდება ფული, მას თავისუფლად შეუძლია თავისი ობლიგაციის დაგირავება ან გაყიდვა ადგილობრივ შემნახველ სალაროში ან საკრედიტო დაწესებულებაში.

გარეშე იმისა — მოიგებს, თუ არ მოიგებს ობლიგაცია, მასზე ყოველწლიურად ირიცხება ექვსი პროცენტი, ე. ი. 60 კაპ. ათმანეთიან ობლიგაციაზე.

წითელი არმია და სესხი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტიკურმა სამმართველომ წითელი არმიის ყველა ორგანოებს მიმართა წინადადებით ჩააბან ობლიგაციის გასაღებაში მეთაურთა შემადგენლობა და განსაკუთრებით კი,—წითელარმიელთა ფართე მასა. პოლიტორგანოებმა სესხის მიზნებისა და სარგებლიანობის პოპულარიზაციისათვის უნდა გამოიყენონ წითელ არმიელთა კავშირი სოფელთან.

კამპანია სესხის რეალიზაციისათვის წითელ არმიაში უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ და უნდა ჩატარდეს დაკვრითი წესით, რათა მას რაც შეიძლება ფართო ხასიათი მიეცეს. ამ მიზნით, რომ კამპანიაში ჩაბმული იქნეს მეთაურთა და წითელარმიელთა მთელი მასა, მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული წითელ არმიელთა საზოგადოებრიობა.

ამავე დროს მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველო წინადადებას იძლევა, რომ სამხედრო პრესამ რეგულიარულად შუქდებოდეს სესხის რეალიზაციის კამპანია. წითელ-არმიელებთან პოლიტმეცადინეობის პროგრამაში შეტანილი უნდა იქნეს სპეციალური საუბარი სესხზე. როტების საერთო კრებებზე უნდა გაკეთდეს სპეციალური მოხსენებები. პოლკების კლუბებთან უნდა მოეწყოს კონსულტაციები ცნობების მისაწოდებლად სესხის შესახებ და სხვ. ამავე დროს უნდა გაიმართოს ლოტერია-ალეგრების საღამო სესხის რეალიზაციის თემაზე.

წითელი არმიის ნაწილებში სესხის რეალიზაციის ჩასატარებლათ საჭიროდ არის ცნობილი კომისიების შექმნა.

სესხის ქრონიკა

თათბირი ფინსახკომში

გუშინ საღამოს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში შესდგა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, საკრედიტო და კოოპერატიულ დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მიზნების და ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს უფროსმა **ნ. ქოიავამ** და სესხის რეალიზაციის წარმატებით ჩასატარებლად სახელმწიფო. საზოგადოებრივ, კოოპერატიულ და სხ. დაწესებულებათა მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ ამიერ-კავკ. ფინსახკომის სავალუტო სამმართველოს უფროსმა **ამხ. სარაფიანმა.**

დაწესებულება-ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა აღუთქვეს ფინსახკომს სრული დახმარება სესხის რეალიზაციაში როგორც ცენტრში, აგრეთვე პროვინციაში.

თათბირის დადგენილებით, ქალაქში გასაღებული იქნება სესხის დროებითი მოწმობები, ხოლო ობლიგაციები გადაეცემა პროვინციას (სოფლებს).

სესხის რეალიზაცია დაიწყება პირველ თებერვალს.

პარტიული ცხოვრება

მუშა და გლეხ-ქალთა დაწინაურება

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სამდივნომ დაამტკიცა მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების მუშაკთა ამიერ-კავკასიის თათბირის დადგენილება მუშა და გლეხ-ქალთა დაწინაურების შესახებ ამ დადგენილებაში თათბირმა ყურადღება მიაქცია იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა და გლეხ-ქალთა დაწინაურებას ხელმძღვანელ სამუშაოებზე (საკავშირო კომპარტიის ც. კ.-ის დადგენილება, 1927 წ. მარტი; საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის დადგენილება, 1927 წ. ივლისი) და აღნიშნა უკანასკნელ წლებში დაწინაურებულ მუშა და გლეხ-ქალთა პროცენტის მეტის-მეტი სიმცირე (ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში არა უმეტეს 1,5 პროცენტისა); მას საჭიროდ მიაჩნია, რომ პარტიულმა, პროფესიონალურმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ზომები მიიღონ, რათა ხელმძღვანელ სამუშაოებზე უფრო გეგმაშეწონილად იქნან დაწინაურებულნი მუშა და გლეხი ქალები. ცალკე რესპუბლიკათა მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებებმა უნდა გაატარონ ცხოვრებაში საკ. კომპარტიის ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის დადგენილება იმის, შესახებ, რომ მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებებში დაწინაურებული მუშა და გლეხი ქალები მუშაობდნენ. რესპუბლიკათა ც. კ.-ბის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებებმა საორგანიზაციო განყოფილებებთან ერთად ერთი თვის განმავლობაში უნდა მოახდინონ სამუშაოზე დაწინაურებული მუშა და გლეხ-ქალების აღრიცხვა და აგრეთვე იმ აქტივის აღრიცხვა, რომელიც შეიძლება დაწინაურებულ იქნას უახლოეს დროში პარტ. და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უნდა შეისწავლონ აქტივის დაწინაურებისათვის საჭირო მუშაობა და ყოველგვარი ღონისძიება უნდა მიიღონ, რომ განხორციელდეს საკავშირო კომპარტიის ც. კ.-ის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების ცირკულიარი აქტივთან მუშაობის შესახებ. საკ. კომპარტიის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებამ ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს და ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის ფრაქციებთან ერთად უნდა დაისახოს იმ სამუშაოთა სანიმუშო ნუსხა, რომელზედაც შეიძლება მუშა და გლეხ-ქალთა სისტემატიურად დაწინაურება, აგრეთვე უნდა დაამუშაოს პრაქტიკანტობის საკითხი.

მუშაობა მომთაბარე ქალთა შორის

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სამდივნომ დაამტკიცა მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილების მუშაკთა ამიერ-კავკასიის თათბირის დადგენილება მომთაბარე ქალთა შორის მუშაობის შესახებ. ეს დადგენილება აღნიშნავს, რომ მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებანი არ მუშაობენ მომთაბარე ქალთა შორის და მიუთითებს, რომ მუშაობისათვის ხელსაყრელ ნიადაგს ჰქმნის მომთაბარეთა ცხოვრების პირობები (მომთაბარის რაიონში ბევრი გლეხ-ქალის თავის მოყრა, მომთაბარეობის დროის ხანგრძლივობა — 3—4 თვე, მოკლე მანძილი მომთაბარეთა შორის, საკმაო თავისუფალი დრო), ამის გამო თათბირმა საჭიროდ სცნო, რომ რესპუბლიკების ც. კ.-ის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებები შეუდგნენ ამ მუშაობას და მას პოლიტიკურ-განმანათლებელი და ყოფა-ცხოვრების პროპაგანდის ხასიათი მისცეს. სასურველია, რომ მუშაობა „წითელი ურმების“ გარშემო სწარმოებდეს. მომთაბარე ქალთა შორის მუშაობის ორგანიზაციულად მომზადებისათვის და მუშაობის სახეთა და მეთოდების დამუშავებისათვის ამიერ-კავკასიის თათბირმა მიზანშეწონილად ჩასთვალა, რომ უახლოეს დროში რესპუბლიკების ც. კ.-თან გაიმართოს თათბირი მიწათმოქმედების კომისარიატის, განათლების კომისარიატის კოოპერაციის, წითელი მთვარის, კომკავშირის, სოფლისა და ქალაქის დაახლოების საზოგადოების და აგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების წარმომადგენლებთან ერთად.

შორდებიან ოპოზიციას

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შეიტანეს ორგანიზაციის წევრებმა ამხ. სერგო მეხოვმა, აქსენტი ლეჟავამ, ბეჟან ბერიძემ, მიხეილ ვაშაძემ, შალვა უიფშიძემ და კოწია ვაშაძემ შემოიტანეს განცხადებები ოპოზიციიდან გამოსვლის შესახებ. ამხ. სერგო მეხოვი სწერს: „მე ვგმობ ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მუშაობას და მის შეხედულებებს, შეცდომით მიმაჩნია ჩემი წარსული მუშაობა და ოპოზიციის შეხედულებების დაცვა, ვწყვეტ ყოველგვარ კავშირს მენშევიკურ ტროცკისტულ ოპოზიციასთან. ვხსნი ჩემ ხელმოწერას „83“ განცხადებიდან“.

ამხ. აქსენტი ლეჟავა აცხადებს, რომ ხელი მოაწერა „83“ და „15“ განცხადებას და იზიარებდა ოპოზიციის შეხედულებებს: ეხლა, მე-15 ყრილობის შემდეგ დარწმუნდა, რომ ტროცკისტული ოპოზიცია არის პარტიის დამღუპველი. თუ ამ ოპოზიციას გასაქანი მიეცა. ხსნის თავის ხელმოწერას ოპოზიციის პლატფორმიდან და იზიარებს მე-15 პარტიულ ყრილობის ყველა დადგენილებებს.

ამხ. სოლომონ დოლიძის ხსოვნას



ამხ. სოლომონ გიგოს ძე დოლიძე დაიბადა 1886 წელს ოზურგეთის მაზრის სოფ. ამაღლებაში. ის იყო ღარიბესი ოჯახის შვილი. მამა მისი მუშაობდა ბათომში, რიხნელის ქარხანაში და თავისი მცირე ხელფასით ინახავდა თავის მრავალრიცხოვან ოჯახს. 1903 წელს პატარა სოლომონმა დაამთავრა მაშინდელი ორკლასიანი სკოლა. სიღარიბის გამო საზაფხულო არდადეგების დროს ის იძულებული იყო დღიურად ემუშავნა ჩაქვის ჩაის პლანტაციებში. 1903 წელს ამხ. სოლომონი ჯერ კიდევ ადგილობრივი ორკლასიანი სკოლის მეხუთე განყოფილების მოწაფე იყო, როცა მისმა უფროსმა ძმამ ვლადიმერმა სახლში მოიტანა ლადო კეცხოველის „ბრძოლის“ ერთ-ერთი ნომერი. სოლომონი ხარბათ შეუდგა მის კითხვას. ამ დროს გურიაში აგრარული მოძრაობა იყო. ამ მოძრაობამ აქ სტიქიური ხასიათი მიიღო. გლეხებს უკრძალავდნენ მემამულეებიდან მიწების აღებას სწვავდნენ და ჰკლავდნენ მემამულეებსა და ჯაშუშებს. ამხ. სოლომონის სახლში თავს იყრიდა მაშინდელი რევოლიუციონური ჯგუფი, რომელიც პატარა სოლომონსაც აძლევდა სხვადასხვა დავალებებს.

ამხ. სოლომონი იმთავითვე, რაც გაეცნო ფრაქციულ განხეთქილებას სოც.-დემოკრატიის რიგებში, მიემხრო ბოლშევიკების ფრაქციის და სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკურ წვრილ-ბურჟუაზიულ შეხედულებების წინააღმდეგ. 1906 წელში ის ორგანიზაციის დავალებით წრეებში აწარმოებდა პოლიტიკურ მეცადინეობას. ერთი ასეთი მეცადინეობის დროს კაზაკებმა ალყა შემოარტყეს და საშინლად სცემეს ყველა იქ მყოფნი. გამოირკვა, რომ ისინი გასცა გურიაში ცნობილმა ჯაშუშმა ესაია ჯიბლაძემ. ამ რეპრესიებს მაშინ მოჰყვა 25 კაცის გადასახლება ციმბირში.

1908 წელს ამხ. სოლომონს იწვევენ სამხედრო ბეგარის მოსახდელად. სამხედრო სამსახურს ის ასრულებს ქ. ლომჟაში. სამსახურის გათავების შემდეგ ამხ. სოლომონი მუშაობს გაგრაში. ომის დაწყებისთანავე ის [illegible] გაიწვიეს ჯარში, ოსმალეთის ფრონტზე, სადაც დიდ დროს ანდომებდა ჯარში პროპაგანდა-აგიტაციას ომის წინააღმდეგ. ამხ. სოლომონი ეწეოდა კულტურულ მუშაობასაც. ის ამხ. დ. კობახიძესთან ერთად გაგრაში და სამტრედიაში მუშაობდა სცენაზე, როგორც ნიჭიერი სცენის მოყვარე. მენშევიკების ბატონობის დროს ამხ. სოლომონი დაუღალავათ მუშაობდა მენშევიკების წინააღმდეგ ის მაშინდელი არალეგალური ორგანიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო.

1920 წელს, 10 სექტემბერს სოფ. ზომლეთში ამხ. ნ. ზომლეთელის ბინაზე მოწვეული იყო გურიის არალეგალური კომიტეტის სხდომა. ამ კრებას ვ. გოგუაძის ხელმძღვანელობით თავს დაესხა ადგილობრივი გვარდიელები, რომლებმაც დააპატიმრეს ამხ. სოლომონი, სერგო გოგოტიშვილი და ივანე კალანდაძე, დანარჩენმა ამხანაგებმა ეს კრება იმავე ღამეს გადაიტანეს ს. ამაღლებაში და იქ განაგრძობდნენ მუშაობას. ამხ. სოლომონი დოლიძე სხვა ამხანაგებთან ერთად გადაგზავნეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში და იქიდან კი გადაასახლეს საბჭოთა ბაქოში. სადაც ამხ. სოლომონი აქტიურ პარტიულ მუშაობას აწარმოებს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ დღეებში ის მუშაობს სიღნაღის მაზრაში, სადაც სხვა ამხანაგებთან ერთად აწყობს რევკომებს. შემდეგ ცეკას განკარგულებით სამუშაოთ გაიგზავნა გურიაში 1921—1924 წ. ის არის გურიის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და ამავე დროს მუშგლეხინის ინსპექტორი. შემდეგ ლანჩხუთის რაიკომის პ.-მ. მდივანი. ის ღირსეულად ხელმძღვანელობს ამ მეტად საპასუხისმგებლო რაიონს.

1925 წელს ის სერიოზულად დაავადმყოფდა. ავადმყოფობამ ის ჩამოაშორა მის საყვარელ პარტიულ და საბჭოთა მუშაობას.

მოკვდა იშვიათი მებრძოლი, ტიპიური კომუნისტი, რომელსაც 22 წლის განმავლობაში ამაყათ ეჭირა ხელში ლენინიზმის დროშა. მოკვდა იშვიათი გულკეთილი ადამიანი ამხანაგებთან და მეგობრებთან ლმობიერი. გულწრფელი როგორც ბავშვი, მაგრამ ამავე დროს სასტიკი და შეუპოვარი საერთო მტრის წინააღმდეგ. მას არასოდეს დაივიწყებენ მისი მეგობრები და ამხანაგები, ის მუდამ ჩვენს გულში იქნება, როგორც იშვიათი ადამიანი და მებრძოლი.

ჯგუფი ამხანაგები.

—:—

ბათომი, 26 იანვარი. ჩვენი პარტიის რიგებმა ამხ. სოლომონ დოლიძის სახით დაკარგა ძველი მებრძოლი, რევოლიუციის ქურაში გამოწრთობილი მუშა. მძიმეა ასეთი ამხანაგის უდროოდ ჩამოშორება ჩვენი რიგებიდან.

ჯ. ხომერიკი, ს. კ[illegible], [illegible], ბ. რო[illegible]ძე, თავართქილაძე და სურგულაძე.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

მუშაობა ცვალებად წითელ არმიელთა შორის

ნებაყოფლობითი მუშაობის ამოცანები, ფორმები და მეთოდები

ცვალებად შემადგენლობის შორის წარმოებულ ნებაყოფლობითი მეცადინეობის მთავარ ამოცანებს შეადგენს:

1) განმტკიცება იმ ცოდნის, რომელიც მიიღეს ცვალებად წითელარმიელებმა და მეთაურებმა სამოსწავლო შეკრებებზე და 2) შთანერგვა შეგნების, რომ ცვალებადელნი ეკუთვნიან თავიანთ სამხედრო ნაწილებს.

ამ ამოცანების განხორციელება შეიძლება მხოლოდ ცვალებადელთა თვითმოქმედების საფუძველზე, ადგილობრივი პარტიული, კომკავშირის და საზოგადოებრივ ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით.

საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან შეკრებათა შორისი მუშაობაში პირველ ადგილზე უნდა იდგნენ თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების ორგანიზაციები. თავდაცვა - ავიაქიმმა უნდა დააკმაყოფილოს ჩვენი ტერიტორიალური ნაწილების მოთხოვნილებები.

რა ფორმებს და მეთოდებს უნდა მივმართოთ შეკრებათა შორისი პერიოდში, რომ მივიღოთ დადებითი შედეგები?

ამ დარგში, ამიერ - კავკასიაში ტერიტორიალურმა ნაწილებმა, საქმის სიახლის გამო, სამწუხაროდ ჯერ ვერ გამოიმუშავეს დამთავრებული, მტკიცედ და გარკვეულად ჩამოყალიბებული რამ. მუშაობის დიდი ნაწილი იმყოფება ძიების პერიოდში. მუდმივი, ყოველდღიური მუშაობა აგებული ტერნაწილის მთელი შემადგენლობის თვითმოქმედებასა და ინიციატივაზე ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად — მოგვცემს შესაძლებლობას გამოვნახოთ მუშაობის ფორმები და მეთოდები, რომლებიც ჩვენ ნამდვილეში მოგვცემენ საუკეთესო შედეგებს. ის, რაცა გვაქვს ჩვენ ამ მხრივ, არ არის საკმარისი. აქა - იქ ყალიბდება პრაქტიკული ფორმები, საშუალებები და გზები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პარტიის დახმარებით შევძლებთ ტერამშენებლობის ამ მხარის საკვებით მოგვარებას. ჩვენ უნდა გადავჭრათ ეს ამოცანა და გადავჭრით კიდეც.

შეკრებათა შორისი მუშაობაში, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გეგმიანობა. უსისტემობა და შემთხვევითი ხასიათი ამ საქმეში მიუღებელია, შემდეგ, არ შეიძლება ფართე მიზნების დასახვა, თუ ამისათვის არ არის მატერიალური შესაძლებლობა, როგორც სარდლობის, ისე იმ გულ.იპროვ ორგანიზაციების ხაზით.

წესი: „იყოს ცოტა, მაგრამ კარგი" ამ მუშაობაში არის საუკეთესო წესი.

ვუკეთებთ რა ანალიზს შეკრებათა შორისი ნებაყოფლობითი მუშაობის ფორმებს და მეთოდებს, ჩვენ უნდა შევჩერდეთ სამხედრო კუთხეებზე და სამხედრო ცოდნათა წრეებზე. მათი ქსელი, თუმცა ფართედ არა, მაგრამ გაშლილია ამიერ - კავკასიის იმ რაიონებში, სადაც იმყოფებიან ტერნაწილები. სამხედრო კუთხეების არსებობა კლუბებთან, ქოხ - სამკითხველოებთან არ მოწმობს იქ სამხედრო პოლიტიკურ მუშაობის წარმოებას, ხშირად შევხვდებით სამხედრო კუთხეს, სადაც არის პლაკატები, სამხედრო ხასიათის ცხრილები და დიაგრამები, მაგრამ ამ კუთხეში არ სწარმოებს არავითარი სამხედრო მუშაობა.

როდესაც კუთხესთან არსებობს სამხედრო ცოდნათა წრე, მაშინ შეიძლება ლაპარაკი კუთხის სამხედრო მუშაობაზე. ტერიტორიალური ნაწილების შემადგენლობის დარაზმვა სამხედრო ცოდნათა წრეების ირგვლივ მათი ხელმძღვანელით ტერნაწილიდანვე — გადაწყვეტს შეკრებათა შორისი მუშაობის მთავარ ამოცანას. ამ წრეებში სასროლო სპორტს უნდა ეჭიროს მთავარი ადგილი

წრის ისეთი პროგრამა, რომელიც აგებულია წევრების ინტერესის და მოთხოვნილების ანგარიშზე, შეთვისებულ იქნება წარმატებით. წრეებში შეიძლება დიდი ინტერესით შესწავლილ იქნეს: ტყვიისმფრქვევის მატერიალური ნაწილები, გაზის საწინააღმდეგო ნიღაბი, გაზები, ტერსისტემა, წითელიარმიის სტრუქტურა და სხვა. სამხედრო ცოდნათა წრის მუშაობა არ შეიძლება ჩამოშორდეს კლუბის მთლიან მუშაობას. ზოგიერთ ადგილებზე კლუბები უარს აცხადებენ სამხედრო ცოდნათა წრის ხელმძღვანელობაზე იმ მოსაზრებით, რომ „წრეს ხელმძღვანელობს ლეგიონი ამისათვის გამოყოფილ მეთაურებით". ამისთანა მოქმედებას არ შეიძლება რომ არ ჰქონდეს უარყოფითი შედეგები.

ვ. გიორგაძე

მეტი ყურადღება თვით-მომზადებას

ქვეყნის თავდაცვის ინტერესები მოითხოვენ, რომ თადარიგის მეთაურნი თვის მომზადებით არ ჩამორჩენ წითელ არმიის ძირედ ნაწილების უფროსთა შემადგენლობას. სამხედრო უწყება თავის მხრივ იღებს ზომებს თადარიგის მეთაურთა მოსამზადებლად. ამ ზომების კუთხების მოკლევადი შეკრებები, სამხედრო თამაშის ჩატარება, მეცადინეობა ველად და სხვ. მიუხედავათ იმისა, რომ ყველა ამას აქვს დიდი მნიშვნელობა, ეს მაინც არ კმარა თადარიგის მეთაურთა სამხედრო მომზადებისათვის

თადარიგის მეთაურებმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიჭირონ მტკიცე კავშირი თავდაცვა-ავიაქიმის ადგილობრივ ორგანიზაციებთან. თადარიგის მეთაური ან პოლიტმუშაკი მოვალეა მიიღოს მზურვალე მონაწილეობა თავდაცვა-ავიაქიმის ადგილობრივ უჯრედის მუშაობაში. მათვე უნდა იზრუნონ ან უჯრედების ჩამოყალიბებაზე იქ, სადაც ასეთი არ არსებობს.

მშრომელ მასებში არსებულ ინტერესმა ქვეყნის თავდაცვის საკითხებისადმი გამოიწვია თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების რიცხვის სწრაფი ზრდა. ამ უჯრედების მუშაობა იქნება ნაყოფიერი, მაშინ, თუ მათ გაუწევენ ხელმძღვანელობას თადარიგის მეთაურნი. ამავე დროს უჯრედის მუშაობა უნდა უწყობდეს ხელს თადარიგის მეთაურთა სამხედრო ცოდნის ამაღლების საქმეს. ეს თავისი მხრივ შესაძლებელია სამხედრო გაზეთების და ჟურნალების გამოწერით, სამხედრო წესდების შესწავლით. საჭიროა აგრეთვე ფართოთ სარგებლობა იმ მდიდარ სამხედრო ლიტერატურით, რომელიც მოიპოვება სამხედრო ნაწილების ბიბლიოთეკებში. ფართეთ უნდა იქნეს გამოყენებული წითელ არმიის სახლთან არსებული თვითგანვითარების ბიურო, რომელიც უწევს დახმარებას არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს და ამიერ-კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში ცხოვრება თადარიგის მეთაურთა და პოლიტიკურ შემადგენლობას.

გარდა ამისა, თვით თადარიგის მეთაურთა შორის არიან ისეთებიც, რომელთაც შეუძლიათ სამეცნიერო გამოკვლევითი მუშაობის წარმოება და უმაღლეს ორგანოების სპეციალურ დავალებების შესრულება. შესაძლებელია აგრეთვე თავისი ინიციატივით ამა თუ იმ თემის დამუშავება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ წესით და შემდეგ მისი გადატანა ავიაქიმის უჯრედის საერთო კრებაზე.

ამ მუშაობის დროს არ უნდა იქნეს გამოშვებული მხედველობიდან ის გარემოება, რომ ამ ღონისძიებებით ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ სახალხო მეურნეობის და სამოქალაქო ორგანოების მუშაობის შეთანხმება სამხედრო უწყების ინტერესებთან, ვინაიდან საბჭოთა კავშირის გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მომზადებულნი დავხვდებით ჩვენ და განსაკუთრებით ჩვენი სახალხო მეურნეობა იმპერიალისტების თავდასხმას.

ი. რუდოვსკი.

ქვეითი ჯარი ბრძოლაში

ბრძოლის დროს ქვეითი ჯარის ნაწილები (ათეულები, ოცეულები, ათეულები) არ არიან დაგროვილნი ერთად და არ იმყოფებიან ერთ ხაზზე. მათ შორის ყოველთვის არის განსაზღვრული მანძილი. ასეთი წესრიგი საჭიროა იმიტომ, რომ მოწინააღმდეგეს არ მიეცეს საშუალება დაინახოს ყველა ნაწილები; აგრეთვე სროლის დროს მტერი იძულებულია დაქსაქსოს თავისი ცეცხლი, რომ ესროლოს დაფანტულ ნაწილებს. პატარა ნაწილებად დაყოფილ ქვეითი ჯარს აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ყოველგვარი საფარი იმ მიდამოზე, სადაც იმყოფება.

საბრძოლო წესრიგის დროს ნაწილები ისე არიან დაშორებულნი ერთი მეორეს, რომ საჭირო დროს ცალკეულ ნაწილს შეუძლიან დაეხმაროს მეზობელს.

ბრძოლის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს კავშირს. უფროსის განკარგულება დროზე უნდა მიდიოდეს დანიშნულ ადგილზე. კავშირისათვის გამოიყენება საველე ტელეფონი, ცხენოსანი და ქვეითი მარბენალნი. ბრძოლის წინ ასეულის მეთაური ბრძანებას იძლევა ზეპირად; იერიშის დროს კი მეთაური იჭერს კავშირს ნაწილთან ხმით ან ნიშნით.

არტილერიასთან და დამხმარე ჯართან კავშირისათვის ქვეითი ჯარი ხმარობს მუშხუნებს. თვითმფრინავებთან კავშირის დასაჭერად გამოიყენება განსაკუთრებული ტილო, რომელიც იფინება მიწაზე ისე, რომ კარგად სჩანდეს ზევიდან, კავშირის მიზნით ქვეითი ჯარი სარგებლობს აგრეთვე ძაღლებით და მტრედებით.

რომ წარმატებით აწარმოოს ბრძოლა, ქვეითი ჯარმა უნდა იცოდეს მტრის ძალების მდგომარეობა, უნდა ჰქონდეს ცნობები იმის შესახებ, თუ რა მანძილზე იმყოფება მტერი და რას აპირებს იგი. აგრეთვე ქვეითი ჯარი უნდა იცნობდეს იმ მიდამოს, სადაც მას მოუხდება ბრძოლა. ყველა ეს მუშაობა სწარმოებს მძიებელ და მშრომელ ნაწილების საშუალებით.

ძიება სწარმოებს განუწყვეტლივ—დღისით და ღამით. მძიებლის მოქმედება არის ფრთხილი და გაბედული. მის მოქმედებაზე დამოკიდებულია მთლიანად ძიების წარმოება.

ძიებას აწარმოებენ მძიებელი ათეულები და ოცეულები. მძიებლები სამუშაოდ მიდიან პატარა ჯგუფებად და მზად არიან ბრძოლისათვის, თუ წინ შეხვდათ მტრის მძიებელნი, სცდილობენ თოფის გაუსროლელად ჩაიგდონ ისინი ხელში, თუ მტერი მათზე ძლიერია, მძიებლები შეუმჩნევლად იხევენ უკან.

ქვეითი ჯარი, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი, თვითონ იცავს თავის თავს მტრის მოულოდნელ თავდასხმისაგან. თუ ქვეითი ჯარი სდგას ერთ ადგილას, მაშინ იგი ყველაზე უფრო საშიშ მიმართულებით გამოჰყოფს დამცველ ნაწილებს, რომლებიც თავისი მხრივ გამოჰყოფენ უფრო პატარა ნაწილებს მიდამოს თვალყურის სადევნებლად.

ბრძოლის დროს ქვეითი ჯარი ფართედ სარგებლობს შენიღბვით. შენიღბვა საჭიროა, ერთის მხრივ, იმისათვის, რომ დაფარულ იქნეს თავისი ჯარი მტრისაგან, რითაც ჯარი უზრუნველყოფილია ზედმეტი მსხვერპლისაგან; მეორე მხრივ შენიღბვით ქვეითი ჯარი ატყუებს მტერს და არ აძლევს მას საშუალებას გაიგოს, თუ რის გაკეთება სურს მას.

მხედარი

სამხედრო ქრონიკა

ქალთა სამხედრო წრე

№ ლეგიონის მე-3-ე ათასეულის კლუბთან დაარსდა ქალთა სამხედრო წრე, რომელშიაც მეტ წილად ჩაწერილი არიან მეთაურების ცოლები.

წრეში ისწავლება სასროლო საქმე, ქიმია და პოლიტიკური საგნები.

„აზერბეიჯანის ინჟენერები"

1ლ მაისისათვის დამთავრდება შემოწირულების შეგროვება თვითმფრინავ „აზერბეიჯანის ინჟენერი"-ს აგებისათვის დღემდე შეგროვებულია 18 ათას მან. მეტი.

თვითმფრინავი გადაეცემა ესკადრილიას — „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს".

კლუბის გამგეობების გადარჩევა

წითელი ჯარის ნაწილებში დამთავრდა კლუბის გამგეობების გადარჩევა. გადარჩევაში აქტიური მონაწილეობა მიიღო მთელმა წითელარმიელთა მასამ. ახლად არჩეულ გამგეობებში გაყვანილ იქნენ აქტიური და შრომის უნარიანი ამხანაგები.

საბჭოთა საქართველო

წერილები

გლეხკორთა მოვალეობა მიმდინარე კამპანიაში

საბჭოთა სოფლის წინაშე გადასაჭრელად სდგას მორიგი ამოცანა, რომელიც მდგომარეობს 100 მილიონიან საგლეხო სესხის ობლიგაციების განაღდებაში.

ამ მორიგი ამოცანის წარმატებით გადასაჭრელად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ფართე აგიტაცია-პროპაგანდის წარმოებას.

ვინ უნდა იკისროს ეს მოვალეობა?

რა თქმა უნდა ამისათვის სოფლად არსებობს მთელი რიგი ორგანიზაციები, მაგრამ ამ წერილის მიზანია ხაზი გაუსვას გლეხკორებისა და კედლის გაზეთების როლს საგლეხო სესხის ობლიგაციების განაღდების საქმეში.

კედლის გაზეთები თითქმის ყველა დიდ თემში არსებობს. მათ გარშემო შემოკრებილია გლეხკორების საკმაო რიცხვი, რომლებიც შეგნების მხრივ გაცილებით მაღლა სდგანან გლეხთა ფართე მასებთან შედარებით.

კედლის გაზეთები ფართეთ უნდა იქნენ გამოყენებული მიმდინარე კამპანიაში. ამ გაზეთების ხელმძღვანელებმა სასურველია გამოსცენ სპეციალური ნომრები, რომლებშიაც სათანადოდ იქნება გაშუქებული საგლეხო სესხის მნიშვნელობა და ის სარგებლიანობა, რომელსაც სესხის წარმატებით განაღდება მისცემს როგორც საბჭოთა ხელისუფლებას, ისე კერძოდ თვითეულ თემს და ობლიგაციის შემძენს.

გარდა იმისა, რომ თვითეულმა გლეხკორმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კედლის გაზეთებში სესხის მნიშვნელობის გაშუქებისათვის, ამასთან ერთად გლეხკორმა იმ საერთო კრებებზე, რომელიც მოწვეული იქნება ამ კამპანიის ჩასატარებლად, სიტყვიერი აგიტაცია-პროპაგანდის საშუალებით უნდა განუმარტონ გლეხობას საგლეხო სესხის მნიშვნელობა.

გლეხკორების ამოძრავებას და მათ აქტიურად ჩაბმას ამ კამპანიაში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია სესხის განაღდების საქმეში. ამასთან ერთად გლეხკორებმა ობლიგაციების შეძენით პირველი მაგალითი უნდა მისცენ გლეხობას.

როგორც ვხედავთ, გლეხკორებს და კედლის გაზეთებს საკმაო როლი შეიძლება დაეკისროს მიმდინარე კამპანიაში. ამიტომ, აუცილებლად საჭიროა კედლის გაზეთების სარედ. კოლეგიებმა ეხლავე შეუდგნენ საჭირო თადარიგს. სოფლად მოწვეულ უნდა იქნეს გლეხკორთა საერთო კრებები, რომელზედაც ჩატარდება შესაფერი მოხსენებები სესხის განაღდებასთან დაკავშირებით, ხოლო ამის შემდეგ თვით გლეხკორებმა უნდა გაშალონ პროპაგანდა - აგიტაცია.

გლეხკორი.

მეწყერი ქუთაისის მაზრაში

მეწყერი წინეთ საქართველოში იშვიათი მოვლენა იყო. გამონაკლისის სახით ის ხდებოდა რაჭის მაზრაში, მაგრამ ტყეების უთავბოლო გაჩეხვამ, ეს სტიქიური მოვლენა იმერეთის მხარესაც არგუნა. ვენახებით და ღვინით მდიდარ ბაღდადის მხარეს ეს უბედურება უკანასკნელ წლებში ისე მძლავრად ემუქრება, რომ აქ საჭიროა სახელმწიფოებრივი დახმარება, თორემ ადგილობრივი ძალებით ამ გამანადგურებელ სტიქიასთან ვერას გავხდებით.

მაზრაღმასკომი წარსული წლიდან არკვევს მეწყერიან ადგილების როგორც მდებარეობას, ისე რაოდენობას და უეჭველია მიღებულ იქნება პრაქტიკული ზომები ამ საშიშროებიდან გლეხობის განსათავისუფლებლად.

გასული წლის შემოდგომის და ზამთრის განმავლობაში იშვიათი წვიმიან-თოვლიანი ამინდების გამო, მაზრის სამხრეთ ნაწილში მდებარე ოთხიოდე თემში მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ ზომების მიღება.

მაზრის სამხრეთი ნაწილი ეკვრის აჭარა-ახალციხის მთაგრეხილის კალთებს და სწორედ ამ მაღლობებზე წელს იმდენი თოვლი დასდო, და შიგა და შიგ გამუდმებული წვიმები იყო, რომ წლევანდელ ზამთარში უკან ჩამოვრჩა 1925 წლის საროკოროდ ზამთარიც კი. ნიადაგი ზედმეტად გაჟღენთილია წყლით, რამაც ხელი შეუწყო ბაღდადის, წითელიხევის, გორას და ამაღლების თემებში უკვე არსებულ მეწყერიან ადგილების ხელახლავ და უფრო ძლიერად დაძვრას. ამ თემებში ჩამომდინარე მთის წყლები—საკრეულა, ხანის-წყალი, კორის-წყალი, ფერეთა და კვინისწყალი ადიდების დროს ძირს უთხრიან მათ გასწვრივ მდებარე მოსახლეობით და ბაღ-ვენახებით, სავსე ტყალის ნიადაგისაგან შემდგარ მოძრავ გორაკიან ადგილებს.

საშინელი სურათი დატრიალდა 8-9 სოფელში, ოციოდე ვერსის სივრცეზე დაიძრა თითქმის მთელი მიდამო. გზები ბევრგან ჩაინგრა, ბაღ-ვენახები სახლებიანად ქვევით დასცურდა, ბევრგან მოსახლეობა აიყარა და დროებით გაკეთებულ კარვებს შეაფარა თავი, ზოგმა კი მეზობელ-ნათესავებს.

ამჟამად მეწყერის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია. ხოლო მომავალი გაზაფხულიდან კი ლანქერის ჩამოთავების შემდეგ, ზევით მოხსენებულ მდინარეების ის ნაპირები, სადაც მიწა თანდათან წყალში ჩამოდის, უთუოდ უნდა გამაგრდეს ქვის კედლებით.

ამ საქმეს საკმაოდ დიდი თანხები დასჭირდება, მაგრამ ასეთ სტიქიურ უბედურების დროს, უეჭველია მუშურ-გლეხური ხელისუფლება არაფერს დაიშურებს და სამუდამოდ განადგურებისაგან გადაარჩენს მევენახეობის ამ ერთ-ერთ საუკეთესო კუთხეთაგანს.

ალ. თვარაძე.

წერილებიდან

მიწების ყიდვა - გაყიდვას განაგრძობენ

ზვარეთის თემი, რაჭის მაზრა

სოფ. კვაშხიეთში მცხოვრებ მალაქია ჯუხაძემ ამ სამი თვის წინედ სავენახე მიწა მიყიდა ძმებ ფილიპე და სპირიდონ ცეცაძეებს. ეს უკანასკნელნი ჩვენს სოფელში კულაკებად ითვლებიან. ეს იცის როგორც ადგილობრივმა გლეხობამ, ისე თემაღმასკომმაც, მაგრამ არავითარ ზომებს არ ღებულობს. მაზრაღმასკომმა მაინც უნდა მიაქციოს ამ მავნე მოვლენას ყურადღება.

სიმართლის მთქმელი.

ჩამორჩენილი კუთხე

ს. დიდება, თბილ. მაზრა

ეს სოფელი შედის კოჯრის თემში, მცხოვრებთა რიცხვი უდრის 30 კომლს. მიწადმოწყობის დაუმთავრებლობის გამო შეძლებული გლეხობა ... მიწებს ხნავენ, რითაც ღარიბი გლეხობა შევიწროვებულია. სოფელს არა აქვს აგრეთვე სკოლა და არც არავითარი კულტმუშაობა სწარმოებს, ამიტომ ცრუმორწმუნეობას და უვიცობას ფართე გასაქანი აქვს.

საჭიროა უფრო მეტი მზრუნველობა ასეთ ჩამორჩენილ სოფლებისადმი.

გ. გარსიაშვილი.

სოფლის ქრონიკა

— **წყალსადენი.** სოფ. აზმეტაში, (თელავის მაზრა) დაიწყო მუშაობა წყალსადენის გამოსაყვანად.

— **კინო.** გურჯაანის თემაღმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს კინო თეატრი.

— **კურსები.** სიღნაღის მაზრაში სოფლის ახალგაზრდობის სკოლებთან გაიხსნა სას.-სამეურნეო მოკლევადიანი კურსები.

— **სიღნაღის აღმასკომმა**, სოფ. ვეჯინში წყალსადენის გასაყვანად გადასდო 2.000 მანეთი.

— **საფერშლო პუნქტი.** სოფ. ქვემო-ჭალადიდში გაიხსნა საფერშლო პუნქტი.

— **არტელი.** სოფ. ნათლისმცემელში (გურია) დაარსდა სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელშიც გაერთიანებულია 23 გლეხის მეურნეობა.

— **განათლების მუშაკთა კავშირთან** ცხინვალში დაარსდა სამეცნიერო მუშაკთა სექცია.

— **ჭრა-კერვის სკოლა.** სოფ. ფონაში (შორ. მაზრა) გაიხსნა ჭრა-კერვის სკოლა.

— **ელსადგური.** ოზურგეთის აბრეშუმის სახვევ ქარხანასთან ელსადგურის აგება სავსებით დამთავრდა.

ა.-კ. ცაკში

ნარჩენების ჩამოწერა.

საბჭოთა კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წლის 2 ნოემბრის დადგენილების შესასრულებლად, ამიერ-კავკასიის ცაკმა დაადგინა ჩამოწერილი იქნეს მუშებისა და მოსამსახურეებისაგან ნაშენების გადასახადის საურავი, რომელიც მათზე ირიცხებოდა 1927 წლის 7 ნოემბრისათვის; საურავი ჩამოწერილია იმ პირებისაგან, რომლებისათვისაც დასაბეგრავი ქონება შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს.

ჩამოწერილი იქნება აგრეთვე მთლიანად მუშა-მოსამსახურეებისაგან ყველა დანარჩენ ადგილობრივ გადასახადების ნარჩენები, ჯარიმა და საურავი, რომლებიც მათზე ირიცხება 1927 წლის 7 ნოემბრისათვის; ნარჩენები, ჯარიმა და საურავი ჩამოწერილი იქნება იმ პირებისაგანაც, რომელთათვისაც დასაბეგრავი ქონება შემოსავლის ერთად-ერთ წყაროს წარმოადგენს.

რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს წინადადება მიეცათ დაავალონ სათანადო ფინსახკომებს, რათა ამ უკანასკნელებმა გამოსცენ ინსტრუქციები ამ დადგენილებების ცხოვრებაში გასატარებლად.

საქ. ცაკში

სოციალურ უზრუნველყოფის საქმეზე

საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის საქმეზე მოსახმარად იანვრის ანგარიშში მაზრებს დაუგზავნა 9.196 მანეთი.

მადლობა დახმარებისათვის

საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ ბორჯომის საბავშო სახლის გამგეს ამხ. ემუხვარისაგან მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის ბორჯომის საბავშო სახლი ამით გაცნობებთ, რომ მან უკვე მიიღო თქვენი განკარგულებით გამოგზავნილი საჩუქარი: 1) ერთი ფუთი კაკაო, 2) ერთნახევარი ფუთი შაქარი, 3) ერთი ყუთი შეკუმშული რძე და 4) ერთი ყუთი საპონი, რისთვისაც აღნიშნულ საბავშო სახლში მოთავსებული ბავშვები უღრმეს მადლობას გიძღვნიან".

ეკონომიურ საბჭოში

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის განაწილება

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის 1927—28 წ. 1-ლ კვარტალში ფინანსების მისაწოდებლად გაღებულ 165.000 მან. განაწილების პროექტი.

ხსენებული პროექტის მიხედვით გადასახლება-ჩამოსახლებისათვის გადადებულია 22500 მან., აქედან საქართველოს 18.675 მან. (83 პროც.), აფხაზეთს 1.125 მან. (5 პროც.), აჭარისტანს 2.500 მან. (10 პროც.), სამხრეთ-ოსეთს 450 მან. (2 პროც.).

ძირითად თანხების გასაძლიერებლად გადადებულია 5.772 მან.; აქედან საქართველოს—3.000 მან., აფხაზეთს 1.000 მან., აჭარისტანს—1.000 მან., სამხრეთ-ოსეთს—772 მან ღარიბების გლეხთა და კოლექტიურ მეურნეობათა საკრედიტოთ—62.500 მან., აქედან საქართველოს 51.250 მან. (82 პროც.), აფხაზეთს 6250 მან. (10 პროც.), აჭარისტანს—2.500 მან. (4 პროც.), სამხრეთ-ოსეთს — 2.500 მან. (4 პროც.); 51.250 მან. განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: აღმ. საქართველოს 20 967 მან. (40.9 პროც.), დას. საქართველოს 30.283 მან. (59.1 პროც.).

ტრესტქმნილ საბჭოთა მეურნეობათა ძირითად თანხებისათვის გადაიდო 33.750 მან., აქედან საქართველოს 27.844 მან. (82,5 პროც.) აფხაზეთს 3.544 მან. (10,5 პროც.). აჭარისტანს 1 350 მან. (4 პროც.), სამხრეთ-ოსეთს 1.012 მან. (3 პროც.).

განაწილების საფუძვლად მიღებულია ის კოეფიციენტები, რაც დამტკიცებულ იქნა ეკონომიურ საბჭოს მიერ—1927 წ. აგვისტოს 8-ს.

რადგანაც, დაწესებულ კოეფიციენტების მიხედვით საქართველოს სასოფლო მეურნეობისათვის ერგებოდა 1-ლ კვარტალში—176400 მან. ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა ეთხოვოს ამ.-კავკასიის სახკომსაბჭოს, რათა აღნიშნულ კვარტალში მიღებული 11.578 მან. ანაზღაურებულ იქნას მე-2-რე კვარტალისათვის.

ღირსეული სასჯელი

(ლ. ლ. ნოვიკოვის დახვრეტა ეკონომიურ კონტრ-რევოლუციისათვის)

ფქვილით მოვაჭრე რამდენიმე სპეკულიანტის მიერ 1922 წლის ბოლოს თბილისში დაარსებული იქნა კერძო საზოგადოება „ხლებოპიოკი", რომელმაც საბჭოთა აპარატის მუშაკთა მოსყიდვით, უჩვეულოთ გააძლიერა თავისი სპეკულიანტური მოქმედება; ამ საზოგადოებას სისტემატიურად გაჰქონდა პური ჩრდილოეთ-კავკასიიდან, როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე რ.ს.ფ.ს. რ-ის ჩრდილოეთის პუნქტებში. აღნიშნულმა საზოგადოებამ საქმე დაიწყო 400.000 მანეთით და 1926—27 წლის განმავლობაში თავისი ბრუნვა გაადიდა 4 ნახევარ მილიონ მანეთამდე. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მის მიერ ჩრდილოეთ-კავკასიიდან გატანილ იქნა 5 მილიონამდე ფ. პური. ამასთანავე პურის დამზადებას საზოგადოება აწარმოებდა უსისტემოდ და უგეგმოთ, რითაც ხელს უშლიდა სახელმწიფო დამზადებას.

საზოგადოება „ხლებოპიოკის" ასეთი დეზორგანიზატორული მოქმედება შესაძლებელი გახდა იმ მეტად კარგ პირად ურთიერთობის წყალობით, რომელიც არსებობდა ამ საზოგადოების ხელმძღვანელებსა და ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახკომისარიატის სამრეწველო და სასურსათო საქონლის სამმართველოს უფროსის ლეონიდე ლეონიდეს ძე ნოვიკოვს შორის. ნოვიკოვის ინიციატივით ჩრდილოეთ-კავკასიის ხელმძღვანელ ორგანოებს და სხ. რამდენჯერმე გაეგზავნა შუამდგომლობა ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახკომისარიატის სახელით საზოგადოებისათვის დახმარების აღმოჩენისა და პურის გატანაზე ნებართვის მიცემის შესახებ. ასეთი დახმარებისათვის ნოვიკოვი საზოგადოების ხელმძღვანელებისაგან სისტემატიურად ღებულობდა ქრთამს მთელი 1925, 1926 და 1927 წლების განმავლობაში. ზოგიერთ შემთხვევებში ქრთამი აღწევდა 700—1.200 მანეთს.

ნოვიკოვი წარსულში სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკების) პარტიის აქტიური წევრი იყო. 1918 წელს ის სოხუმის მენშევიკურ საოლქო კომიტეტის მიერ წამოყენებული იქნა სახალხო გვარდიის შტაბის წევრის თანამდებობაზე. იმავე წელს მონაწილეობა მიიღო ბოლშევიკურ მოძრაობის ჩაქრობაში აფხაზეთში ბოლშევიკებთან ბრძოლის დროს მდ. კოდორზე ხელმძღვანელობდა ვ. ჯუღელის რაზმის ერთ-ერთ როტას.

ამიერ-კავკ. სახ. პოლიტსამმართველომ ლ. ლ. ნოვიკოვს მიუსაჯა დახვრეტა. განაჩენი მოყვანილია სისრულეში. (ადს).

აღმშენებლობა ნავთსადგურებში

გზათა კომისარიატის კომისიის დადგენილებები ა.-კ. ნავთსადგურების აღმშენებლობის შესახებ

თბილისში დაბრუნდა ა.-კ. ნავთსადგურების და შინაწყლებზე მიმოსვლის სამართველოს უფროსი ტ. ს. სპრინკველი, რომელიც თბილისიდან გაჰყვა გზათა კომისარიატის კომისიას ამ.-კავკასიის ნავთსადგურების დასათვალიერებლად.

კომისიის დასკვნების შესახებ ტ. ს. სპრინკველმა ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

გზათა კომისარიატის კომისიამ, კომისარიატის კოლეგიის წევრის ამხ. პოლუიანის თავმჯდომარეობით და ცენტრალურ საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსის—სერგეევის და ამავე სამმართველოს მთავარ ინჟინერ—ტუხოლკას შემადგენლობით დაათვალიერა ბათომის, ფოთის და სოხუმის ნავთსადგურები. ნავთსადგურების მდგომარეობა მან დამაკმაყოფილებლად სცნო. დათვალიერების დროს კომისიამ ადგილობრივ განიხილა ნავთსადგურებში შემდგომი სააღმშენებლო მუშაობასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

ბათომის ნავთსადგურში

კომისიამ საჭიროდ სცნო სანავთო ზღუდეს გაგრძელება და ბურუნ-ტაბიეს ზღუდეს აშენება. ამ მიზნისათვის მომავალ წელში გადადებული იქნება საჭირო თანხები.

საჭიროდ იქნა ცნობილი აგრეთვე ნავთსადგურში ტალღამკვეთის მოწყობა და მშრალი ტვირთების გადამზიდავი გემებისათვის 30 ფუტის სიღრმის მისადგომის აშენება.

კომისიამ ყურადღება მიაქცია ნავთსადგურის ტერიტორიის სივიწროვეს და მისი გაფართოებისათვის საჭიროდ სცნო ბაქოს ქუჩის გაუქმება. ამით, ნავთსადგურის ტერიტორიის გაფართოებასთან ერთად გაადვილდება გემების განტვირთვის საქმე.

კომისიავე დადგენილებით უნდა გაგრძელდეს ნავთსადგურისაკენ მიმავალი რკ. გზის ხაზები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საკითხი რკინისგზის ხაზის გადატანის შესახებ ქალაქის ცენტრიდან. ეხლა ნავთსადგურისაკენ მიმავალი რკ. გზა გადის ბათომის ცენტრალურ ქუჩებით. კომისიის დადგენილებით რკ. გზ. ხაზი აქედან უნდა გადატანილ იქნეს და ახალმა ხაზმა უნდა გაიაროს საქონლის სადგურიდან შმიდტის ქუჩით, საბაჟოს ეზოზე და საბჭოთა სავაჭრო ფლოტის საწყობამდე.

ფოთის ნავთსადგურში

კომისიამ მოიწონა ჩრდილოეთის ზღუდის აშენება და საჭიროდ სცნო ხომალდების საალ მშენებლო ქარხნის მოწყობა ახალი გაუმჯობესებული დაზგებით.

სოხუმის ნავთსადგურში

კომისიამ დაამტკიცა ნავთსადგურების სამმართველოს პროექტი სოხუმში გემების მისადგომის აშენების შესახებ. მისი აგება დაჯდება ნახევარი მილ. მანეთი. აშენება დამთავრდება მომავალი წლის ბოლოს.

ახალი ნავთსადგურების საკითხი

რაც შეეხება ტყვარჩელის ქვანახშირის გაზიდვასთან დაკავშირებით ახალ ნავთსადგურის აშენების საკითხს, კომისიას ამის შესახებ რაიმე დასკვნა არ გამოუტანია. არსებობს სამი ვარიანტი, რომელთა მიხედვით ტყვარჩელის ქვანახშირის გაზიდვა უნდა სწარმოებდეს ფოთით, სოხუმით ან ოჩემჩირით.

საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე გამოტანილი იქნება ა.-კ. მთავრობის მიერ.

ნაოსნობა მდ. რიონზე გაიხსნა

ფოთის ნავთსადგურის დათვალიერების შემდეგ, კომისია სრულის შემადგენლობით თბომავალ გემით „პერვენეც"-ით გაემგზავრა მდ. რიონზე და გაეცნო მის კალაპოტს. კომისიამ მდინარის სანაოსნო თვისებები დამაკმაყოფილებლად სცნო.

25 იანვრიდან დონ-ყუბანის სანაოსნო ხაზმა უკვე გახსნა რეგულიარული სანაოსნო მოძრაობა მდ. რიონზე ფოთიდან-სამტრედიამდე. კომისიამ წინადადება მისცა ა.-კ. შინა წყლებზე მიმოსვლის სამმართველოს მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ამ.-კავკასიის მდინარეებზე სანაოსნო ქსელის გაფართოებას.

ქრონიკა

1901, 1902, 1903 და 1904 წელში დაბადებულთა საყურადღებოდ

მე-6 ქართული მსროლელი ლეგიონი აცხადებს; რომ ა.-წ 29 იანვარს მოხდება 1901, 1902, 1903 და 1904 წელში დაბადებულ ცვალებად შემადგენლობის წითელ არმიელთა და უნცროს მეთაურთა საერთო მოკლე ვადიანი შეკრება, რის გამო ქ. თბილისში მდგომ ლეგიონის განყოფილებაზე მიწერილნი ოთხივე ასაკის ცვალებად შემადგენლობის წითელ მოლაშქრენი და უნცროსი მეთაურები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ შემკრებ პუნქტზე (სადგურის ქ. № 24) აღნიშნული რიცხვის დილის 7 საათისათვის. მორიდებულთა წინააღმდეგ მიღებული იქნება სათანადო ზომები.

ორი დღესასწაული

საქართველოს გასაბჭოების 7 წლის და წითელი არმიის 10 წლის თავის აღსანიშნავ დღესასწაულების ჩასატარებლად, თბილისის აღმასკომმა გამოყო ცალკე კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ლ. სუხიშვილი (თავმჯდომარედ), ასრიბეკოვი, ივანოვ-კავკასკი, ბოლქვაძე, ბედია, თხილავა; აკოფოვი, ტაქტაევი. შ. ოკუჯავა, ფირალოვი; ჟორჟოლაძე, გეორქიანი, ნუცუბიძე, ციხელაშვილი, ადამიანი, ქავარავა, ბელიაევსკაია, აზარაშვილი, აბაშიძე, ი. ბერიძე (მთავარ სახელოსნოების მუშებიდან, უპარტიო) გრ. ანთიძე (ტრამვაის მუშებიდან, უპარტიო), ანა ამირანოვა (საპონ-ზეთის ქარხნის მუშებიდან) და ნიკო ბახმანოვი. კომისია შეუდგა დღესასწაულების ჩატარების გეგმის გამომუშავებას.

პურის დამზადების გასაძლიერებლად

პურის დამზადების გაძლიერებისა და „სამოგონის" დამზადებასთან ბრძოლის მიზნით, ამიერ-კავკასიის ცაკმა წინადადება მისცა რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს ორი კვირის განმავლობაში სათანადო სისხლის სამართლის კოდექსებში შეიტანონ სოციალური დაცვის სხვა ღონისძიებებთან ერთად ჯარიმა „სამოგონის" დამზადებისა, შენახვისა და გასაღებისათვის 500 მანეთამდე.

საყოველთაო დაწყებითი სწავლება

საქართველოს საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა სოციალურ-კულტურულ სექციას გამოარკვიოს ფინსახკომში საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფინანსიური შესაძლებლობა არსებობს საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოსაღებად.

იმავე სექციას დაევალა შეუთანხმოს განათლების სახალხო კომისარიატს და ა.-კ. საგეგმო კომისიას საკითხი იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებები უნდა იქნეს დაკანონებული საყოველთაო დაწყებითი სწავლების შემოსაღებად.

თათბირი ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატში

დღეს ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატში გაიხსნება ა.-კ. რესპუბლიკათა შრომის კომისარიატების შრომის დაცვის განყოფილებათა გამგეობის თათბირი. თათბირზე განხილული იქნება შრომის დაცვის საქმესთან დაკავშირებული საკითხები.

ა.-კ. რკ. გზ დამზღვევ სალაროს პლენუმი

შაბათს, 4 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, თბილისში მოწვეულია ამიერ-კავკასიის რკ. გზის დამზღვევ სალაროს პლენუმი.

დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

ამიერ-კავკასიის რკ. გზის დამზღვევ სალაროს პრეზიდიუმის მოხსენება მისი მუშაობის შესახებ ამ.-კ. რკ.-გზ. მე-6 ყრილობის შემდეგ: ამ.-კ. რკ.-გზ. დამზღვ. სალაროს 1927-28 წ. ბიუჯეტი და საოპერაციო და საორგანიზაციო ხარჯების ხარჯთ-აღრიცხვა; საექიმო და დაზღვევის კონტროლის დაყენება ამ.-კ. რკინის გზაზე: დამზღვევ სალაროს აპარატის რაციონალიზაციის შესახებ ამ.-კავკას. რკინის გზებზე; და მოხსენება საპენსიო მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

რემედასის კვირეული

რემედასის კვირეულის პირველი სამი დღის განმავლობაში თბილისში ყულაბებით შეგროვილია 3.649 მან. გარდა ამისა, რემედასის უჯრედებში ხელისმოწერით შეგროვილია: სმურში—300 მან., განათლების სახკომისარიატში—100 მან., ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში—100 მან., „თემქა"-ში—52 მან., კომკავშირის თბილისის კომიტეტში—75 მან., კომკავშირის 1-ლ რაიკომში 70 მან. და მე-4 რაიკომში—75 მან. ხელისმოწერა გრძელდება.

კალოშები

ამას წინედ შექმნილ კალოშების კრიზისის დასაძლევად რეზინოტრესტმა დამატებით გამოიწერა 108.000 წყ. კალოში, რაც მიღებული იქნება თებერვლის პირველ რიცხვებში. თბილისის კალოშების ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ტრესტმა გეგმის გარეშე მიიღო 76.000 წყვილი კალოში. კალოშების ეს რაოდენობა განაწილებული იქნება თბილისის კოოპერატივებს შორის.

თბილისის აღმასკომში

◆ **საანგარიშო კამპანიასთან** ერთად თბილისის მაზრაში, თბ. აღმასკომი ჩაატარებს საგლეხო სესხზე ხელის მოწერის კამპანიას.

◆ **ტრამვაის პარკთან** ახალი სახელოსნოს მოსაწყობად გადაიდო 28 650 მანეთი.

◆ **ქ. სახაკლაოს შესაკეთებლად** და გასაფართოებლად თბ. აღმასკომი წელს დახარჯავს 26.419 მანეთს.

◆ **გზების შეკეთება.** თბ. მაზრაში გზების შესაკეთებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 52.000 მანეთი.

◆ **1-ლი საავადმყოფოს** შესაკეთებლად ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა 30 ათასი მანეთი.

საბეითლო საქმის გასაუმჯობესებლად მთელს მაზრაში, გადაიდო 68.239 მანეთი.

მიწსახკომში

◆ **წყალთა მეურნეობის** სამართველოს მიწსახკომმა მიმართა, რათა წელს მებამბეობის რაიონებში გაყვანილი იქნეს სარწყავი რუები და არხები.

◆ **მიწის განოყიერება.** მიწსახკომს განზრახვა აქვს წელს შეუდგეს თამბაქოს მეურნეობის ადგილებში მიწის ხელოვნურ განოყიერების საქმეს.

◆ **საქონლის საკვები.** მიწსახკომმა გადაწყვიტა დაამზადოს და მოსახლეობას მიაწოდოს საქონლის საკვებ ჯიშიან ბალახეულობის თესლები.

◆ **მეაბრეშუმეობა.** მიწსახკომმა დაადგინა მეაბრეშუმეობის რაიონებში გაადიდოს მეაბრეშუმე ინსტრუქტორების რიცხვი.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება

◆ **თივა.** წელს მთელ საქართველოში დამზადებული იქნება 1.100.000 ფუთი თივა.

◆ **„სოფლის კავშირი"** გასასაღებლად, წელს გლეხებისაგან შეიძენს 30.000 ფუთ ლობიოს.

◆ **ხახვი.** მიმდინარე წელს ადგილობრივ საჭიროებისათვის და საექსპორტოთ დამზადებული იქნება 10.000 ფ. ხახვი.

◆ **საზ-ბა „საქართველოს ღვინო"** წელს დაამზადებს 2 მილიონ გრადუსს სპირტს.

◆ **ნაწლავები.** „სოფლის კავშირი" ამზადებს 23.342 მანეთის ნაწლავებს.

კრებები და მოხსენებები

— **სამეცნიერო მუშაკთა კონფერენცია.** ზვალ, 28 იანვარს, საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3), შესდგება სამეცნიერო მუშაკთა კონფერენცია.

— **საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებაში**, კვირას, 29 იანვარს, დილის 12 საათზე, თბილისის ინდუსტრიალურ ტექნიკუმში (კამოს ქ. № 70), შესდგება საქ. ტექნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც მოხსენებებს წაიკითხავენ:

პროფ. ა. დიდებულიძე—„ქუჩის განათების რაციონალური გამოსაყენება"; ინჟ. ს. ფიცხელაური „საბინაო მშენებლობა საქართველოში" და საქ. ელექტროფიკაციის დამხმარე საზოგადოების დაარსების შესახებ.

— **ქართული ენის კაბინეტში.** დღეს, 27 იანვარს. საღამოს 7 საათზე, ქართული ენის კაბინეტში (მე-14-ტე შრომის სკოლა. ფ. მახარაძის ქ. № 4), ლიტერატურის მეცადინეობის მარქსისტულ სემინარში შესდგება მორიგი მუშაობა.

დღის წესრიგშია: ვ. ხურაძის მოხსენება „მარქსისტული კრიტიკის პრინციპები ლიტერატურის მცდონიერებაში".

— **განათლების მუშაკთა სახლში** პარასკევს, 27 იანვარს, საღ. 7 საათზე, შესდგება ფიზკულტურის ასოციაციის საორგანიზაციო სხდომა. საღ. 8 საათზე — ჰიდრავლიკის ასოციაცია.

სხვადასხვა

— **მადლობის გამოცხადება.** საქ. ცაკთან არსებული უპატრონო ბავშთა დამხმარე კომისია მადლობას უძღვნის სახელმწიფო ოპერის მსახიობ **სანდრო ინაშვილს**, უმწეო ბავშთა სასარგებლოთ 70 მანეთის შემოწირვისათვის.

— **რემედასის სასარგებლოთ.** საქ. ახ. ლ. კ. კ. მე-15-ტე სამაზრო-საქალაქო კონფერენციის დელეგატებმა რემედასის სასარგებლოთ შესწირეს 76 მან. და 15 კაპ.

— **„თავფარავნელი ჭაბუკი".** რედაქციამ მიიღო ია კარგარეთელის მიერ სოფელ ერთაწმინდაში ჩაწერილი ხალხური ლეგენდა „თავფარავნელი ჭაბუკი".

ჩაუბარებელი დეპეშები

საჯევახოდან—ჯაშის, აგდამიდან—მარკარიანცს, ახალქალაქიდან — სარქისოვს, ლოქრიდან მტეინგელს, ახალქალაქიდან — სილუნიანს, კიევიდან — ხოსს. შახტახტიდან—სადიხ ზადეს, ახალქალაქიდან—ბოგდანოვს, ქიათურიდან — ჩილინგაროვის, ქიათურიდან—კალანჯიელს, ქარელიდან—გურამაზოვს, ახალსენაკიდან — გამცემლიძეს.

მუშათა ცხოვრება

საზეიმო კრება

(ხაშური)

20 იანვარს, ხაშურის მუშათა კლუბში შესდგა ხაშურის საუბნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. წითელი პროფკავშირის ათი წლის თავის შესახებ შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კაპანაძემ. შემდეგ კრებამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია შემდეგი ამხანაგები: ამხ. ტომსკი, ანდრეევი, საბაშვილი და ვ. ყურულაშვილი. კრებამ მოისმინა მოხსენება პროფკავშირების ათი წლის თავის შესახებ, რის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ: ამხ. ს. კაპანაძე, ვ. ვაშაკიძე, მ. კუხალეიშვილი და სხ. სიტყვების დამთავრებისას სასულე ორკესტრმა შეასრულა ინტერნაციონალი.

დასასრულ კრებამ მოისმინა ამხ. ს. კაპანაძის მოხსენება საუბ.კომის ერთი წლის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა ვრცლად გააცნო კრებას საუბნო კომიტეტის მუშაობა და აღნიშნა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. საუბნო კომიტეტის მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად, რის შემდეგ კრებამ გამოჰყო დელეგატები საუბნო კონფერენციაზე დასასწრებლად.

გ—ნ.

ანგარიში ჩაგვაბარეს

25 იანვარს, ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა რკინისგზის საკავშირო და ელექტრო-ტეხნიკურ სამსახურის მე-3 უბნის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

ადგილკომის სამი თვის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლაღიაშვილმა. მან გააცნო კრებას ადგილკომის საქმიანობა, და აღნიშნა, რომ საანგარიშო ხნის განმავლობაში ადგილკომს საგრძნობი მიღწევები აქვს, როგორც კულტურულ ორგანიზაციულ დარგში, ისე შრომის დაცვის და სხვა მუშაობაშიც.

მომხსენებლის სიტყვით საწარმოო თათბირის მუშაობა მოისუსტებდა. მთელი წლის განმავლობაში სულ სამჯერ იქნა მოწვეული საწარმოო თათბირი, რაც არა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. ასეთ რთულ დარგში, როგორიც არის საკავშირო დარგი საწარმოო თათბირი უნდა მუშაობდეს რაც შეიძლება ნაყოფიერად და მის მიერ წამოჭრილი კითხვები დაუყოვნებლივ უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში.

სარევიზიო კომისიის მუშაობაც მოისუსტებდა. ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ არის გაკეთებული რევიზია. ეს იმით აიხსნება, რომ ზოგიერთი წევრები სამსახურით დატვირთულნი არიან და უხდებათ ხაზზე მოგზაურობა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ადმინისტრაცია თავის დროზე არ აწვდის თანამშრომლებს შევსებულ საანგარიშო წიგნაკებს, რასაც ადგილკომის მიერ უნდა მიექცეს ყურადღება. სპეც-ტანისამოსი თავის დროზე, არ ეძლევა ზოგიერთ კვალიფიკაციის მუშა-მოსამსახურეებს.

დასასრულ კრებამ ადგილკომის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად და პრაქტიკულ წინადადებების გამოსამუშავებლად აირჩია კომისია.

ლეო დეკანოსიძე.

ახალმა გამოგონებამ საქმე გაართულა

(მთ. სახელოსნო)

რკინისგზის მთავარ სახელოსნოს სამჭედლო-სამქროს ინჟენერმა მოქ. სვერლიკოვმა გამოიგონა ე. წ. „ნიპილები"-ს ყალიბი (შტამპი), რომელმაც მუშაობის გაუმჯობესებისა და ხარჯების შემცირების მაგიერ, გაართულა მუშაობა და წარმოებას მოაყენა 120—150 მანეთი ზარალი. ყალიბი მოთავსებულია როტელის ჩაქუჩის ქვეშ და იმსახურება მხოლოდ ერთი მჭედლის.

წინად აქ იყო ფოლადის ყალიბი, რომელშიაც მჭედელი აყალიბებდა კიდეც და ხვრეტავდა კიდეც. ახალ ყალიბში კი აღულებული ... მხოლოდ ყალიბდება. დახვრეტა სწარმოებს სხვა ყალიბში. ასე, რომ ინჟ. სვერლიკოვის გამოგონილმა ყალიბმა ერთი-ორად გაართულა მუშაობა.

გარდა ამისა ახალი ყალიბი ყოველი ერთი დღის მუშაობის შემდეგ უნდა გადაიგზავნოს სახარატო საამქროში გასაჩარხავად. წინად კი ეს ასე არ იყო.

საქმე იმაშია, რომ ახალი გამოგონებები უნდა აუმჯობესებდეს წარმოებას და ამცირებდეს ხარჯებს, მაგრამ ინჟ. სვერლიკოვის გამოგონება კი პირიქით ართულებს მუშაობას და იწვევს აუარებელ ზედმეტ ხარჯებს მთავარ სახელოსნოს საწარმოო თათბირმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას და მიიღოს ზომები ახალგამოგონებათა წესიერად და მიზანშეწონილად გამოსაყენებლად.

წითელი ნიღაბი.

— : —

მუშკოოპის რწმუნებულთა არჩევნები

„თემქა"-ს მუშებში

თბილისის ელექტრო-მექანიკურ ქარხნის შენობაში შესდგა ამავე ქარხნის მუშკოოპის წევრთა საერთო კრება, სადაც მოსმენილ იქნა ამხ. ხვედელიძის მოხსენება მუშკოოპის გამგეობის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა გააცნო დამსწრეთ, მუშკოოპის გამგეობის მუშაობა ერთი წლის განმავლობაში.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. ორატორები აღნიშნავენ, რომ მუშკოოპის ზოგიერთ მაღაზიებში არ მოიპოვება პირველი მოთხოვნილების საგნები, ზოგგან არ არის მოწესრიგებული ფასების დაკლების საკითხი და მოითხოვენ აღნიშნულ ნაკლულოვანებათა გამოსწორებას. მუშკოოპის გამგეობის მუშაობა კრებამ სცნო დამაკმაყოფილებლად რწმუნებულად არჩეულ იქნა 3 წევრი და ერთი კანდიდატი.

ივ—ილი.

მე-2 სტამბაში

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბის მუშა-მოსამსახურე—მუშკოოპის წევრთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. სანაძის მოხსენება მუშკოოპის გამგეობის 1 წლის საქმიანობის შესახებ. მომხსენებელს მისცეს შეკითხვა, რაზედაც მან ამომწურავი პასუხი გასცა. კამათში მონაწილეობა მიიღო 3 ამხანაგმა. ისინი აღნიშნავდნენ გამგეობის მუშაობის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. ნაწილი ორატორებისა საჭიროდ სცნობენ, რათა საწევრო პაი გადიდდეს 5 მანეთით. რათა მუშკოოპის შემდგომი მუშაობა გაჯანსაღდეს და კოოპერატიული ქსელი გაფართოვდეს. კრებამ გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და დაავალა მუშკოოპის გამგეობას, რათა ცხოვრებაში გაატაროს შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებანი: მუშკოოპის წევრებმა რიგის გარეშე მიიღონ ყოველგვარი საქონელი. ამ მიზნით გამოკრულ იქნეს სათანადო განცხადებები სავაჭრო მაღაზიებში, მოკლე ვადიანი საკრედიტო კუპონები გავრცელდეს რძისა და ხორცის ყიდვის დროს. მუშაობის დროს სადუქნო საკონტროლო კომისიის წევრებს გაკეთებული ჰქონდეთ ნიშნები და სხვ.

მუშკოოპის რწმუნებულებად კრებამ აირჩია ამხ. მამიკონიანი და დარჩიევი.

სტამბის მუშ.

მუშკორთა წერილებიდან

მოსპეთ ზედმეტი მუშაობა. რკ. გზის მთავარ სახელოსნოს საამქროს უფროსი ამხ. სვეშნიკოვი ხშირად აწარმოებს ზედმეტ მუშაობას: 18 და 19 იანვარს, მან 8 საათის მუშაობის შემდეგ მუშებს—ივანე და სერგო გელკინებს და მ. ხუციშვილს ხელმეორეთ დააწყებინა მუშაობა. ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია. შრომის ინსპექტორო, მოსპეთ ზედმეტი მუშაობა.

ფ. იქარი.

უდიერი უფროსი. (ქუთაისი). რიონჰესის ქუთაისის საწყობის უფროსი თანამშრომელს მოქ. გ. დადიანი უდიერად ეპყრობა თავის ხელქვეითებს. ამას წინად საწყობის მცველს აუარებელ კერძო ხალხის თანდასწრებით ლანძღვა-გინებით და უშვერი სიტყვებით გაუმასპინძლდა. პროფკავშირო, ასწავლე მოქ. დადიანს ზრდილობიანათ მოქცევა.

მაყურებელი.

სახაზინო შეშა ძმურად გაიყვეს. თბილისის საბაჟოს „პაკგაუზის" გამგემ მოქ. შ. ლომთათიძემ დააჭრევინა რამოდენიმე მუშას საბაჟოს ეზოში მდგომი ხეები და ნახევარი თითონ აიღო, ხოლო ნახევარი კი მომჭრელებს გაუნაწილა ძმურად, ადმინისტრაციავ, რატომ არ მიაქცევ ამ საქმეს ყურადღებას.

მგზავრი.

ძმა, ძმისათვის. „ზაკტპო"-ს ცენტრალური საწყობის თანამშრომელმა, მოქ. ა. ჯარიაშვილმა თავისი ძმა, ი. ჯარიაშვილი მოაწყო „ზაკტპო"-ს მეორე საწყობში, რომელიც მდებარეობს მალაკანის ქუჩაზე. ეს იმ დროს, როდესაც ბირჟაზე აუარებელი კავშირის უმუშევარი წევრები მოიპოვებიან. პროფკავშირო, მოაშორე მოქ. ა. ჯარიაშვილი პროტექციობა.

მაკონტროლე.

სასამართლო აპარატის გასაუმჯობესებლად

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ იუსტიციის სახალხო კომისარიატთან ერთად განიხილა საბჭოთა კავშირის მ. გ. ინსპექციის სახ. კომის. მიერ სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების და პროკურატურის ქვედა ქსელის გამოკვლევის შედეგების მიხედვით გამომუშავებული წინადადებები და გაითვალისწინა რა ადგილობრივი პირობები და თავისებურობანი, მიიღო შემდეგი დამატებები, რომლებიც გატარებული უნდა იქნეს ცხოვრებაში როგორც ცირკულიარებისა და ინსტრუქციების საშუალებით, ისე სათანადო ცვლილებების შეტანით სისხლის სამართლის და სამოქ. საპროცესო კოდექსებში.

პროცესის ტეხნიკის გაუმჯობესების მიზნით გადაწყვეტილია წინადადება მიეცეს იუსტიციის სახკომს პირველ განყოფილებას დაამუშაოს სათანადო ცირკულიარული წინადადებები სახალხო სასამართლოებისათვის: ა) საქმეების გარჩევის დანიშვნის შესახებ არა უგვიანეს 48 საათისა სასამართლოში მათი შემოსვლის მომენტიდან. ბ) იმ განაჩენების დაუყონებლივ შესრულების შესახებ, რომლებიც შესულნი არიან კანონიერ ძალაში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 245 მუხლი შევსებულ უნდა იქნეს შენიშვნით იმის შესახებ, რომ შეიძლება საქმე მოსმენილ იქნეს საბრალდებლო ოქმის დაგვიანებით ჩაბარების დროსაც, იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ ბრალდებულები თანხმობას განაცხადებენ. მიეცეს უფლება სასამართლოებს საქმის გარკვეულობის გამო შეუწყვიტონ მოწმეების დაკითხვა და აგრეთვე დააწესონ რეგლამენტი მხარეების კამათისათვის. გასარჩევათ, საქმის დაჩქარებით მოსამზადებლად და იმ მიზნით, რომ განაჩენი ან დადგენილება ამ საქმეზე გამოტანილ იქნეს სასამართლოს პირველ სხდომაზედვე, წინადადება მიეცეს იუსტიციის სახ. კომ. პირველ განყოფილებას გამოსცეს ცირკულიარი იმის შესახებ, რომ შემოღებული იქნეს წესად მოსამართლეების მიერ მომჩივანთა (მესარჩელეთა) პირადად მიღება, რისთვისაც მუშათა რაიონებში მისაღებ დროს დაწესებულ იქნება საღამოს საათები.

მიეცეს უფლება სამაზრო სასამართლოებს პროკურატურის თანხმობით ყოველი სისხლის სამართლის საქმე გასარჩევად გადაეცეს სახალხო სასამართლოებს, იმ საქმეების გამოკლებით, რომელთა მიხედვით შესაძლებელია უმოკლესი სასჯელის გამოყენება. სახალხო სასამართლოებს მიენიჭოს უფლება გამოიტანონ გადაწყვეტილება ისეთ სარჩელზე, რომელიც თავისი რაოდენობით სახალხო სასამართლოს ქვემდებარე არაა, თუ სარჩელის რაოდენობა ირკვევა საქმის გარჩევის პროცესში; საალიმენტო და ხელფასის საქმეებზე დაისვას საკითხი სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. მიეცეს სასამართლოს უფლება მოტივების დაუსაბუთებლად გამოიტანოს დადგენილება მოკლე რეზოლიუციით იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სცნობს სარჩელის საფუძვლიანობას და რაოდენობას. პროცესის გამარტივების მიზნით გადაწყდეს სახალხო სასამართლოებში გამწესრიგებელი სხდომები და მათი ფუნქციები გადაწყვეტისათვის გადაეცეს სახალხო სასამართლოებს იმ საქმეების გამოკლებით, რომელთა შესახებ სწარმოებდა წინასწარი კვლევა-ძიება. წინადადება მიეცეს იუსტიციის სახ. კომისარიატს თავის ქვემდებარე ორგანიზაციებთან ერთად თავის კონკრეტულ ღონისძიებათა დამუშავება სასამართლოების განსატვირთავად იმ კერძო ხასიათის ბრალდებისაგან, რომლებიც უმთავრესად აღმოცენებულნი არიან მშრომელთა ყოფა-ცხოვრების ჩამორჩენილ ფორმებზე და რომლებიც იმდენად სასამართლოს ჩარევას არ საჭიროებენ, რამდენადაც ამხანაგების მორალურ ზეგავლენას. რაც შეიძლება გამოიხატოს ამხანაგების წრის დადგენილებებში.

ადმინისტრატიული ხასიათის საქმეების შესახებ წინადადება ეძლევა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს, რომ ადმინისტრატიულმა ორგანოებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ოქმების შედგენის დროს პასუხისმგებაში მიცემული პირის ნამდვილ და ქონებრივი მდგომარეობის გამოკვლევას; რომ შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა გამოსცეს ცირკულიარი მუშებზე და ღარიბ გლეხებზე დასადებ ჯარიმების რაოდენობის სისტემატიური შემცირებისა და ასეთივე ჯარიმების გადიდების შესახებ ვაჭრების, კულაკების და დანარჩენ არამშრომელ ელემენტების მიმართ და აგრეთვე ადმინისტრატიული ჯარიმის სავალდებულო შრომით შეცვლის მტკიცე ნორმების დაწესების შესახებ.

ძირითადი პროკურატურის, გამომძიებლების და მოკვლევის ორგანოების შესახებ მიღებულია შემდეგი წინადადებები: ვინაიდან საუბნო პროკურატურის მიერ რევოლუციონური კანონიერების დაცვისათვის მეთვალყურეობის გაწევის წინასწარ პირობას წარმოადგენს მჭიდრო კავშირი მშრომელთა თვითმოქმედებასთან, წინადადება მიეცეს იუსტიციის სახკომს დაამუშაოს დებულება სამაზრო და სათემო აღმასკომებთან ადმინისტრატიულ-უფლებრივი სექციების მოწყობის შესახებ.

საუბნო პროკურატურას დაეკისროს მოვალეობად: ა) გადააქციონ ეს სექციები ორგანიზაციულ კანტროლის ცენტრად და მასსების დამხმარე ორგანოდ ადგილობრივი აპარატის ადმინისტრატიულ-უფლებრივი მოქმედების სფეროში, ბ) პროფორგანიზაციებთან ერთად ამ სექციებს შიგნით შექმნან აქტივი, რომელიც პროპაგანდას გასწევს საბჭოთა უფლების საპოპულიარიზაციოთ, უფასო იურიდიულ დახმარებას გაუწევს მოსახლეობას და სახალხო სასამართლოს მიაწვდის საზოგადოებრივ ბრალმდებელთა კადრს, გ) თავისი მუშაობა ორგანიზაციულად დაუკავშირონ ადმინისტრატიულ-უფლებრივ სექციათა მუშაობას.

იმ მიზნით, რომ პროკურატურამ პრაქტიკულად განახორციელოს ზედამხედველობა სასამართლო-საგამომძიებლო ორგანიზაციების და მოკვლევის ორგანოების მუშაობაზე და აგრეთვე იმ მიზნით, რომ პროკურატურა პერიფერიებში უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო აპარატით სისხლის სამართლის წარმოების სფეროში, მოკვლევის აპარატი მთლიანად უნდა გადაეცეს პროკურატურას, ხოლო სახალხო გამომძიებლები უნდა გახდენ საპროკურორო ზედამხედველების აგენტები, რომელთაც დაევალებათ: ა) მოკვლევის ორგანოების მუშაობის შემოწმება, ბ) გამოძიების დამოუკიდებლად წარმოება, გ) ბრალმდებლის როლის შესრულება სახ. სასამართლოში, თუ საჭირო შეიქნა.

მოსასმენად ანუ მოსასპობად საქმეების წარგზავნის საკითხი, იმ საქმეების გამოკლებით, რომლებიც გადაცემული აქვთ სახ. სასამართლოების სის. სამართლის საპროცესო კოდექსის მე-105 მუხლის მეორე პარაგრაფის წესით, გადასაწყვეტად უნდა გადაეცეს პროკურატურას (საუბნო პროკურორს ან მის ხელქვეით სახ. გამომძიებელს).

საბირჟათაშორისო ვაჭრობა

24 იანვარს, თბილისის საქონლის ბირჟასთან შესდგა სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანიზაციების და სამეურნეო დაწესებულებათა წარმომადგენლების გაფართოებული თათბირი, რომელზედაც საბირჟათაშორისო ვაჭრობის შესახებ მოხსენება გააკეთა თბილისის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. აგაბაბოვმა.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მართალია საბირჟათაშორისო ვაჭრობა უკანასკნელ ხანებში თანდათანობით ფართოვდება, მაგრამ სავაჭრო გარიგებები ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით ხდება საბირჟათაშორისო ვაჭრობის გარეშე, რაც თავისთავად დაკავშირებულია დიდძალ ხარჯებთან (მივლინების ხარჯები და სხ.).

აზრთა გაცვლა-გამოცვლიდან გამოირკვა, რომ საქონლის ბირჟებს არ აქვთ ფართო ცნობები იმის შესახებ, თუ რა ორგანიზაციას რა საქონელი მოეპოვება და როგორის რაოდენობით. გამოირკვა, რომ საერთოთ მიწოდება-მოთხოვნის საქმე ბირჟებს სათანადო სიმაღლეზე არ აქვთ დაყენებული, რაც აფერხებს საბირჟათაშორისო ვაჭრობის განმტკიცებას.

თათბირმა საჭიროდ სცნო საბირჟათაშორისო ვაჭრობის გაფართოება, რითაც შემცირდება სავაჭრო ხარჯები და შესაძლო გახდება საქონლის ფასების შემცირება. ხოლო, ამ საქმის წარმატებისათვის, სავაჭრო და სამეურნეო ორგანიზაციებს დაევალათ, საქონლის ბირჟასთან იქონიონ მტკიცე კავშირი და აუცილებლათ მიაწოდონ მას ფართო ცნობები, როგორც მათ განკარგულებაში მყოფ გასასაღებელ, აგრეთვე მათთვის საჭირო საქონლის შესახებ.

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის მეხუთე პლენუმი

მეორე სხდომა

გუშინ ამიერ-კავკ. რკინისგზელთა სახსახლში გაიხსნა ამიერ-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის მეხუთე პლენუმის მეორე სხდომა.

დღის წესრიგის და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ პლენუმი შეუდგა დღის წესრიგში დასმულ საკითხების განხილვას

პირველ სხდომაზე განხილულ იქნა ამიერ-კავკ. რკინის გზებზე საბინაო მშენებლობის საკითხი.

მოხსენებით გზებზე საბინაო კრიზისის და მასთან ბრძოლის შესახებ გამოვიდა საბინაო მშენებლობის ხელშემწყობ საგზაო კომისიის წარმომადგენელი გორიაჩკო.

საბინაო მშენებლობა ამიერ-კავკ. გზებზე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბ. კრიზისი ტრანსპორტზე გამწვავდა განსაკუთრებით რევოლუციის შემდეგ, როდესაც ძველ რკინის გზელ საშუალება მიეცა რკინის გზის სახლებში ცხოვრებისა (წინათ ყველას არ ჰქონდა ამის უფლება). საბინაო კრიზისის ხელშეუწყო აგრეთვე ტრანსპორტის მთელ რიგ ახალ დამხმარე ორგანოების შექმნამ და განსაკუთრებით კი ლენინაკანში მომხდარმა მიწისძვრამ.

უბინაოთ დარჩენილ რკინისგზელებს ათავსებენ საქონლის ვაგონებში. იყო დრო, როდესაც საცხოვრებლად დაკავებული იყო—1 100 ვაგონი.

გზებზე ახალი ბინების მშენებლობა დაიწყო 1925 წლიდან და 1925—26 წლის განმავლობაში აშენდა 241 სახლი 182 ბინით, რაც დაჯდა 1.048.338 მანეთი.

აშენებიდან იწყება საცხოვრებლად დაკავებულ ვაგონების განთავისუფლება. ამჟამად საცხოვრებლად დათმობილ ვაგონების რიცხვი აღწევს—860-ს.

1925—26 წელს ბაქოში —150 000 მანეთად გზამ შეიძინა 97 ოთახიანი სახლი.

1926—27 წელს საბინაო მშენებლობა უფრო განვითარდა. ამ წელში აგეს 44 სახლი, 214 ბინით, რაზედაც დაიხარჯა 1.232.737 მანეთი. ამავე დროს ბაქოს საბჭოსაგან შეძენილ იქნა 1.1000.000 მანეთად მთელი კვარტალი შემდგარი 168 ბინისაგან

ამ ბინების მშენებლობა სწარმოებდა ნაწილობრივ ცენტრალურ კომუნალურ ბანკის და ნაწილობრივ გზათა კომისარიატის კრედიტებით

გარდა საბინაო მშენებლობისათვის ხელშემწყობ საგზაო კომისიისა, ამიერ-კავკ. რკ. გზებზე მუშათა ბინების მშენებლობას აწარმოებდა გზის სალიანდაგო განყოფილება, რომელმაც 1923—24 წლიდან 1926—27 წლამდე, ააგო 34 სახლი და 31 ყაზარმა და აღადგინა 25 ძველი სახლი და 18 ყაზარმა. ამ საქმეზე დაიხარჯა—1.066.196 მანეთი.

საბინაო მშენებლობა ამიერ-კავკ. რკ. გზებზე სწარმოებს საბინაო კოოპერაციის ხაზითაც, ამ საქმეს საფუძველი 1924 წელში ჩაეყარა და აქამდე მთელი გზის მასშტაბით. არსებობს 7 საბინაო-სააღმშენებლო ამხანაგობა.

ამჟამად საბინაო მშენებლობის საგზაო კომისია ატარებს რკინისგზელების საბინაო პირობების შესწავლა-გამოკვლევას, რაც ხელს შეუწყობს გზებზე საბინაო აღმშენებლობის 5-წლიანი გეგმის შედგენას.

კამათი

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ათამდე კაცმა. ორატორებმა აღნიშნეს მთელი რიგი დეფექტები საბინაო მშენებლობის ხელშემწყობ საგზაო კომისიის მუშაობაში და წამოაყენეს პრაქტიკული ღონისძიებები მათ გამოსასწორებლად და გზებზე საბინაო კრიზისის დასაძლევად.

არჩეულ იქნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა საბინაო მშენებლობის შემდგომ განვითარებისათვის პრაქტიკულ ღონისძიებების გამომუშავება.

დრამატურგთა საზოგადოების დაარსება

თბილისში მცხოვრებ დრამატურგთა, კომპოზიტორთა, კინო-სცენარისტთა და თეატრალურ კრიტიკოსთა თანდასწრებით, გუშინ, 26 იანვარს საღამოს 8 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგა საბჭოთა დრამატურგთა საზოგადოების საორგანიზაციო კრება სახელოვნო დაწესებულებათა გამგის **ლელი ჯაფარიძის** თავმჯდომარეობით.

აღნიშნულ საზოგადოების დაარსებისა და მისი ამოცანების შესახებ ინფორმაციული მოხსენება გააკეთა **შალვა დადიანმა.**

საბჭოთა დრამატურგთა საზოგადოების დაარსების მიზანია დახმარება გაუწიოს საბჭოთა დრამატურგიის, სამუსიკო შემოქმედების, კინო-სცენარითა და კინო-თეატრალური კრიტიკის განვითარებას საქართველოში, ამბობს მომხსენებელი. ამ მიზნის განხორციელებისათვის საზოგადოებამ თავის წევრთა შორის ცოცხალი მუშაობით უნდა ჩაატაროს მთელი რიგი თეორეტიული მოხსენებები ხელოვნების ყველა დარგში და ამ დარგთა დღევანდელ მდგომარეობა-განვითარებაზე. ამავე დროს საზოგადოებამ მზრუნველობა უნდა გამოიჩინოს სადრამო, სამუსიკო და კინო სცენარისტთა ახალი კადრების აღსაზრდელად.

მოხსენების დასასრულ შ. დადიანმა დამსწრეთ გააცნო საზოგადოების წესდება. საზოგადოების სტრუქტურისა, მისი უფლებების და მომავალი მუშაობის მთელ რიგ ორგანიზაციულ პრაქტიკულ საკითხებთან ერთად. წესდება ითვალისწინებს აგრეთვე საავტორო უფლების დაცვის და საზოგადოების წევრთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კრებამ მოისმინა აგრეთვე ამხ. პლ. ქიქოძის მოხსენება—საზოგადოებრივ - კულტურული მუშაობა დრამატურგთა შორის.

მომხსენებელი ეხება დღევანდელი დრამატურგიის მდგომარეობას, მისი თეატრთან ურთიერთობის საკითხებს და ამბობს, რომ საბჭოთა დრამატურგთა საზოგადოების დაარსებით ჩვენ შევძლებთ დრამატურგთა დაახლოებას თანამედროვეობასთან და რევოლუციონური რეპერტუარის კრიზისის დაძლევას ჩვენს სათეატრო-სანახაობო დაწესებულებებში. საზოგადოების შემდგომი მუშაობის პროცესში ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მის გაძლიერება-განვითარებასთან ერთად გაიზრდება პროლეტარულ დრამატურგთა კადრი, რომელიც შესძლებს ჩვენი თეატრების იდეოლოგიურად გაჯანსაღების და მუშა - მაყურებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ახალი რევოლუციონური რეპერტუარის შექმნით.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: კ. ფოცხვერაშვილმა, ს. შანშიაშვილმა, ი. კარგარეთელმა, ტ. ტაბიძემ, ს. ჩიქოვანმა, გ. ბუხნიკაშვილმა და სხვ.

კამათის შემდეგ შესდგა საბჭ. დრამატურგების საზ-ბის გამგეობის არჩევნები. კრებამ გამგეობის წევრებათ აირჩია: **შ. დადიანი, ნ. შიუკაშვილი, გ. რობაქიძე, ს. შანშიაშვილი, დ. არაყიშვილი, ს. ამაღლობელი, ი. ვაკელი, კ. ფოცხვერაშვილი, პლ. ქიქოძე, კ. კალაძე, დ. შენგელაია, შ. ალხაზიშვილი და ლ. ესაკია.**

კანდიდატებათ: **ვ. დოლიძე, კოტე მეღვინეთუხუცესი და [illegible].**

სარევიზიო კომისიის წევრებათ: **გ. ბუხნიკაშვილი, კ. მიქაბერიძე და ს. ერთაწმინდელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

„რიგოლეტო", მუსიკა ვერდისა

ახალგაზრდა მომღერლის ბადრიძის დებიუტმა (პირველმა გამოსვლამ) ჰერცოგის როლში ა.-წ. იანვრის 20, მიიზიდა სახელმწიფო აკადემიურ ოპერაში მრავალი მაყურებელი.

ჩვენის აზრით, აკადემიური ოპერის გამგეობა ვალდებულია მოეპყრას ჩვენი ახალგაზრდა მომღერლების სადებიუტო გამოსვლებს დიდი სიფრთხილით, ყურადღებით და მომზადებით, ვალდებულია ყველა, მისგან დამოკიდებულ რესურსების საშუალებით ხელი შეუწყოს მომღერლის გამარჯვებას, უნდა მიღებულ იყოს მხედველობაში დებიუტანტის აუცილებელი აღელვება და ნერვიულობა. უნდა გათვალისწინებულ იყოს ახალგაზრდა დებიუტანტის გამოუცდელობა და მცირე ნაცნობობა ორკესტრის სპეციფიურ თვისებებთან, და აქედან გამომდინარე მოსალოდნელი რითმიული ანდა ჰარმონიული უსწორობა სიმღერის დროს.

ამიტომ სავალდებულოა დებიუტანტის კარგი შეთანხმება ორკესტრთან რამოდენიმე საორკესტრო რეპეტიციის საშუალებით. პასუხისმგებელი როლები უნდა განაწილებული იყოს გამოცდილ მსახიობთა შორის და ყოვლად დაუშვებელია არტისტიული ძალების შეცვლა სადებიუტო წარმოდგენაში და მეტადრე დებიუტანტთან ერთად მომღერალ ანსამბლში. აკადემიურ ოპერის მიერ რომელიმე მომღერლის სადებიუტოდ დაშვება ნიშნავს, რომ ოპერის ხელმძღვანელნი დარწმუნებულნი არიან ამ მომღერლის სრულიად მომზადებაში და ვოკალურ პოტენციალობაში და ამიტომ ამ მომღერლის გამარჯვება და დამარცხება წარმოადგენს თვით აკადემიურ ოპერის გამარჯვებას და დამარცხებას. წინააღმდეგ შემთხვევაში აკადემიური ოპერა ღებულობს კერძო ანტრეპრიზის ელფერს, რომელსაც აინტერესებს არა აკადემიური გამოკვლევა დებიუტანტის ვოკალურ და სცენიურ პოტენციალობისა, არამედ დებიუტის საშუალებით ფართო მასების ინტერესის გაღვიძება და ამ ინტერესთან დაკავშირებით ოპერის სალაროს კეთილდღეობა.

თითქმის ყველა ზემოაღნიშნულ დაუშვებელ პირობებს ადგილი ჰქონდა ბადრიძის დებიუტში: რომ ბადრიძე კარგი მუსიკალობის და ყურთასმენის პატრონია—ეს მან საკმარისად დაამტკიცა ოპერის მეოთხე მოქმედებაში, და ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ამ ადგილის ვოკალური ანსამბლი (ერთად სასიმღერო) იყო ფრიად ნიჭიერი, მძლავრი და გამოცდილი (სანდრო ინაშვილი, პანტელეევა, ლუბენცოვი). ეს ბუნებრივი თვისებანი ბადრიძისა ნაკლებად მოსჩანდენ პირველ მოქმედებაში, როდესაც სასიმღერო მას ჰქონდა ახალგაზრდა, ნიჭიერ, მაგრამ ჯერ გამოუცდელ მომღერალ ბლანკმანთან (გრაფინია ჩებრანო) და თითქმის სრულებით მიიმალენ ფრიად საყურადღებო მე-2 მოქმედებაში.

ამის მიზეზი ცხადია: ჯილდას მეტად ძნელ და საპასუხისმგებლო როლის შემსრულებლად გამოცდილ მომღერლის დახელოვნების ავადმყოფობის გამო, როგორც სჩანს, სასწრაფოთ შეყვანილ იყო ახალგაზრდა მომღერალი ქალი გაბაშიძე და მის შესათანხმებლად ბადრიძესთან და ამ ორივესი—ორკესტრთან არ იყო დახარჯული არც საკმარისი დრო და არც უნარი. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ გაბაშიძემ გამოიჩინა ჯილდას როლის კარგი ცოდნა, ნამდვილი სიყვარულის დუეტი ჯილდასი და ჰერცოგისა სტოვებდა უცნაურ შთაბეჭდილებას, ვინაიდან მოტრფიალენი (ბადრიძე და გაბაშიძე) შესცქეროდენ არა ერთმანეთს, არამედ... ლოტბარს—მელიქ-ფაშაევს, ბადრიძე საშინლად ღელავდა და რამდენჯერმე ჩავარდა როგორც რითმიულ, ისე ჰარმონიულ (დეტონაცია) უთანხმოებაში ორკესტრთან. ყველა ეს მაჩვენებელია ერთგვარ მოუმზადებლობისა, და ბრალი ამაში ედება არა ბადრიძეს, და არც გაბაშიძეს.

ბადრიძის ვოკალური მასალა მაჩვენებელია იმ სიმპტომატიურ უცნაურობისა, რომელსაც საერთოდ ვამჩნევთ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყველა მომღერლებს, რომლებმაც ვოკალური განვითარება მიიღეს თბილისში გამოჩენილ მაესტრო რიადნოვის სიკვდილის შემდეგ: ხმის დაბალ ფარდების, ე. ი. საძირკვლის მერყეობა, შუა ფარდების (ცენტრის) ფერ-მკრთალობა და მთელი ყურადღების დამყარება ხმის ზემო ფარდების ბგერათა რიცხვის გამრავლებაზე, რა გარემოებასაც უსათუოდ დასდევს ხმის სივიწროვე და ბუნებრივი ელფერის დაკარგვა. ბუნებრივი თვისებანი კი ბადრიძის ვოკალურ მასალისა ფრიად იშვიათია: იშვიათი ელფერი (ტემბრი), საუკეთესო მოძრაობა, უტყუარი ინტონაცია, ყველა ეს ამტკიცებს, რომ ბადრიძე პატრონია ფრიად საყურადღებო ხმისა, რომელსაც იტალიელები უწოდებენ „ტენორო დი გრაცია"-ს.

საუკეთესო იყო რიგოლეტოს როლში ვოკალურად და ჩვეულებისამებრ მძლავრი სცენიურად სანდრო ინაშვილი. გამშვენიერა და ტიპიურად გააძლიერა ნიჭიერმა პანტელეევამ უმნიშვნელო მადლენას როლი. სცენიურად სუსტი იყო გუნდი.

ოპერას ლოტბარობდა ა. მელიქ-ფაშაევი.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

— **მუშათა თეატრში** რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „რღვევა".

— **კლუბი სოფლად.** რაჭის აღმასკომმა ამბროლაურის კლუბის დასამთავრებლად გადასდო 1000 მან.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს გაიმართება თურქული წარმოდგენა.

შემთხვევები

თავის მოწამვლა

გუშინ, ვერა ერასტის ას. მიქელაძემ (ვეხოვრ. ანანოვის შეს. № 4) თვითმკვლელობის მიზნით იოდით მოიწამლა თავი. მიქელაძის ქალი სიკვდილს გადაარჩინეს.

თავის მოწამვლის მიზეზი ოჯახური უსიამოვნებაა.

კოოპერატივის გაქურდვა

გუშინ, დღისით გაქურდეს სარიშვა კოოპერატივის მაღაზია (ბამბის რიგი, № 1), წაიღეს 120 მანეთის საქონელი.

ხანძარი

გუშინ, დღისით ხანძარი გაუჩნდა ფიგნერის ქ. № 30 მდებარე სახლს. ხანძარი ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა 20 წუთის განმავლობაში.

უცაბედი მკვლელობა

გუშინ. დღისით თედორე იორდანის ძე მაისურაძეს მცხ. მე-3 ლაზარევის ქ. № 67 უცაბედად გაუვარდა „ბრაუნინგის" სისტემის რევოლვერი. ტყვია მოხვდა მის ამხანაგს ბაგრატ ექვთიმეს ძე სეხუაშვილს, რომელიც სასიკვდილოდ დაიჭრა.

კატასტროფა მალაკნის ქუჩაზე

ტრამვაის დაჯახება ავტომობილზე

გუშინ, დილის 8 ნახ. საათზე, ტრამვაის ვაგონი (მარშრუტი № 3, ვაგონი № 4), რომელსაც მართავდა ვატმანი **ლუკა მესხი** მალაკანთა და ბატარეის ქ. კუთხეში დაეჯახა საქ. სატრ. სამომხმ. საზ.-ბის საბარგო ავტომობილს № 448. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ საგრძნობლად დაზიანდა ავტომობილი და ვაგონიც. დაშავდა ოთხი მგზავრი.

კატასტროფის ადგილზე დაუყოვნებლივ გამოცხადდენ პროკურორი **ბესელია**, გამომძიებელი **ი. ადამიძე**, სისხლის სამართლის მილიციის წარმომადგენელი **დ. კაჭარავა** და სხვ.

სასწრაფოდ გამოწვეულ იქნა სასწრაფო დახმარების ავტომობილი და ექიმები, რომლებმაც დახმარება აღმოუჩინეს დაჭრილებს. შემდეგ კი დაშავებულნი გადაგზავნეს რკინის გზის საავადმყოფოში.

კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად შესდგა სპეციალისტების კომისია, რომელშიაც შევიდენ პროკურატურის, ტრამვაის დირექციის, „ზაკავტომპრომტორგ"-ის და ადგილობრივი ტრანსპორტის ა.-კ. სამმართველოს წარმომადგენელნი.

როგორ მოხდა კატასტროფა

საბარგო ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი ალექსანდრე გლადიშევი პურის ფქვილით იყო დატვირთული. და ბატარეის ქუჩიდან გადადიოდა მალაკანთა ქუჩაზე. იმ დროს, როცა ავტომობილმა ბატარეის ქუჩიდან შემოუხვია მალაკნის ქუჩაზე, შოფერმა შენიშნა სადგურისაკენ მიმავალი ვაგონი. მიუხედავად ამისა, შოფერმა განაგრძო გზა, გადავიდა მალაკანთა ქუჩაზე და ავტომობილი შეიყვანა ტრამვაის ხაზში.

ვატმანმა დაინახა ავტომობილი, რომელიც გადავიდა ტრამვაის ხაზზე. მაგრამ ვერ მიიღო ზომები ვაგონის სისწრაფის შესანელებლად.

როგორც კი მგზავრებმა დაინახეს საფრთხე, ვაგონში შეიქნა პანიკა. ზოგიერთები გადახტენ ვაგონიდან, მაგრამ ვაგონი ისეთი სიჩქარით მიექანებოდა, რომ გადამხტარი მგზავრებიც კი დაშავდენ.

დაჯახების დროს ტრამვაის ვაგონი სერიოზულად დაზიანდა, ავტომობილს კი გაუტყდა წინა ბორბალი და დაუზიანდა მოტორი.

დაშავებულთა ვინაობა

კატასტროფის დროს მძიმედ დაშავდენ: გარსევ ჯამშიერი, ალექსანდრა ჯიბანიანის ქალი, სერგო ნოდიევი და არჩილ ქადაგიშვილი.

ყველა დაშავებულებს ნაღრძნობი აქვთ ფეხები. მოქ. ჯამშიევს დაკაწრული აქვს პირის სახე. ჯიბანიანის ქალს მიღებული აქვს მთელი ტანის კონტუზია. არჩილ ქადაგიშვილს დაეჟეჟილი აქვს მთელი სხეული, ნოდიევს კი დაკაწრული აქვს პირის სახე და ხელები.

კატასტროფის მიზეზები

კატასტროფის მიზეზების გამომრკვევი კომისიის ცნობით, ვაგონის მუხრუჭები დაზიანებული არ ყოფილა. მუხრუჭის ასამოძრავებელი სამი სახე: ელექტრონული, მექანიკური და სასაჭე ნორმალურ მდგომარეობაში იყო. ირკვევა, რომ ვაგონის ტეხნიკურ მდგომარეობას და გზის პირობებს არ შეეძლო გამოეწვია კატასტროფა.

როგორც გამომძიებელმა ი. ადამიძემ აცნობა ჩვენს თანამშრომელს, დადასტურებულია. რომ კატასტროფა მოხდა ვატმანის და შოფერის დაუდევრობით.

ვატმანისა და შოფერის დაპატიმრება

ვატმანი მესხი და შოფერი გლადიშევი კატასტროფის ადგილზე დააპატიმრეს.

გამომძიებელი ი. ადამიძე აწარმოებს გამოძიებას კატასტროფის საქმეზე და ახლო მომავალში მთელი საგამომძიებლო მასალა გადაეცემა პროკურატურას დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

სასამართლო

ფოსტის უფროსი „გარმოშკით"

უნდა ნახოთ თუ როგორ არის გადაღებული სურათზე ლაგოდეხის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების ყოფილი უფროსი **თომა მიხეილის ძე ცაბულოვი** თავის ამქრებთან ერთად.

მწვანეზე გაშლილი სუფრა, რომელზედაც მწვადებს ოხშივარი ასდის. მარცხნით თომას პირველად უზის მოქალაქე დოლით, შემდეგ მოქალაქე „გარმოშკით". თავს ადგია მიკიტანი, რომელსაც თითის წვერებზე უდგას ნაირნაირი ხილებით სავსე თეფში. მარჯვნით თავის ამხანაგისათვის ჭიქა ჭიქაზე მოუკრავს და ერთგულებას ეფიცება.

ეს სურათი, როგორც თომა ცაბულოვის „ყარაჩოღლურობის" და „ხელგაშლილობის" დამახასიათებელი, არ დაუკარგავს სიღნაღის სამაზრო სასამართლოს და კიდის ძაფით ჩაუკერებია საქმეში.

ახირებული კაცი იყო თომა ცაბულოვი. მას შემდეგ, რაც ლაგოდეხის ფოსტის უფროსად დაისვეს, ჯამაგირზე „უარი სთქვა", არც ერთ უწყებაში არ სწერია, რომ ცაბულოვს ჯამაგირი მიეღოს. სამაგიეროდ, როგორც იტყვიან ხოლმე, „ფეხზე ეკიდა ფოსტის ფულები", ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, საკუთარ ჯიბედ მიჩნდა ფოსტის სალარო.

გახსნიდა სალაროს და ამოიღებდა იმდენს, რამდენიც საჭირო იყო მიკიტნების „სჩოტების" დასაფარავად. თუ „პერსპექტივაში" იყო ქეიფი ძმა-ბიჭებში დოლით და „გარმოშკით", მაშინ, რასაკვირველია, სალაროს „განტვირთავდა", გაასუფთავებდა.

სამსახურში ყოველთვის გახუსი უფსტვენდა ყურებში. თომა „შავი ქამიერით" ხვდებოდა ქეიფის მეორე დღეს ფოსტაში შემოსულ გლეხებს.

— ფული არ მიგვიღია, რას გააწყალეთ გული, ჩემი ჯიბიდან(!) ხომ ვერ მოგცემთ,— უყვიროდა ცაბულოვი გლეხებს.

რა იცოდენ გლეხებმა, რომ სწორედ მის ჯიბეში იყო სალაროს ფული!

განცვიფრებული იყვნენ ფოსტის თანამშრომლები, რომ მათი უფროსი ყოველ დღე ქეიფში ატარებდა დროს. იყო მითქმა-მოთქმა.

— კაცო, რატომ ამ ჩემს ჯამაგირს არ აქვს ბარაქა. რას ღებულობს იმდენს თომა ცაბულოვი, რომ ცოლ-შვილსაც აკმაყოფილებს და ყოველდღე ქეიფს არ იკლებს. მე მარტოხელა კაცი ვარ და ერთხელაც ვერ მოვახერხე მეგობრებთან პურის ჭამა... ხომ არაფერს „ქაფავს", ნეტავი.

— რას ამბობ კაცო, მაგას არ იკადრებს.

თურმე ნუ იტყვით, იკადრებს კი არა, ფოსტის სალარო მიკიტნების „შემნახველ სალაროდ" გადაუქცევია.

ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალურმა სალარომ გაგზავნა სარევიზიო კომისია ლაგოდეხში.

— აბა მიშველეთ, თქვენ სულს ვენაცვალე, ეხლა დავაფასებ თქვენს ძმა-ბიჭობას, ცოტ-ცოტა სულ ყველამ ხელი მომიმართეთ და მერე მე მკითხეთ. ერთი ამ რევიზორებს აუხვიო თვალი და მერე განვაგრძოთ ჩვენებურად.

ჩამოუარა ცაბულოვმა მიკიტნებს, ძმა-ბიჭებს, ჩამოისესხა ფული და მართლაც თვალი აუხვია პირველ რევიზიას.

გავიდა დრო. ქეიფი გრძელდებოდა. თომა ცაბულოვი ზეიმობს გამარჯვებას რევიზიაზე.

მოვიდა მეორე რევიზია. თომამ ბევრი ირბინა, მაგრამ „ძმა-ბიჭები" გადგენ გაზზე. მიკიტნები ცხვირ ჩამოშვებული შეხვდენ თომას, რომელიც შველას ითხოვდა.

რევიზიამ აღმოაჩინა, რომ ცაბულოვს, მართალია „ჯამაგირი" არასოდეს არ მიუღია, მაგრამ სატარიფო განაკვეთს ზევით „გადაჰყოლია" 2.422 მანეთი.

შეწყდა ქეიფი. ცაბულოვი დაპატიმრებულია.

საქმე გაარჩია სიღნაღის სამაზრო სასამართლომ. თომა ცაბულოვს მიესაჯა **თავისუფლების აღკვეთა 7 წლით სასტიკი იზოლიაციით და ამასთანავე გაფლანგული თანხის ანაზღაურება.**

ცაბულოვმა განაჩენი გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში.

საინტერესოა თვით ტექსტი საჩივრის.

...„დიახ, მე ჩავიდინე ბოროტმოქმედება! ეს კიდევაც ვაღიარე სასამართლოში. ეს სადაო არავისთვის არ არის, „გარნა" საქმე იმაშია, რომ თუ რა პირობებში ჩავიდინე. მე შევიქენი მსხვერპლი სუსტი ნებისყოფისა და უბედურად (!) შერჩეულ ტოლ-ამხანაგებისა. გაფლანგვა იყო შედეგი ჩემი უბედურად მოწყობილ გარემოცულ გარემოებისა..., რაც საბაბია ლმობიერად მოპყრობისა"...

უზენაეს სასამართლოს საკასაციო კოლეგიამ უყურადღებოდ დასტოვა „უბედურად მოწყობილი გარემოცული გარემოება".

გერ.

— — —

საკვირველი ამბავი

ეს ამბავი საკვირველია განსაკუთრებით ვასილ ბაკალოვისათვის.

საქმე იმაშია, რომ მან თავის ამხანაგის დახმარებით გაძარცვა მატარებელში ერთი მოქალაქე. მოქალაქეს ეძინა და სწორედ იმ დროს გამოეღვიძა, როცა გაძარცული იყო და მძარცველებიც თავზე ადგა.

მძარცველებმა იგრძნეს, რომ საქმე ცუდად წავიდოდა, თუ მოქალაქეს თავიდან არ მოიშორებდენ. სტაცეს ხელი და გაძარცული მოქალაქე გადაისროლეს გაქანებულ მატარებლიდან.

— გაასაჩივრე საიქიოს, არ დაგვივიწყდეს!— მიაძახეს სიცილით და დასხდენ ისევ არხეინად. დარწმუნებული იყვნენ, რომ მოქალაქემ წაიღო წერილი საიქიოს.

გათენდა მეორე დღე. ვასილ ბაკალოვი არხეინად დადის ყარაიაზის სადგურში.

უეცრად ვასილ ბაკალოვი მოაქანა მილიციელმა, რომელსაც გვერდში ედგა „საიქიოს გასტუმრებული" მოქალაქე.

ბაკალოვი დააპატიმრეს. მეორე მისი ამხანაგი ვერ იპოვეს.

ბაკალოვს ეხლაც უკვირს, როგორ გადარჩა მოქალაქე.

საქმე გაარჩია თბილისის სამაზრო სასამართლომ.

ვასილ ბაკალოვს მიესაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ნ.

რკინის გზებზე

თელავ-ახმეტის რკინისგზის შტო

თელავი, 25 იანვარი. გზათა კომისარიატის წინადადებით თელავში ჩავიდა ამიერკავკასიის რკინისგზათა სამმართველოს წარმომადგენელი, რომელსაც მინდობილი აქვს ცნობების შეკრება თელავ-ახმეტის რკინის გზის შტოს პროექტის ეკონომიურად დასაბუთებისათვის. ეს გზა იქნება კახეთის ხაზის გაგრძელება. იმ რაიონში, რომელზედაც რკინის გზის შტო გაივლის, 40.000 დესეტინა იმყოფება.

ტყის სპეციალისტების გამოანგარიშებით ამ რაიონს შეუძლია ყოველწლიურად მოგვცეს 250.000 ცალი შპალი, 15.000-მდე კუბი შეშა და სხვა.

რაიონს დიდი პერსპექტივები აქვს აგრეთვე საკლავი და საწველი საქონლის მოვლა-მოშენების მხრით. გარდა ამისა, ახმეტის რაიონში არის აგრეთვე ლიტოგრაფიული ქვისა და სახურავი მასალის მდიდარი მადნები.

თელავ-ახმეტის შტოს პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნება, რადგან მისი წყალობით კულტურულ ცენტრებს დაუახლოვდებიან ხევსურეთი. თუშეთი და ფშავეთი.

საგზაო დამზღვევ სალაროს პლენუმი

29 იანვარს იხსნება ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროს კომიტეტის პლენუმი.

ვაგონის დამტვრევა

26 იანვარს, დილით სადგ. ფირსოვატში წარმოებულ მანევრების დროს დაიმტვრა ერთი ვაგონი, რომელშიაც ისხდენ მოძრაობის რევიზორი ლიდინტალი და სათადარიგო აგენტი დვორნიკოვი. დაჯახების გამო ორთავენი დაშავდენ.

შემთხვევის მიზეზი მემანქანის გაუფრთხილებლობაა.

ახალი ორთქლმავლები

რიაზან-ურალის რკ. გზებიდან ა.-კ. რკ. გზებზე გადმოგზავნილია 10 ორთქლმავალი.

ორთქლის ქვაბები

წელს ა.-კ. რკ. გზა საკავშირო მანქანების ტრესტისაგან ხელშეკრულების მიხედვით მიიღებს შუხოვის სისტემის 20 ორთქლის ქვაბს.

პროცენტების გაუქმება

აქამდე რკ. გზებზე არსებობდა წესი, რომლის თანახმად გზის აგენტს, რომელიც აღმოაჩენდა უბილეთო მგზავრს და დააჯარიმებდა, ეძლეოდა ჯარიმის 25 პროცენტი. ეხლა ეს წესი გაუქმებულია. უბილეთო მგზავრების დაჯარიმებისას გზის აგენტებს არაფერი არ ეძლევათ.

საცდელი მატარებლები

ამჟამად სწარმოებს ცდები იმის გამოსარკვევად — შესაძლებელია თუ არა ა.-კ. რკ. გზებზე 90.000 ფ. სიმძიმის მქონე მატარებლის მოძრაობა.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ასეთი სიმძიმის მატარებელი მოვიდა ბაქოდან თბილისში. ცდებმა, რომლებიც გზაში სწარმოებდა, დადებითი შედეგები გამოიღო.

მატარებელი გუშინ გაიგზავნა ბათომისაკენ. იგი შესდგება სამარშრუტო მატარებლის შემადგენლობიდან, რომელსაც თბილისში მიაბეს თორმეტი პატარა, დატვირთული ცისტერნა. თბილისში მიბმული ცისტერნების 50 პროცენტი მუხრუჭებითაა მომარაგებული.

თბილისიდან ხაშურამდე მატარებელი მიჰყავს ორ („ე" და „ო" სერიის) ორთქლმავალს. ხაშურიდან - ზესტაფონამდე მატარებელს წაიყვანს ორი „ე" სერიის ორთქლმავალი და უკან გაჰყვება მესამე ორთქლმავალი („ჩ" ან „ო" სერიისა). ზესტაფონიდან - სამტრედიამდე მატარებელი წავა ერთი („შჩ" სერიის) ორთქლმავლით.

რადგან მატარებლის სიგრძე აღემატება საუღელტეხილო უბნის სადგურების ხაზებს, საცდელი მატარებელი უღელტეხილზე გაივლის მხოლოდ დღისით.

მატარებელს მიჰყვება სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში გზათა კომისარიატის წარმომადგენელიც შედის.

ბათომიდან კომისია გამოჰყვება მეორე საცდელ მატარებელს, რომელიც იწონის 50.000 ფუთს. ზესტაფონამდე მატარებელს ამოიყვანს ერთი ორთქლმავალი („შჩ" სერიისა), მხოლოდ მას ქობულეთამდე უკან გამოჰყვება მეორე ორთქლმავალი.

ზესტაფონიდან მატარებელი წამოვა („ე" სერიის) ორი ორთქლმავლით, რომლებიც მიბმული იქნებიან თავში, ხოლო მესამე ორთქლმავალი მატარებელს გაჰყვება ბოლოში. უკანასკნელ მარელისში ჩააყენებენ შემადგენლობის შუა, ხოლო ბოლოში გააყოლებენ მეოთხე („ფ" სერიის) ორთქლმავალს. რამდენიმე მანძილის დაშორებით მატარებელს გამოჰყვება მეხუთე ორთქლმავალი.

ავიაქიმში

წითელი არმიის ათი წლის თავისათვის

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება გაცხოველებით ემზადება წითელი არმიის ათი წლის თავისათვის. ადგილებზე დაგზავნილია ცირკულიარი, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღონ საზოგადოების ორგანიზაციებმა დღესასწაულში.

გამოშვებულ იქნება მხატვრული პლაკატი „თავდაცვა-ავიაქიმი და წითელი არმია".

საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციები მიიღებენ მონაწილეობას საიუბილეო გამოფენაში, რომლებსაც აწყობენ წითელი არმიის ნაწილები.

დღესასწაულის დღეს თავდაცვა-ავიაქიმი გადასცემს წითელ საჰაერო ფლოტის თვითმფრინავებს, რომლებიც აგებულ არიან ფონდიდან „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს".

სამხედრო ცოდნათა წრეების ხელმძღვანელები

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრ. საბჭომ დაგზავნა ადგილებზე ცირკულიარი სამხედრო ცოდნათა წრეების ხელმძღვანელების მომზადების შესახებ.

ცირკულიარში ნათქვამია, რომ ადგილობრივმა პროფორგანიზაციებმა უნდა მიიღონ უაღლოესი მონაწილეობა წრეების ხელმძღვანელთა მომზადებაში.

ავიაციის ცენტრ. სახლი

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრ. საბჭო შეუდგა ავიაციის ცენტრალური სახლის აგებას მოსკოვში. სახლი მზად იქნება მიმდინარე წლის ბოლოში.

წყალზე მაშველი

საზოგადოება

თბილისის წყალზე მაშველი საზოგადოების ცნობებით, 1927 წლის 1-ლ იანვრიდან 1928 წლის 1-ლ იანვრამდე მდ. მტკვარზე ადგილი ჰქონდა შემდეგ უბედურ შემთხვევებს:

თვითმკვლელობის განზრახვა იყო 35. გადარჩენილია 22 კაცი, დაიღუპა 13; ბანაობის დროს იხრჩობოდა 104 კაცი, გადარჩენილია 102, დაიხრჩო 2 კაცი; ადამიანთა სხვადასხვა უბედური შემთხვევები იყო 37, გადარჩენილია 35. დაიღუპა 2 კაცი; ცხოველებს და ეტლებს შეემთხვა 60 უბედური შემთხვევა, აქედან დაიღუპა 3.

ამას გარდა, გადამრჩენელთა მიერ წყალზე მაშველ საზოგადოების სამუშაო რაიონების გარეთ, მდინარიდან გამოტანილია სამი დაღუპული კაცის გვამი.

ინდუსტრიალიზაციის სესხის ტირაჟი

ვინ მოიგო თბილისში

24 იანვარს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროში გამოცხადდენ მოგებათა მისაღებად:

10 მუშა სახელმწიფო მესამე თამბაქოს ფაბრიკიდან, რომლებმაც მოიგეს 20 მანეთი თვითეულმა; მოგება ხვდა ორ ობლიგაციას: № 01, სერია 119.148 და № 01, სერია 125628.

ხეზე მომუშავეთა კავშირის წევრი-მუშა, რომელმაც მოიგო 20 მანეთი; ობლიგაცია № 33, სერია 065066.

„საწერ-კალამი"-ს სტამბის მუშა, რომელმაც მოიგო 20 მანეთი: ობლიგაცია 37, სერია 026069.

ამას გარდა, გუშინ იმავე სალაროში გამოცხადდა ერთი უმუშევარი, რომელმაც წარადგინა მოგებული ობლიგაცია № 05. სერია 108819: ამ ობლიგაციამ მოიგო 40 მანეთი.

გუშინვე სალაროში მოგებული ობლიგაცია წარადგინა აგრეთვე ერთმა პენსიონერმა ქალმა.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 27 იანვარი

პარასკევს, 27 იანვარს, საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ რადიო-სტუდიიდან გადაცემული იქნება:

ჯანსახკომის მოხსენება: პირისა და კბილების მოვლა—თურქულ ენაზე.

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი"—ქართულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე.

წითელი არმია სამოქალაქო ომის ფრონტებზე: ბრძოლა შინაურ ფრონტებზე—თურქულ ენაზე.

წითელი არმიის პოლიტსამმართველოს მოხსენება: წითელი არმიის ორგანიზაცია—სომხურ ენაზე.

სამრეწველო საქონლის და სურსათ-სანოვაგის ბაზრის მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში—ქართულ და რუსულ ენებზე.

ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—ქართულ და რუსულ ენებზე.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, პარასკევს, 27 იანვარს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები:

საგარანტიო სექციიდან: ამალია გერბიჩ, ივანე გოთუა, ავეტიკოვი, ილია გაგუა; ვასილ კვინიხიძე; ვლადიმერ რომანოვი, ახრორ ბაქრაძე, თამარა ციციშვილი; ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გიორგი ჯორჯაძე, ნიკოლოზ ავეტისოვი, ნესტორ ხორგუანი, ელენე გაჩეჩილაძე, ვასილ თევდორაშვილი, ლიუბა იზრაელი, ალექსანდრე მეგრელიშვილი; ივლიანე კაკაბაძე; ნინო კვიცარიძე; გრიგოლ ნიკოლაევი და ელისაბედ ჩაჩინა.

თბილისის შრომის ბირჟის მედსექცია უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ საშუამავლო ბიუროდან მიღებულია მოთხოვნილება მედპერსონალზე.

ამასთანავე მიღებულია დამატებითი მოთხოვნილება საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა მაზრებიდან.

ცაგერი: ვენერიულ დისპანსერში (საავადმყოფო) საჭიროა მოწყალების და, ხელფასი 55 მან.

მსურველებმა დამატებითი ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ თბილისის შრომის ბირჟის მედსექციაში ამხ. **გოგეშვილს.**

პარტიული კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან არსებული ამხ. ლ. ქ. ქ. უჯრედის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, 27 იანვარს საღამოს სრულ 8 საათზე.

სხდომაზე აუცილებლად უნდა გამოცხადდენ პარმენ ბიბილეიშვილი, მიხეილ ბერიძე, ლეონიდე დოლიძე, რაფიელ ელიგულაშვილი, ირიდონ თაგაური, იოსებ პეტროსოვი, ირაკლი როსტომაშვილი, ანდრო ტუფინოვი, გიორგი ღვინიაშვილი, სერაფიონ ჩიქოვანი, ილია ჯალაღანია და ევგ. ხითაგური.

სხდომას დაესწრება აგრეთვე კომუჯრედის წარმომადგენელი ამხ. ს. მდივანი.

—•—

ხვალ, 28 იანვარს, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაკის ცენტრ. კაბინეტში შესდგება პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების მეცადინეობა:

საღამოს 5 საათზე — ახ. ლ. კ. კ. მეორე საფეხურის პოლიტსკოლათა ხელმძღვანელების მეცადინეობა. საღამოს 6 საათზე, — პარტქსელის 1-ლ და მე-2-რე საფეხურის პოლიტსკოლების ხელმძღვანელების მეცადინეობა, საღამოს 7 საათზე—უმაღლესი საბჭოთა პარტსკოლათა ხელმძღვანელების მეცადინეობა, საღამოს 8 საათზე—ოქტომბრის გაწვეულთა სკოლების ხელმძღვანელთა მეცადინეობა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ა. წ. 24 იანვარს, მთავარ საავადმყოფოში გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, წყალსადენის სახელოსნოს უჯრედის წევრი

სოლომონ გიგოს-ძე დოლიძე

გამოსვენება კვირას, 29 იანვარს, დღის 12 საათზე, მთავარ საავადმყოფოდან. ნ. 540

გულდათუთქული მეუღლე ტერეზია ქალიშვილით ბოგუცათი, სიდედრი ელისაბედ, სიამრი ესე, ცოლის ძმები თეოფილე, ერმილე და ალფეი ბურჭულაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში ა/წ. 24 იანვარს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

სოლომონ გიგოს ძე დოლიძე

დასაფლავების დღეთ დანიშნულია კვირა, 29 იანვარი. გამოსვენება მოხდება საკუთარ ბინიდან საბჭოთა (ყ. ჩერქეზოვის) ქ. № 22 დღის 12 საათზე. დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 531 4-2

დედა ოლიკა, დები [illegible] და ლიდა, სიძეები — ივანე სიხარულიძე და ესტატე ოკუჯავა, რძლები — მარიამ, თამარა დოლიძენი, [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში ა. წ. 24 იანვარს გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

სოლომონ გიგოს ძე დოლიძე

დასაფლავების დღეთ დანიშნულია კვირა, 29 იანვარი. გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზოვის) ქუჩა № 22 დღის 12 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6—7 საათამდე. დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 531 4—2

ძმები ანდრო, თედორე და ვალოდია დოლიძეები აუწყებენ ამხანაგებს, რომ ა/წ. 24 იანვარს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი ძმა, ძველი ბოლშევიკი

სოლომონ გიგოს ძე დოლიძე

დასაფლავების დღეთ დანიშნულია კვირა ა/წ. 29 იანვარი. გამოსვენება მოხდება საკუთარი ბინიდან—საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზოვის) ქუჩა № 22 დღის 12 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6—7 საათამდე დაკრძალვა მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 531 4—2

გრიგოლ მგალობლიშვილი, ერასტო ჩიგოგიძე, დავით შავიშვილი, ვანო ღლონტი, ისაკი ჩეფნიძე, კირილე უჯმაჯურიძე, ისაკი მელიქიძე, კოლია [illegible]თაიშვილი, კოტე დანელია, იოსებ ვაშალომიძე, ვალერიან ჩხოვი, ილიკო დოლიძე, ფილიპე დოლიძე, დათიკო დოლიძე, ელიკო გოგელია, და იოსებ ჩხატარაიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, და ს. კ. პ. გურიის კომიტეტის ყოფ. წევრი

ამხ. სოლომონ გიგოს-ძე დოლიძე

ნ. 541

დედა—შუშანიკ სერგის ასული ბარხუდაროვი; ანა იაგორის ასული და გიგო მელქუმის-ძე სარიანები, შვილებით: შუშანიკით და კაროთი; ბაბალე (ვარსენიკ) იაგორის ასული და ბორის დავითის-ძე სტურუები და ოლინკა სერგის ასული გუკასოვი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველის საყვარელი და დაუვიწყარი ასულის, მეორეთა—დისა და დეიდასი, ხოლო უკანასკნელის—დისწულის,

სოფიო იაგორის ასული ბარხუდაროვის

დაკრძალვა მოხდება კვირას, 29 იანვარს, ხოჯივანქის სასაფლაოზე, გამოსვენება საკუთარი ბინიდან (აკოფ აკოფიანის ქუჩა № 2), ნაშუადღევის 1 საათზე. პანაშვიდები ყოველ საღამოს 6 საათიდან. 1193 2—1

ღრმად დამწუხრებულნი იოსებ (სოსო) დავითის-ძე, მართა გიორგის ასული, მარო დავითის ასული კოქლამაზაშვილები აუწყებენ ნაცნობ-მეგობართ, რომ იანვრის 25-ს ღამის 11 საათზე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე—მეგობარი, დანარჩენთათვის ყოვლთვის დაუვიწყარი რძალი

თამარ კონსტანტინე გამრეკელის ასული

პანაშვიდი პარასკევს საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე, გრიბოედოვის ქ. № 24. დაკრძალვა მოხდება შაბათს, 28 იანვარს, ნაშუადღევის 3½ საათზე ვერის სასაფლაოზე. 1210

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე სალომე ქრისტეფორის ასული და მარიამ მიხეილის ასული შვილებით: მიშა, პეტრე და კატუშა იოსელიანები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ უეცრად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პავლე მიხეილის-ძე სოლომონიშვილი

გამოსვენება—შაბათს, 28 იანვარს, ნაშუადღევის 3½ ს. რკინის გზის საავადმყოფოდან სახლში, კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 142. დაკრძალვა მოხდება კვირას, 29 ამა თვეს, დილის 11 საათზე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 1206



ივ. გაჩეჩილაძე — მეტეოროლოგიის ელემენტები (სახელმძღვანელო სოფლის ახალგაზრდობის სკოლის 1, მე-2 მე-3 და შრომის სკოლის უფროსი ჯგუფებისათვის) გვ. 98, ფასი—75 კაპ.

ა. ხარაბაძე, ს. ლორთქიფანიძე, ა. დევიძე—მათემატიკური ამოცანები (სახელმძღვანელო შრომის სკოლის მეოთხე ჯგუფისათვის) გვ. 136, ფასი—75 კაპ.

ნ. 429 25—18

აპოლო	არტისტი	სოლეი	დარბაზი
ამერიკის საყვარელი მსახიობი ლეეტრის ჯოი მხატვრულ შედევრში მუდამ უცხონი	ნიკოლოზ რიმსკი და სიუზანა ბიანკეტი 1927 წ. ორიგ. ნაღვაწ სურათში „ბედნიერი სიკვდილი"	მონოპოლიურად ტრიუკებიანი კინო-რომანი 27 წლ. გამოშვება „სასიკვდილო ნახტომი"	ბარი პილ ტრიუკებიან კინო რომანში უთავო მხედარი 1 და 2 სერია

ანონსი მალე ორი საუკეთესო სურათი „მოჯადოებული კუნძული" და „50.000 ფრანკი".

ცირკი კოლოსი ტელ. 8—64

პარასკევს 27, შაბათს 28 და კვირას 29 იანვ.

ევროპაში სახელგანთქმულ ილიუზიონისტ ჰიპნოტიზიორის **კასფიკის გასტროლები** გარდა ამისა მთელი დასი და ახალი ატრაქციონები! წაიკითხეთ აფიშები!

კვირას სახახობანი დღისით. ბავშვები უფასოდ, დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე.

[illegible]

ნ. 535

შაბათს, იანვრის 28, საღამოს 6 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ. № 3)

გახსნება საქართველოს მეცნიერების მუშაკთა პირველი კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. მოხსენება ს.ს.რ.კ. შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
2. მეცნიერ. მუშაკ. სექციის ცენტრალ. საბჭოს წარმომადგენლის მოხსენება.
3. საქართველოს მეცნიერ. მუშაკ. სექციის ბიუროს საანგარიშო მოხსენება.
4. განათლების სახ. კომისარიატის მოხსენება.
5. მეცნიერ. მუშაკ. სექციის ბიუროს არჩევნები.

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტ. გამგეობა.

ნ. 542 2—1

სამტრედიის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ს. ნამიჩეიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქუჩაზე № 69, დანიშნულია 31 იანვარს 1928 წ. დილის 11 საათზე მეორე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა მოქ. მექი სპირიდონის-ძე კალაძის უძრავ ქონებისა, ნახევარი უფლების ქვიტკირის შენობისა, ერთ სართულიანისა, უკან ორი განყოფილებით, აგებულის მიწაზე, ზომით სამხრეთის მხარეზე, გზის პირზე 8 არშინი და 10 ვერშოკი, ჩრდილოეთის მხარეზე 4 საჟენი და 6 ვერშოკი და სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ 10 ნახ. საჟენი, შეფასებულის 400 მან. დასაკმაყოფილებლად [illegible] ბიჭიკო ფარნაოზის-ძე ქავთარაძისა და სხვების, თანახმად ბრძანებითი ფურცლისა, გაცემულის სამტრედიის სახ. სასამართ. მიერ 27 ოქტომბერს 1927 წ. № 1775. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან, ან იმ თანხიდან, რაც დასახელებული იქნება მოვაჭრეთაგან, ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხლში სამ. სამართ. საპროც. კოდექს. და შენობის შეფასების 10% საწინდარი. ნ. 543

ოზურგეთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი მ. მაქსიმენკოშვილი

აცხადებს, რომ 30 ამა იანვარს დღის 12 საათზე გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** მელიტონ ვასაძის კუთვნილი 3000 ცალი ლუფა და ისი თესლი 2 ფუთი, რომელიც ინახება სადგურ ნატანების მცხოვრებ დავით მახარაძის ოჯახში ალექსანდრე ზოიძის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ოზურგეთის სახელმწიფო სანოტარო კანტორისაგან 10 ნოემბრის 1927 წ. თარიღით № 1[illegible]6 გაცემული ბრძანების ფურცლისა 150 მანეთის რაოდენობით, რომელ თანხიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ნ. 544

საბჭოთა და სავ. მუშაკების პროფკავშირის მე 2-ე საანგარიშო მეცნიერებათა

(საბუხჰალტრო) კურსები

იღებს მსმენელებს სპეციალურ და ზოგად განყოფილებებზე სპეციალურ განყოფილებაზე ისწავლება შემდეგი საგნები:

1. საქარხნო-საფაბრიკო ბუხჰალტერია.
2. სავაჭრო და კოოპერატიული ბუხჰალტერია
3. ადმინისტრატიულ-კომუნალური ბუხჰალტერია
4. საბანკო ბუხჰალტერია
5. სარკინისგზო ბუხჰალტერია
6. ბალანსის ანალიზი
7. საბარათო სისტემა ბუხჰალტერიაში და შრომის მეცნიერული ორგანიზაცია.
8. შემოსავალ გასავლის აღრიცხვის (სმეტის) ფინანსიური გეგმის და სხვათა შედგენა.

ახალ ჯგუფებში მეცადინეობა დაიწყება 1 თებერვლიდან. განცხადებების მიღება გრძელდება. პროფკავშირის წევრთათვის პირობები შეღავათიანია. დაწვრილებით კურსების კანცელარიაში 5—8 საათამდე.

პლეხანოვის გამზირი № 166. მე-5-ეთე პროფშკოლის შენობა. 1213

საჭიროა

ინჟინერები, აგრონომები და ტეხნიკოსები

სამინდვრო ჰიდრომოდულურ სამუშაოთათვის

მიმართეთ ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს („ზაკვოდხოზ")—სამეცნიერო გამოკვლევების განყოფილებას. 3—1 ნ. 537

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20 25—1

ექიმი

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი სნეულებანი.

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—03 25—1

ექიმი

პ. ი. მგალობლიშვილი

სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი

ავადმყოფების მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ. № 3. (ყ. მელიკ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

ექ. **ს. ი. ვოლოხი**

ქალთა სნეულებანი და ბებიობა. მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) ახლოს. ტელეფონი 10—80.

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს,** და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ ავად ყოფობის** (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 25—1

მედიც. დოქტორი

გ. ა. ახვერდოვი

ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7. (შესავალი კუთხიდან ხარიტონოვის ქ. № 1.) 25—1

იონა გაბრიჩვაძე

პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი 65 ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგები. დილით 7—8 ნახ. ს. საღამოს 5—8 ს.

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

მოსკოვის ქუჩა № 7

იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით. მიღება საღამოს 5—8 საათამდის. ნ. 25—1

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.

იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.)

ექიმი **ი. ო. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევ. (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 3. 25—

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთი 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3, 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—4

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები:

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47. ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულება ი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტით ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, [illegible] ხუთშაბათობით და შაბათობით, საღ. 7—8 საათ მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11. ტელ. [illegible]

დაკარგვა: კავშირის წიგნაკი, ინდუსტრიალიზაციის სესხის ქვითარი ობლიგაცია 05, სერია 108 59, ობლიგაცია 19, სერია 104997 და პირადობის მოწმობა № 204 იოსებ ბეჟანის ძე წიტაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1211

დაკარგვა კომკავშირის საწევრო მანდატი № 208.9 ოლღა ელიავას სახელზე, ჩ. გ. 1187

დაკარგვა კომკავშირის საწევრო მანდატი № 53663 გაცემული ს.ა.ლ. კ. კ. რაჭის სამაზრო კომიტეტის მიერ დემნა ლობჟანიძის სახელზე, ჩ. გ. 11 7

დაკარგვა: პირადობის მოწმობა № 67 გაცემული ბანძის თემ-აღმასკომის მიერ შალვა ცანავას სახელზე, ჩ. გ. 1214

დაკარგვა: პირადობის უვადო მოწმობა № 150 თეკლე წითელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1214

დაკარგვა კავშირის წიგნაკი № 157127 ვარლამ ლეჟავას სახელზე, ჩ. გ. (თ. კ.)

დაკარგვა: მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 7674, პოლიკარპე ეგნატის ძე ხურციძის სახელზე, ჩ. გ. 1212

დაკარგვა მატრიკული (სტუდენციო წიგნაკი) და პირადობის მოწმობა გაცემული თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გიორგი ალექსანდროს ძე ფურცელაძის სახელზე, ჩ. გ. 12 5

დაკარგვა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი დავით სულხანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1207

დაკარგვა სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 2044 გაცემული თბ. მაზრის სამხედრო კომისარიატისაგან [illegible] ალექსის ძე მერაბოვის სახელზე, ჩ. გ. 12 9

დაკარგვა: კ. პარტიის საკანდიდატო ბარათი № 19159, სახ. უნივერსიტეტის მოწმობა და სამგზავრო ლიტერი, თემ-აღმასკომიდან გაცემული სხვა და სხვა [illegible] მოწმობები, და [illegible] გაცემული მოწმობა [illegible] 7 წლიდან [illegible] სახელზე, ჩ. გ. 1214

[illegible] მე-6-ე სტამბა, [illegible] ქ. № 62